დოდო ჭუმბურიძე

გრიგოლ ლორთქიფანიძე
(1881-1937)

თბილისი
2012

ასირიოლოგთა, ბიბლეისტთა და კავკასიოლოგთა საზოგადოება
www.sabc.ge

საქართველოს ისტორია

წიგნი ეძღვნება გრიგოლ ლორთქიფანიძის დაბადებიდან
130 და გარდაცვალებიდან 75 წლისთავს

მადლობას მოვახსენებთ „კავკასიის ფონდის" პრეზიდენტს
გივი ღამბაშიძეს თანადგომისათვის

რედაქტორი: ოთარ ჯანელიძე

ISBN 978-9941-9189-8-8

© დოდო ჭუმბურიძე, 2012
© გამომცემლობა „არტლაინსის აკადემიური წიგნები", 2012

შპს „არტლაინსი"
ირ. აბაშიძის 16, 0179 თბილისი
ტელ.: 2227137; 551 227137

www.artlines.ge, www.artlinesshop.ge, artlinesinfo@gmail.com

შესავალი

„სამშობლო არაეის უყვარს იმის გამო, რომ ის დიდია, არამედ იმიტომ უყვართ, რომ ის საკუთარია“, – ციცერონის ეს სიტყვები სრულად შეესაბამება იმპერიების მიმართ დაპყრობილი ხალხების განცდას. არც ქართველი პატრიოტებისთვის ქცეულა და აღქმულა სამშობლოდ რუსეთის იმპერია... მერე რა, თუკი მისი ცენზორები დაუნდობლად ჭრიდნენ ნაბეჭდი ტექსტებიდან სიტყვა–„საქართველოს“, თუკი ყველგან ებრძოდნენ ამ სიტყვის ძირითად არსს, ქართველი კაცი მაინც მას ეჭიდებოდა, სულს მისი არსებობით იბრუნებდა. მერე რა, თუ ეს საქართველო არა მარტო რუსული გუბერნიებით, არამედ რუსეთის შემოჭრამდეც სამეფო-სამთავროებად, „პატარა საქართველოებად“ იყო დაჭრილ-დანაწევრებული!...ჩვენი ლიტერატურა და ისტორიული ცნობიერება ერთიანობაში აღიქვამდა ქვეყანასაც და ქართველობასაც. და როდესაც 117-წლოვანი რუსული ბატონობის შემდეგ აღიდგინა დაკარგული სახელმწიფოებრიობა, ნაციონალური ერთიანობის მისაღწევად დიდი იდეოლოგიური და პოლიტიკური ძალისხმევა არც დასჭირვებია მაშინდელ ხელისუფლებაში მოსულ სოციალ-დემოკრატიულ პარტიას. თუ ამ ორგანიზაციის წევრთა ადრინდელ ინტერნაციონალურ-კოსმოპოლიტურ თეორიებს გავიხსენებთ, გასაკვირად და შესაშურად მალე მივიდნენ მიზნამდე, რასაც თავისი ისტორიული საფუძვლები ჰქონდა და ეროვნული ერთობის მიღწევა ხელისუფლების ძალისხმევაზე სრულად დამოკიდებული არ ყოფილა. საუკუნეების მანძილზე მტრებთან მუდმივ ბრძოლებში ჩაბმულმა ქვეყანამ თუმცა ბევრჯერ ნომინალურადღა შეინარჩუნა დამოუკიდებელი ქვეყნის სტატუსი და სახელმწიფო ინსტიტუტები, სახელმწიფოებრივი არსებობისა და ეროვნული თვითმყოფადობის განცდა ქართველ ერს მაინც არ დაუკარგავს. მარტო პოლიტიკური გადაწყვეტილება (დამოუკიდებლობის გამოცხადება) და ეროვნული ცხოვრების მთავარ მიზნად შერჩეული პრიორიტეტები ვერ უშველიდათ სოციალ-დემოკრატებს, რომ ეს ისტორიული

განცდაც არ ყოფილიყო. მართალია, საზოგადოება დღესაც ხშირად გამოხატავს ეჭვს სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში ქართველების გამოუცდელობის შესახებ და ცდილობს ამ ფაქტს გადააბრალოს ქვეყნის ცალკეული წარუმატებლობა თუ ხელისუფლების შეცდომები, მაგრამ ეს არ უნდა იყოს სიმართლე, მითუმეტეს, თუ იმ წარმატებებსაც არ დავივიწყებთ, რომელიც სულ მოკლე დროსა და ექსტრემალურ სიტუაციაში, საშინაო და საგარეო საფრთხეების პირობებში მოიპოვა დამოუკიდებელმა ქვეყნამ.

იყო ინტერნაციონალიზმისა და სოციალიზმის სენით დაავადებაც, პოლიტიკური რომანტიზმიც, მაგრამ იყო ეროვნულ ბრძოლებში გამოწვრთნილი ადამიანების თავგანწირვაც, პატრიოტიზმზე აგებული და დაფუძნებული ბრძოლა გამარჯვებისათვის. ისტორიაში ხომ მრავლად არიან ისეთები, რომელთაც მთელი ცხოვრება თავი არაფრით გამოუჩენიათ, ზოგჯერ ბევრი ავიც ჩაუდენიათ, მაგრამ ერთი და ერთადერთი ნაბიჯით გმირებად ქცეულან. სოციალ-დემოკრატებიც, საქართველოს საბედისწერო ისტორიამ შეაგდო ისეთ სცენაზე, სადაც საუკუნის დრამა უნდა გათამაშებულიყო. ჰოდა, ამ სპექტაკლში ზოგჯერ ისეთი ადამიანებიც კი იქცეოდნენ გმირებად, ვერავინ რომ ვერ წარმოიდგენდა.

გვაროვნულ ცნობიერებაზე დაფუძნებული ბერძნული პარტიოტიზმი, სამწუხაროდ, ჩვენში არასდროს მოძველებულა, მანქანური ინდუსტრიისა და კომპიუტერული ტექნოლოგიების ხანაშიც არ ძველდება და, ალბათ, არც არასდროს დაძველდება. ეს იმიტომ კი არა, რომ ჩვენ, ქართველები, რეტროგრადები ვართ, არამედ იმიტომ, რომ პატარა ერი ვართ და გადარჩენისთვის ყველაფერს ვებღაუჭებით, ძველსაც და ახალსაც. 1918-21 წლების პატრიოტი ქართველებიც კბილებით იცავდნენ 1005 დღის მანძილზე საქართველოს დამოუკიდებლობას. ჰქონდათ ომები ორ დიდ იმპერიასთან (რუსეთი და ოსმალეთი), რომელთა ყველანაირი პოლიტიკური ძალა (თეთრი თუ წითელი რუსეთი, სულთნის ოსმალეთი თუ ახალი, ქემალ-ფაშას თურქეთი) ერთნაირად მტრობდნენ საქართველოს სახელმწიფოებრიობას, ერთ-

ნაირად გეგმავდნენ მის მიტაცებას, ის კი არადა, ეს ორი მტრული იმპერია საქართველოს წინააღმდეგ ერთ მუშტადაც კი შეიკრა, რათა დაეცა, გაეხლიჩა და გაენაწილებინა... გოლიათთან მებრძოლ რაინდს ჰგავდა საქართველო, რომელსაც ისტორიული ტერიტორიების ამ იმპერიებისაგან გამოხსნა სურდა, ტერიტორიული მთლიანობის საკითხი დამოკლეს მახვილზე ეკიდა და ის მახვილი პირდაპირ ქვეყნის გულზე იყო დამიზნებული.

დამოუკიდებელი საქართველო ითხოვდა იმ მიწებს, სადაც ქართველები ისტორიულად ცხოვრობდნენ, სადაც ჩვენი სისხლი და ხორცი ქმნიდა ეროვნულ საგანძურს, ლიტერატურულ და არქიტექტურულ შედევრებს, აგებდა და ალამაზებდა!..

საერთაშორისო სამართალი ამგვარ დამოკიდებულებას არც მაშინ იზიარებდა და არც დღეს იზიარებს. პარიზის საკონფერენციო დარბაზებში ქართველების მიერ წარდგენილ ისტორიული სამართლიანობის დამადასტურებელ საბუთებს გასავალი არ ჰქონია. თუმცა აღიარებით დამოუკიდებელი ქვეყანა აღიარეს, მაგრამ დახმარებასა და ევროპულ ოჯახში მიღებაზე (ერთა ლიგა) უარი უთხრეს. საქართველოს რუსეთისგან გამოყოფას ბევრმა მხარი არც დაუჭირა, ევროპას პოლიტიკურ რომანტიზმზე მეტად პოლიტიკური ანგარიშიანობა იზიდავდა, ამან რადიკალურ-ექსტრემისტული ბოლშევიზმის ევროპულ-დემოკრატიულ ღირებულებებთან შეთავსებაც კი გახადა შესაძლებელი.

საქართველო კი იბრძოდა, ისევ ამირანივით, ისევ განწირული, იბრძოდა ისტორიისთვის და არა რეალური გამარჯვებისთვის, რადგა იმპერიების პირისპირ და ყოველმხრივ მტრული გარემოცვით შემორკალული ქვეყანა, რაგინდარა გმირებით სავსე, სულ მარტო და მიტოვებული, ვერაფერს გახდებოდა მაშინაც კი, ერთი შეცდომაც და ერთი ყოყმანიც რომ არ ყოფილიყო, ყველას რომ ერთად შეეკლა თავი სამასი არაგველივით ან სპარტელივით. დამპყრობელი, რომელსაც ბოლშევიზმის ნითელი ცხელება და მონღოლური ველური დაუნდობლობა ჰქონდა, მაინც გაიმარჯვებდა. მთავარი ტრაგედია კი ამ დაპყრობისა ის იყო და

არის, რომ რუსს ყოველთვის ექნებოდა, მართალია ყალბი, მაგრამ მაინც ალიბი (თუ რუსი იქნებოდა მოსამართლე და არა მიუდგომელი მსაჯული), ისევე, როგორც ჰქონდა 1801-ში: „ქართველები ითხოვდნენ დახმარებას“... 1921-შიც „ითხოვდნენ“... და ისინიც „დაეხმარნენ“...

საბჭოთა საქართველოში ბევრი ადამიანი იქცა უჩინარ გმირად. ისინი ამსხვრევდნენ რეჟიმის მიერ შემუშავებულ სტერეოტიპებს, ყალბ იდეალებს, ისინი იბრძოდნენ და მარცხდებოდნენ. თუმცა, ვინც ღირსებისა და სამართლიანობის გადასარჩენად იბრძვის, ვინც სიყვარულით არის განმსჭვალული და საკუთარი თავი და ოჯახი იმ ზოგადში აქვს განივთული, რომელსაც „სამშობლო“ ჰქვია, – არ მარცხდება. სამამულო ომები, სამშობლოს დასაცავად დაღვრილი სისხლი ყოველთვის გამართლებულია და ამგვარ ომებში მსხვერპლი იმარჯვებს და არა აგრესორი...

როდესაც გრიგოლ ლორთქიფანიძის ცხოვრებას გავეცანი, ცხადი გახდა, რომ ეს ადამიანი გმირი იყო, თუნდაც იმიტომ, რომ მან ასე თამამად სცადა დაემსხვრია ისტორიის შემოქმედად მიჩნეული, მთელ საბჭოეთში საყოველთაოდ აღიარებული ბელადის საკრალური სახე.

არ უნდა ვიფიქროთ, რომ ადამიანი, ვინც ერთდროულად სახელმწიფოსთვის სასიცოცხლო ორ მიმართულებას: ქვეყნის თავდაცვასა და განათლებას ხელმძღვანელობდა, იმდენად გულუბრყვილო ან უვიცი იყო, არ იცოდა და გააზრებული არ ჰქონდა, რა მოყვებოდა მისგან ხელში მახვილის აღებას და საბჭოთა იმპერიის ოდიოზური ფიგურებისკენ მიმართვას. აუცილებლად იცოდა, მაგრამ იცავდა ღირსებას, საკუთარსა და ერისას, რომელიც დაცვას ნამდვილად საჭიროებდა, რადგან დამარცხებულსა და წელში გატეხილს, რაც დრო გადიოდა, მეტად ასწორებდენენ მიწასთან. ციხიდან-ციხეში, ბანაკიდან-ბანაკში გადასულს თავის შეკავება და დადუმება, სიმართლეზე თვალის დახუჭვა არ შეეძლო. უკომპრომისობა საბჭოური რეჟიმის ხანაში სიცოცხლის რისკთან იყო დაკავშირებული და ამ რისკზე ყველა ვერ მიდიოდა. ვინც ამ გზას მიჰყვებოდა, ერთეულები იყვნენ. მათი ცხოვრებისეული დრამა წასაკითხია და

გასააზრებელი, უფრო მეტად კი, შესანახი და მომავალი თაობებისათვის გადასაცემი.

დამპყრობელი თუ „გადამრჩენი“?...

რუსეთის იმპერია XX საუკუნეს დიდი ქარტეხილებით შეხვდა. შესაბამისად, XX საუკუნე საქართველოსთვისაც დიდი პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური კატაკლიზმებით დაიწყო და ასევე გაგრძელდა. ზოგადად მსოფლიოში, თუ რუსეთის იმპერიაში მიმდინარე მოვლენების ფონზე წამოჭრილმა პრობლემებმა დაპყრობილი ერის განმათავისუფლებელი სულისკვეთება არათუ გაანელა, კიდევ უფრო გაამძაფრა და საყოველთაო გახადა.

ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის პარალელურად, ქვეყანაში იყო ეროვნული მორჩილებისა და რეჟიმთან შეგუების ფსიქოლოგია, ინტელიგენციის ერთი ნაწილის კომფორმისტულ-კოლაბორაციონისტული საქმიანობა. დამპყრობელი „გადამრჩენის“, „განმათავისუფლებლის“ სახელით იყო მოსული და ასეც უნდა მიეღო კოლონიურ მოსახლეობას. დამპყრობელი თუ „გადამრჩენი“? – ეს კითხვა საუკუნის მანძილზე საბედისწეროდ ეკიდა საქართველოს თავზე. რაც უფრო მეტი ადამიანი გასცემდა სწორ პასუხს, მით უფრო მალე დაგებოდა რეჟიმის აღსასრულის ჟამი...

1901 წელს კავკასიის რუსულმა ხელისუფლებამ საზეიმოდ აღნიშნა რუსეთთან საქართველოს „შეერთების“ 100 წლისთავი. ხალხმა კარგად უწყოდა, რომ ეს სინამდვილეში დაპყრობა იყო და არა ნებაყოფლობითი აქტი, ამიტომ ამ ზეიმს არ შეუერთდა, ქართველმა ხალხმა ამით დამპყრობლის მიმართ საკუთარი პროტესტი გამოხატა. ამის თაობაზე დიდი ქართველი პოეტი – აკაკი წერეთელი წერდა: „რუსობამ ჩვენში ფეხი მოიკიდა და ძალადობაზე დადგა...რა პირობა? რის პირობა? რაც ჩვენ გვსურს, ის უნდა მოხდესო. დაუწყეს ნგრევა საუკუნეობით დაწესებულ წეს-წყობილე-

ბას ჩვენში, რომ მათი სახსენებელიც აღარ ყოფილიყო და შეუდგენ ახალს, თავისას. მას აქეთ სწორეთ ერთი საუკუნეა და ხალხმაც იდღესასწაულა ვითომ ეს ბედნიერი მოვლენა, შეერთება, მაგრამ რას ვამბობ, როგორ თუ ხალხმა? ორმილიონიან ხალხში მხოლოდ რამდენიმე ასმა კაცმა თუ იტლინკა და ისიც ღენერლებმა და გარუსებულებმა. ხალხს მონაწილეობა არ მიუღია! მაზრის უფროსებმა მოახსენეს მთავრობას, რომ ხალხს სიხარულში არ მიუღია მონაწილეობა, ერთი ზარიც არ დაკრულა, რომ პარაკლისი ვისმეს გადაეხადოსო! ასე...ის გული ხალხის მართალი იყო და ანკი რა მართებდა ქართველ ხალხს სასიხარულო, რომ ასი წლის განმავლობაში რუსების ხელში უკან-უკან მიდიოდა...რუსი ჰხედავდა, რომ ეს ხალხი ძნელი დასამონებელია, სანამ სარწმუნოება არ ჩამოერთმევა და ზნეობითად არ დაეცემაო. ეს განიზრახა და ხელი შეუწყო მის დაცემას, ცხოვრების ყოველგვარი სარბიელი დაიჭირეს რუსებმა ხელში და ხაფანგად მოუწყვეს ხალხს, რჯული, აღზრდა, სამსჯავრო და სხვა ყველაფერი მიტომ უნდოდათ, რომ ხალხში სული მოეკლათ და მერე უფრო ადვილათ გაერუსებიათ. და თუ ეს აღარ მოხერხდებოდა, ქართველობა ამოეფხვრათ და მათ ადგილზე რუსები დაესახლებიათ..."[წერეთელი 2010:138]

აი, ასეთ ფარსად მიიღო რუსეთის „მფარველობა" ქართველმა ერმა. მისმა საუკეთესო შვილებმა დამპყრობლის მთელი ანტიქართული პოლიტიკა გაბედულად ამხილეს და დღის წესრიგში იმდროისათვის მეტად თამამი – **საქართველოს ავტონომიის მოთხოვნა დააყენეს.** ამ საკითხს დიდ ადგილს უთმობდა ილია ჭავჭავაძის რედაქტორობით გამომავალი გაზეთი „ივერია", ასევე 1903 წელს პარიზში არჩილ ჯორჯაძის' თაოსნობით გამოსული გაზეთი – „საქართველო". შემდეგში, ამავე აზრს ემსახურებოდნენ ეროვნული მიმართულების გაზეთები – „ცნობის ფურცელი", „შრომა", „ამირანი", „ისარი", „დროება", „სახალხო გაზეთი" და სხვები.

სახელმწიფო საბჭოს წევრი ილია ჭავჭავაძე ამ საკითხის წამოჭრას რუსეთის უმაღლეს სათათბირო ორგანოშიც აპირებდა. დიდი მწერლის აზრით, რუსეთის იმპერიის მიერ

არჩეული ცენტრალიზებული მართვის პრინციპი დრომოჭმული იყო და თანამედროვე მოთხოვნებს ვეღარ აკმაყოფილებდა. უნდა მომხდარიყო ერების გამიჯვნა, ავტონომიური პოლიტიკური ერთეულების სახით მათი მონყობა, სადაც საშინაო საქმეები ადგილობრივი ხელისუფლების მიერ მოგვარდებოდა. დეცენტრალიზმი უნდა განხორციელებულიყო ქვეყნის მთავარ წარმომადგენლობით ორგანოშიც – სახელმწიფო დუმაში, აქ მოღვაწე სხვადასხვა ერის წარმომადგენლებს სოციალურ-პოლიტიკური თუ საზოგადოებრივი საკითხების დაყენებაში ერთნაირი უფლებები უნდა მისცემოდა.

ამ დროს საქართველოში, სამწუხაროდ, საზოგადოებრივი აზრის გახლეჩვა დაიწყო.

ეროვნული თუ სოციალური?

ეროვნული თუ სოციალური? – ეროვნული და სოციალური ნიშნით ერთმანეთს ახლადწარმოქმნილი პარტიები დაუპირისპირდნენ. საზოგადოების მოწინავე წრეები, პატრიოტი ქართველები აპროტესტებდნენ საზოგადოების პოლიტიკურ და სოციალურ დიფერენციაციას, კლასობრივი ბრძოლის გამწვავებას, გათითოკაცებას – მაშინ, როდესაც ერს გამთლიანება, დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში შეკავშირება ჭირდებოდა. ილია ჭავჭავაძისა და მისი თანამოაზრეების, შემდეგ კი არჩილ ჯორჯაძის „საერთო ნიადაგის თეორია“ სწორედ ერის კონსოლიდაციის, გარეშე საფრთხეების წინააღმდეგ დარაზმვის, ეროვნული ინტერესების განხორციელებისათვის შეერთებული ძალით ბრძოლისკენ მოწოდება იყო.

XIX საუკუნის ბოლოს და XX საუკუნის დასაწყისის საქართველოში, ძირითადად ორი იდეოლოგიური მიმართულება უპირისპირდებოდა ერთმანეთს, ერთი – ეროვნულ-დემოკრატიული, ანუ ილიას გზა და მეორე – სოციალ-დემოკრატიული. მათ შორის ბრძოლა იყო, დაუნ-

დობელი და უშეღავათო. ორივე ჯგუფს საქართველოს მომავალი სხვადასხვაგვარად ესახებოდა. ილიას მიმდევრებს მიაჩნდათ, რომ ეროვნული საკითხის გადაწყვეტა უპირველესი მიზანი იყო, კოლონიურ საქართველოს დიდი იმპერიული უღლისგან თავდასახსნელად კლასობრივი ბრძოლა და შიდა დაპირისპირება სიკეთეს ვერ მოუტანდა; მეორე კი, საწინააღმდეგოს ამტკიცებდა: „უნდა მოისპოს მემამულეთავადაზნაურთა კლასი, რადგან ის ფეოდალურ ჩამორჩენილობას, ქვეყნის რეგრესს იწვევს, ღარიბი გლეხები და მუშები უნდა დაეუფლონ ძალაუფლებას, საზოგადოების განვითარების შემდგომ უნდა დამყარდეს სოციალიზმი“, – ქადაგებდნენ ამ მიმართულების იდეოლოგები.

ბოლშევიზმი რომ უბედურება იყო, ამაში დღეს არც ერთ გონიერ ადამიანს არ შეაქვს ეჭვი. მაგრამ არც სოციალდემოკრატთა მეორე ფრთის – ე. წ. მენშევიკების თეორიულ-პოლიტიკური ნააზრევი და პრაქტიკული საქმიანობა იყო საქართველოსთვის დიდი ბედნიერება. ისინი ვერ გასცდნენ კლასობრივ თეორიას, ვერ აღიარეს კერძო საკუთრების უზენაესობა. თუმცა დემოკრატიას აღიარებდნენ და თავს დემოკრატებად ასაღებდნენ, ნამდვილი დემოკრატიული ღირებულებები მაინც დაუცველი იყო. კლასობრივი ნიშნით დაპირისპირება და ბრძოლა დამღუპველი იყო საქართველოსნაირი პატარა ქვეყნისთვის. მითუმეტეს, ჩვენში არ არსებობდა მესამე წოდება – ეროვნული ბურჟუაზია. მიუხედავად ამისა, XX საუკუნის დასაწყისში სოციალიზმის იდეა საქართველოში ბევრს იზიდავდა, მათ შორის იყვნენ ცნობილი მოაზროვნეები, მწერლები და მეცნიერები. მათთვის მისაღები ევროპული ტიპის სოციალიზმი საზოგადოების განვითარებას ცხოვრების ყველა სფეროში რეფორმების გატარებით გაიაზრებდა და არა რევოლუციური ბრძოლითა და სისხლისღვრით. ბოლშევიკები სწორედ ამას – დაუნდობელ კლასობრივ ბრძოლას, სისხლიან ტერორს ქადაგებდნენ. ისინი მთლიანად უარყოფდნენ ეროვნულ ინტერესებს და ინტერნაციონალიზმსა და კოსმოპოლიტიზმს ემხრობოდნენ. მათ შორის ქართველი ბოლშევიკებიც მრავ-

ლად იყვნენ და თავიანთი რადიკალიზმით არაფრით ჩამოუვარდებოდნენ რუს თანაპარტიელებს.

საბედნიეროდ, ქართულ მოსახლეობაში ბოლშევიზმს XX საუკუნის 10-იანი წლების ბოლოს ცოტა მომხრე ჰყავდა, ევროპულ სოციალ-დემოკრატიულ იდეებს კი – ბევრი.

ზოგადად, სოციალ-დემოკრატიულ იდეოლოგიას და მათ მიმდევარ პარტიებს ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლაში განსაკუთრებული დისონანსი შეჰქონდა. ისინი უარყოფდნენ ეროვნული ინტერესების წინ წამოწევის საჭიროებას და უპირატესობას სოციალური პრობლემების მოგვარებას ანიჭებდნენ. ამ პარტიაში გაერთიანებული ქართველი მოღვაწეები საქართველოს ეროვნულ-პოლიტიკური ავტონომიის წინააღმდეგნი იყვნენ.

მიუხედავად იმისა, რომ ბოლშევიზმი და მენშევიზმი ერთმანეთს დაუნდობლად დაუპირისპირდა, ქართველი ხალხი ეროვნული საკითხის გადაწყვეტისას არც ნაკლებად რადიკალ-სოციალისტებს – მენშევიკებს ენდობოდა. სწორედ ეს პარტია მოახვედრა ბედმა დამოუკიდებელი საქართველოს I რესპუბლიკის სათავეში. თუმცა, ობიექტურად თუ ვიმსჯელებთ, უამრავ შეცდომასთან ერთად, სოციალ-დემოკრატიულმა ხელისუფლებამ მენშევიზმიც უარყო, მრავალი პარტიული შეხედულებაც შეცვალა ეროვნული ინტერესების სასარგებლოდ და ქართული სახელმწიფოს დასაცავად გაბედულადაც იბრძოლა. თუ სხვა პარტიების წარმომადგენლებმა, მათ შორის ზოგიერთმა ეროვნულ-რადიკალმაც საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციისა და 1924 წლის აჯანყების მარცხის შემდეგ პრორუსული ორიენტაცია არჩია, სოციალ-დემოკრატთა უმრავლესობას (ე. წ. მენშევიკებს) ეს პოზიცია ბოლომდე დამღუპველად მიაჩნდათ.

როდესაც XIX საუკუნის ბოლოს და XX-ის დასაწყისში განათლებული და პატრიოტი ქართველები ამ იდეოლოგიით განიმსჭვალნენ, მათ მხოლოდ ქართველი ერის ეკონომიკური დაწინაურება, უაღრეს სიდუხჭირეში ჩავარდნილი მოსახლეობის დაბალი სოციალური ფენების გაძლიერება სურ-

დათ. ისინი კი, ვინც სოციალიზმის უკიდურეს რეაქციულ ფრთას – ბოლშევიზმს მიემხრენ, მთლიანად რუსული იმპერიული აზროვნების ტყვეობაში და ყოველივე ეროვნულისაგან შორს აღმოჩნდნენ, უაზრო კოსმოპოლიტიზმისა და უტოპიზმის მსხვერპლნი გახდნენ და საკუთარი ქვეყნის მტრებად გადაიქცნენ.

გრიგოლ ლორთქიფანიძეც ამ ტიპის მოაზროვნე იყო. სოციალიზმს ის სოციალურ აღმავლობას უკავშირებდა, ამ უკანასკნელით კი ქართველი ერის საზოგადოებრივ-პოლიტიკური, ეკონომიკური, სულიერი და დემოგრაფიული აღორძინების პერსპექტივას, ყოველგვარი ეროვნულის აღმავლობას ხედავდა

თუკი სამშობლო-საქართველოს ინტერესები ილახებოდა, ის, საკუთარი სიცოცხლის სასწორზე დადების საფასურად, შეუპოვრად იცავდა მას. მისი ასეთი თავგანწირვა და ტოტალიტარულ რეჟიმთან დაპირისპირება საყოველთაო რეპრესიებისა და ეროვნული ფასეულობების დევნის ჟამს გმირობის ტოლფასი იყო.

სამწუხაროდ, გრიგოლ ლორთქიფანიძისთანა საღი აზროვნებისა და ეროვნული ცნობიერების ადამიანები სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში არცთუ ბევრი იყო. ეს ადამიანი ნამდვილად გამოირჩეოდა თანაპარტიელთა შორის და მთელი ცხოვრება ეროვნული ინტერესების დაცვისათვის ბრძოლას შესწირა თავი. ის პრინციპულად აკრიტიკებდა საბჭოთა კავშირის ეროვნულ პოლიტიკას, მოითხოვდა ქართველი ერის სუვერენული უფლებების აღდგენას, დაუღალავად იბრძოდა საქართველოს დამოუკიდებლობისათვის, შენიშვნებს აძლევდა და მისი გამოსწორებისაკენ მოუწოდებდა რეჟიმის დიქტატორს – სტალინს, რაც წარმოუდგენელი გამბედაობა იყო.... სწორედ ამ შეუპოვრობისა და ეროვნული თავგანწირვისათვის გამოირჩა მისი პიროვნება არა მარტო დამოუკიდებელი საქართველოს, არამედ მთელი XX საუკუნის მოღვაწეთა შორის, ის ეპოქალურ გმირად იქცა.

გრიგოლ ლორთქიფანიძე იდეურად, ქაქუცა ჩოლოყაშვილი[2] კი იარაღით დაუპირისპირდა მძიმე საბჭოურ რეჟიმს, რის გამოც ეს წამებული ადამიანები ქართველმა ხალხმა შეიყვარა და მათდამი მადლიერება გულში ღრმად ჩაიმარხა. ეს გმირები რეჟიმისაგან დიდხანს იდევნებოდნენ, საბჭოთა კავშირის არსებობის მთელ მანძილზე მათი ხსენება აკრძალული იყო, მხოლოდ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ახალი აზვირთების ჟამს, 1988-89 წლების შემდეგ, გამოჩნდა მათი ღვაწლი და გმირული თავგანწირვის მაგალითები. არქივებიდან ამოღებულმა უცნობმა დოკუმენტებმა თვალნათლივ აჩვენა გრიგოლ ლორთქიფანიძის ზნეობრივი გმირობა, მისმა ნაშრომმა – „ფიქრები საქართველოზე“ – ღრმად დააფიქრა ქართული საზოგადოება საბჭოთა რეჟიმის საშინელებაზე, რუსეთის დამპყრობლურ ინტერესებზე, ყველა რუსული პოლიტიკური და პარტიული ჯგუფის ანტიქართულ მიზნებზე. საბჭოური რეჟიმის თვითმხილველი გრიგოლ ლორთქიფანიძე რუსულ-ქართული ურთიერთობის ობიექტურ შემფასებლად, მიუკერძოებელ კრიტიკოსად, ამ რეჟიმის მიერ გატარებული მოვლენების სწორად შემფასებელ-ანალიტიკოსად იქცა.

გრიგოლ ლორთქიფანიძის ადგილსა და როლს საქართველოს ისტორიაში, უპირველესად, ის ეროვნული, სულიერი და ზნეობრივი ფასეულობები განსაზღვრავენ, რასაც ჩვენი ქვეყნის ღირსეული არსებობისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს და რის შესანარჩუნებლადაც ყოველთვის ბრძოლაა საჭირო. ეს ბრძოლა ხშირად სამკვდრო-სასიცოცხლო იყო და მას უამრავი ქართველი ეწირებოდა. თავდადების, თავგანწირვის ნიჭი და უნარი ყველას არა აქვს. მხოლოდ ერთეულებს შეუძლიათ საკუთარი სიცოცხლის ფასად სცადონ იმის გადარჩენა, რაც „ჩვეულებისაებრ მამულისა სვლას“ განსაზღვრავს, საუკუნეების მანძილზე მომხდარი უამრავი ცვლილების მიუხედავად, უცვლელი რჩება და მასზეა დამოკიდებული ერისა და ქვეყნის არსებობა. გრიგოლ ლორთქიფანიძე ასეთი შეუპოვარი მებრძო-

ლი და რაინდი იყო. გმირები აწმყოში არ ცხოვრობენ, ისინი წარსულსა და მომავალსაც ეკუთვნიან. გრიგოლ ლორთქიფანიძის გმირობაში ერთმანეთს შეერწყა ზნეობრივი და მოწამეობრივი, და ორივეს ამ ადამიანის ცხოვრების სპეტაკი წესი განსაზღვრავდა.

კარგა ხანს არ იცოდა ქართველმა ხალხმა იმ არაჩვეულებრივი გმირობის ამბავი, რაც დამოუკიდებელი საქართველოს მაშენებელ პოლიტიკურ მოღვაწეს, თუ ტოტალიტარულ საბჭოურ რეჟიმთან მებრძოლ გრიგოლ ლორთქიფანიძეს ჰქონდა ჩადენილი. არადა, თავად მას არაფერში ჭირდებოდა და არც გამოდგომია ეს გმირობა, უბრალოდ, სხვანაირად არ შეეძლო...

მისი გმირობა ჩვენ გვჭირდებოდა, მომავალ თაობებს ჭირდებათ, რადგან სულიერების დეფიციტის ჟამს, ნებისყოფის განმტკიცების, სიკეთის, სიყვარულის, მაღალზნეობრივი პრინციპების სწავლების სხვა უკეთესი სკოლა არ არსებობს, უფრო დიდი მასწავლებელი არ მოიძებნება, ვიდრე გრიგოლ ლორთქიფანიძის და მისნაირთა მაგალითია [ჭუმბურიძე 2008:52-58].

დღეს აქტიურად მიმდინარეობს მისი თეორიული ნააზრევისა და პრაქტიკული მოღვაწეობის შესწავლა. რევოლუციური მოძრაობის აქტიური მონაწილე, სხვა რევოლუციონერებივით, არასოდეს დაავადებულა ეროვნული ნიჰილიზმით, ყოველთვის სამშობლოს ინტერესების პრინციპული დამცველი იყო. სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი, ის ამ მხრივ სოციალისტ-ფედერალისტთა და ეროვნულ-დემოკრატების მსგავსად აზროვნებდა. მან დაგმო ბოლშევიკური გადატრიალება რუსეთში და მისი ორგანიზატორები, ლენინი და მისი თანამებრძოლნი ტოტალიტარიზმის დამფუძნებლებად გამოაცხადა, ამხილა მათი ანტიხალხური ინტერესები.

როდესაც 1995 წელს მისი „ფიქრები საქართველოზე“ გამოქვეყნდა, ცხადი გახდა, რომ მისი ავტორი გამორჩეული, საქართველოს სულიერი გადარჩენისთვის თავგანწირული გმირი იყო. მიუხედავად იმისა, რომ ეს გვარი და სახელი უკვე ცნობილი იყო საზოგადოებისთვის XX საუკუ-

ნის 10-იანი წლების პრესიდან, დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიიდან, წიგნმა მაინც გაამდიდრა ჩვენი წარმოდგენა ავტორზე. აქ გამოჩნდა მისი ერუდიცია, ინტელექტი, მოვლენების ღრმად გაანალიზების უნარი, რაც, სამწუხაროდ, იშვიათი იყო მის თანაპარტიელებში. მას ახასიათებდა ზეპარტიული აზროვნება, პრაგმატიზმი, სხვისი შეხედულებებისადმი შემწყნარებლობა, ზოგადქართული ინტერესებისადმი ერთგულება.

სოციალ-დემოკრატი გრიგოლ ლორთქიფანიძის შეხედულებები ეროვნულ საკითხში თანამედროვეცაა და სამომავლოც. ბევრი თვალსაზრისი, რაც მას ჰქონდა ქართველი ხალხის ცხოვრების სხვადასხვა სფეროში მიმდინარე მოვლენებზე, სწორი იყო და ჯანსაღი. მაგალითად, ის მართალი იყო, როდესაც თავისუფალი საქართველოს ეკონომიკური განვითარების პრიორიტეტებზე საუბრობდა, როდესაც ქართველი ერის ცხოვრებაში ეკლესიის როლს აანალიზებდა... მართალი იყო, როდესაც ამტკიცებდა, რომ საქართველოს ძლიერი საგანმანათლებლო კერები სჭირდებოდა, რომ მას მწერლობა, მეცნიერება, ხელოვნება და, ზოგადად, დიდი სულიერი კულტურა გადაარჩენდა. მისი აზრით, დასავლურ-აღმოსავლური კულტურის საზღვარზე აღმართულ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს, თუკი თანამედროვე მეცნიერული მიღწევებით აღიჭურვებოდა, შეეძლო გამორჩეული როლი ეთამაშა მსოფლიო უნივერსიტეტთა შორის...

გრიგოლ ლორთქიფანიძე დამოუკიდებელ საქართველოში მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე და სამხედრო და განათლების მინისტრი იყო. ამ თანამდებობებზე დანიშვნა მისმა დიდმა ავტორიტეტმა განაპირობა. თუმცა ეს ძალზე საპასუხისმგებლო თანამდებობები ქვეყნის ისტორიაში ყველაზე მძიმე დროს მიიღო.

მას არ მოსწონდა პარტიული ნიშნით თანამდებობებზე დანიშვნა, არმიის გაყოფა ორად, – რეგულარულ ჯარად და სახალხო გვარდიად, სადაც მხოლოდ სოციალ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენლები იყვნენ გაერთიანებულნი. გეგმაში ჰქონდა რეგულარული ჯარისა და გვარდიის შერ-

წყმა, ერთიანი არმიის ჩამოყალიბება. ლორთქიფანიძე ებრძოდა რუსულ აგრესიას, წითელი რუსეთი სამართლიანად მიაჩნდა ოკუპანტად, ბოლომდე იცავდა საქართველოს დამოუკიდებლობის იდეას. მისი ბიოგრაფია ჰგავს იმ ადამიანების ცხოვრებას, რომლებიც მის გვერდით იტანჯებოდნენ კატორღაში, უამრავი ეწამა და დაიღუპა, უამრავმა დადო თავი საქართველოს დამოუკიდებლობისათვის, მაგრამ ეს ბიოგრაფია განსაკუთრებული ნიშნითაცაა აღბეჭდილი...

გზა ცხოვრებისა

გრიგოლ ლორთქიფანიძე დაიბადა 1881 წელს ვანის რაიონის სოფელ ისრითში.

ლორთქიფანიძის გვარი იმერეთის წარჩინებულ ფეოდალურ საგვარეულოს მიეკუთვნება. ამ გვარის მრავალი წარმომადგენელი იყო სამშობლოს ღირსეული დამცველი, ქართული კულტურისა და ხელოვნების რჩეული მოღვაწე, გამოჩენილი ადამიანი, როგორც საერო, ასევე სასულიერო პირები. ლორთქიფანიძეები ცხოვრობდნენ ქუთაისში, ასევე იმერეთის სოფლებში: ყუმურში, ბზვანში, დიდ ჯიხაიშში, ვანში, ისრითში, ჩუნეშში, ცხუნკურში და სხვ. ისრითელი ლორთქიფანიძეები იყვნენ როგორც სასულიერო, ასევე სახელმწიფო პირები. ისინი ნათესაური ურთიერთობებით იყვნენ დაკავშირებულნი იმერეთის ყველა სოფლის თანამოგვარეებთან თუ სხვა წარჩინებულ საგვარეულო სახლებთან, ჰქონდათ დიდი მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობა, ეროვნული ინტერესები.

გრიგოლ ლორთქიფანიძის წინაპარი – დავით ლორთქიფანიძე ქართული ტრადიციებით განთქმული ოჯახის მამა იყო. მის შვილს – თეიმურაზს ექვსი შვილი ჰყავდა: დავითი, ნიკო, იასონი, ერემია, ეკატერინე დ სპირიდონი. აქედან, სპირიდონ ლორთქიფანიძემ ოჯახი შექმნა სამტრედიელ მართა თადეოზის ასულ პაპავასთან. ცოლ-ქმარს ცხრა შვილი შეეძინა. საუკეთესოდ მოწყობილი მეურნეობა და სახლ-

კარი, ოჯახური ტრადიციები ხელს უწყობდა ახალგაზრდებში შრომისმოყვარეობის ჩამოყალიბებასა და განათლებისკენ სწრაფვას. შვილებს საამისო მაგალითს მშობლები აძლევდნენ. გრიგოლი სპირიდონისა და მართა პაპავას მეექვსე შვილი იყო. სამშობლოს სიყვარული, გასაჭირის ატანის ნიჭი, მოვალეობის შეგრძნების უნარი თუ დასახული მიზნებისა და პრინციპებისადმი ერთგულება მან ოჯახში შეისისხლხორცა. ლორთქიფანიძეები, მართალია, იმერელი თავადაზნაურების მსგავსად, მცირე ზომის მამულს ფლობდნენ, მაგრამ შრომისმოყვარე ადამიანების წყალობით მეურნეობა ისე რაციონალურად იყო მოწყობილი, რომ მოსავალი ოჯახის ძირითად მოთხოვნებს აკმაყოფილებდა.

გრიგოლ ლორთქიფანიძის ვაჟის — თეიმურაზის მოგონებიდან: „ბაბუაჩემი სპირიდონი როცა ძმებს გამოეყო, სამტრედიელი თადეოზ პაპავას ასულ მართაზე დაქორწინდა, საკუთრებად დაიმტკიცა მეტად მცირე მიწის ნაკვეთი, რომლიდანაც, თავდადებული შრომითაც კი, ორიოდე თვის სამყოფი სიმინდისა და მწვანილის მიღება თუ ხერხდებოდა. სპირიდონმა უარყო აზნაურული სიამაყე, ფიზიკურად შრომობდა შინ თუ გარეთ, ზოგჯერ ბათუმის ქარხნებში საქმიანობდა, რამდენიმე წელი ჭიათურის მაღაროებში ანგრევდა მარგანეცის მადნით დაყურსულ მიწას. კაპიკის კაპიკზე დადებით შექმნა მცირე კაპიტალი და მოახერხა ჰექტარი მიწის სავარგულების ყიდვა. ბაბუამ შრომისმოყვარე მეუღლის თანადგომით საკმაოდ შემოსავლიანი მეურნეობა და სახლკარი გამართა. მის მამულს ორი მხრიდან ანკარა მდინარე სულორი ჩამოუდიოდა, ხოლო დარჩენილი ორი მხრიდან რიყის ქვით ნაშენი ყორე იცავდა. ეზო-კარმიდამოს ლაზათს მატებდა მაღალი ორკარიანი ჭიშკარი. მის ახლოს იყო 10 მეტრის სიმაღლის ჭა, რომელიც არა მარტო წყლით უზრუნველყოფდა ოჯახს, არამედ მაცივრის მოვალეობასაც ასრულებდა. ბაბუა და ბებია მოგვიანებით მოგვითხრობდნენ, როგორ იმოსებოდა ეზო და ბაღი კაკლის, ბროწეულის, ვაშლის, მსხლის, ბლის, ტყემლის, ზეთისხილის, თხილისა და დაფნის ხეებით. შეიძლება ითქვას, რომ ჩემს ჩოხოსან სპირიდონ ბაბუას და ტრადიციული ქართული კაბით შემოსილ მართა ბებიას

მრავალდარგოვანი მეურნეობა ჰქონდათ გამართული. მიწების დიდი ნაწილი მარცვლეულ კულტურებს ეკავა, 1-2 ქცევა ზვარს, თესავდნენ ბალახს, საკმარისად ჰყავდათ პირუტყვი. საკმაო ადგილი ეკავა ბებიას მიერ განსაკუთრებული გულმოდგინებით მოვლილ ბოსტანსა და ყვავილნარს. მარანში ჩამწკრივებული იყო 10, 30, 50 ფუთიანი ჭურები ღვინისათვის, მცირე ზომის – ბოსტნეულის დასამჟავებლად. ბაბუას ჰქონდა სპირტსახდელი მოწყობილობა, აქ ამზადებდა როგორც ჭაჭის, ასევე ხილის არაყს. მოშორებით, მდინარე სულორზე, მეზობელთან, რაჟდენ ლორთქიფანიძესთან ერთად, გამართული ჰქონდა სამღარიანი წისქვილი, სადაც არა მარტო ოჯახის, არამედ მეზობლების მარცვლეულიც იფქვებოდა. ბაბუას გვერდით შრომისმოყვარეობას და მაღალ ზნეობას სწავლობდნენ მისი შვილები. მან ყველაფერი გააკეთა, რომ შვილებს კარგი განათლება მიეღოთ.“

გრიგოლ ლორთქიფანიძემ 1902 წელს დაამთავრა ქუთაისის სათავადაზნაურო გიმნაზია. იმავე წელს ჩაირიცხა ოდესის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტზე, სადაც მხოლოდ ორი კურსი გაიარა.

ოდესის უნივერსიტეტი 1865 წელს დაარსდა და მას ნოვოროსიის საიმპერატორო უნივერსიტეტი ეწოდებოდა. ქართველი ახალგაზრდობა ამ უნივერსიტეტს აქტიურად ირჩევდა, რადგან ის საქართველოსთან ყველაზე ახლომდებარე უმაღლესი სასწავლებელი იყო. ამ მიზიდულობას კიდევ უფრო აძლიერებდა ის, რომ ოდესის უნივერსიტეტში მოღვაწეობდნენ ისეთი სახელგანთქმული ქართველი მეცნიერები, როგორებიც იყვნენ ვასილ პეტრიაშვილი[3] და პეტრე მელიქიშვილი[4]. პეტრიაშვილი რუსეთის პირველი რევოლუციის დროს, ყველაზე კრიტიკულ პერიოდში, ამ უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობასაც ასრულებდა.

ოდესისკენ ქართველი ახალგაზრდების ლტოლვა კიდევ უფრო გაიზარდა 1900 წლიდან, როდესაც აქ, მეოთხე – სამედიცინო ფაკულტეტი გაიხსნა. გრიგოლ ლორთქიფანიძემაც მისაღები გამოცდები ამ ფაკულტეტზე ჩააბარა. ორი კურსის დახურვის შემდეგ, რევოლუციურ მოძრაობაში მონაწილეობისათვის რამდენიმე წლით დააპატიმრეს. გან-

თავისუფლებული, დროებით სამშობლოში დაბრუნდა და რევოლუციურ მოძრაობაში ჩაება. 1905 წლის ბოლოსა და 1906 წლის დასაწყისში ქუთაისში გამოსცა ყოველკვირეული გაზეთი – „სოციალ-დემოკრატიის ფურცელი“ [ჯანელიძე–საკანდიდატო დისერტაცია, გვ. 81]

მოგვიანებით კვლავ უნივერსიტეტს დაუბრუნდა, ოღონდ სწავლა ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტზე გააგრძელა.

სოციალ-დემოკრატიული იდეები ახალგაზრდობიდან შეითვისა, მაგრამ ბოლშევიზმი იმთავითვე სძულდა, მიემხრო მენშევიკურ მოძრაობას და ბოლშევიკთა საწინააღმდეგო იდეურ-ორგანიზაციულ საქმიანობაშიც ჩაება. რუსეთში ცხოვრებისა და მოღვაწეობის ჟამს გაიცნო მომავალი მეუღლე – ლუბა ავრამენკო.

ლუბა წარმოშობით უკრაინელი, ვორონეჟის გუბერნიის დაბა ურაევოდან იყო. მამამისს – ტიმოფეი ავრამენკოს ჰქონდა ტყავისა და ზეთის გამოსახდელი ქარხნები, საკმაოდ მდიდარი იყო და თავის ხუთ შვილს კარგი განათლებაც მისცა. ლუბამ მოსკოვის უნივერსიტეტში ბუნებისმეტყველება ისწავლა და მშობლიურ ურაევოში არსებულ კომერციულ სასწავლებელში დაბრუნდა პედაგოგად. მალე ამავე სასწავლებელში გაანაწილეს ოდესის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტის კურსდამთავრებული, უკვე ცნობილი რევოლუციონერი გრიგოლ ლორთქიფანიძეც. ქალი თერთმეტი წლით უმცროსი იყო ვაჟზე (ლუბა ავრამენკოს დაბადების წელია – 1892). ახალგაზრდა ქალ-ვაჟს ერთმანეთი შეუყვარდა და დაქორწინებაც გადაწყვიტეს. კომერსანტ მამას შვილის არჩევანი არ მოეწონა. პოლიტიკური დევნის ობიექტი, არსებული ხელისუფლების მოწინააღმდეგე კავკასიელის სიძეობა მისთვის ბუნებრივად მიუღებელი იყო. სიყვარულმა თავისი გაიტანა, წყვილი დაქორწინდა და პირველი შვილი, რომელსაც ქართული სახელი დარეჯანი[5] დაარქვეს, ურაევოში დაიბადა.

რუსეთში დაწყებულმა პოლიტიკურმა პროცესებმა, რაც მეფის ხელისუფლების დამხობით, შემდეგ კი – ბოლშევიკური გადატრიალებითა და სამოქალაქო ომის გაჩაღებით გამოიხატა, ახალგაზრდა ცოლ-ქმარს საქართველოში დაბ-

რუნების გადაწყვეტილება მიაღებინა.

თავდაპირველად ოჯახი მშობლიურ ვანის რაიონის სოფელ ისრითში დასახლდა. უკრაინელი ქალი ადვილად შეეგუა ქართულ ტრადიციებსა და გარემოს, მეუღლის მშობლებს, ნათესავებს, შეისწავლა ქართული ენა.

1918 წელს, დამოუკიდებლობის დეკლარაციის გამოქვეყნებისთანავე პარტიულმა ამხანაგებმა ის თბილისში მიიწვიეს, ისიც უყოყმანოდ ჩადგა ეროვნული სახელმწიფოს მშენებელთა რიგებში.

1920 წელს ლორთქიფანიძე ჯერ მთავრობის თავმჯდომარის მოადგილედ დაინიშნა, მერე კი – სამხედრო და განათლების მინისტრი გახდა.

საქართველოში დაბრუნებულ ცოლ-ქმარს კიდევ ორი შვილი, ვაჟები – თეიმურაზი და ნოდარი[6] შეეძინათ.

გრიგოლ ლორთქიფანიძე არ გაჰყვა საქართველოს მთავრობას ემიგრაციაში, ის სამშობლოში დარჩა და სხვა პატრიოტებთან ერთად ბრძოლა განაგრძო საბჭოური საოკუპაციო რეჟიმის წინააღმდეგ. ბოლშევიკებმა ეს არ აპატიეს და დააპატიმრეს. ვერც ციხემ შეაჩერა თავისუფლებისადმი მისი მისწრაფება. ის ახერხებდა წერილობითი კავშირის დამყარებას თანამებრძოლებთან, ეწეოდა შემოქმედებით საქმიანობას, ფიქრობდა საქართველოს ისტორიულ წარსულზე, მის აწმყოსა და მომავალზე.

პატიმრობის წლები ურთულესი იყო არა მარტო იმიტომ, რომ გრიგოლ ლორთქიფანიძეს წილად უმძიმეს პირობებში მოუწია ყოფნამ: მეტეხის, კურსკის, ვორონეჟის, იაროსლავლის საკატორღო ციხეებში, ვლადიმირის სამონასტრო საპყრობილესა და განსაკუთრებულ ბანაკში, არამედ იმითაც, რომ პატიმარი არ ემორჩილებოდა ბედს, წერდა საპროტესტო წერილებს, პუბლიცისტურ ნაშრომებს, სადაც საბჭოთა რეჟიმს დაუნდობლად აკრიტიკებდა. ამგვარი პროტესტანტული სულის ადამიანებს ტოტალიტარული საბჭოური სისტემა უსიტყვოდ ანადგურებდა. თუმცა ამ შემთხვევაში ჩვენს გმირს უცნაურად გაუგრძელეს სიცოცხლე. პირადად სტალინი მასზე ხან მოწყალებას იღებდა, ხანაც უკანვე – საკონცენტრაციო ბანაკებში აბრუნებდა.

ჯერ იყო და 20-იან წლებში ჩამოიყვანეს და აზრები გამოჰკითხეს ახალი საქართველოსა და აქ გაჩაღებული მშენებლობების შესახებ. როდესაც მისი კრიტიკული შეფასებები მოისმინეს, ჭკუის სასწავლებლად უკანვე შეაბრუნეს. 1936 წელს, სტალინის უშუალო ნებართვით, პატიმარს ოჯახის წევრებთან კოსლოვოდსკში მკურნალობის უფლებაც კი მისცეს. ეს უფლება მოჩვენებითი იყო ისევე, როგორც კომუნიზმის მშენებელი საბჭოთა სახელმწიფოს მესვეურთა სხვა ღონისძიებანი. პატიმარმა ლორთქიფანიძემ ციხიდან განათლების სახალხო კომისარს, ბოლშევიკ ბუბნოვს პოლემიკა გაუმართა, დაუწუნა განათლების სისტემაში გატარებული ღონისძიებები, ქვეყანაში მიმდინარე კულტურული რევოლუცია. კამათმა პოლიტიკური სახე მიიღო და საკავშირო კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტში გადაინაცვლა. დავა და ორივე მხარის მიერ წამოყენებული არგუმენტები განიხილეს და უჩვეულო დასკვნა გამოიტანეს: გაამტყუნეს მინისტრი და პატიმარი გაამართლეს, ფულადი ჯილდო და დასვენების ულებაც კი მისცეს. პატიმარს გაუჩინეს განთავისუფლების ილუზია, თუმცა არ ჩქარობდნენ: სახელმწიფო მანქანა ცბიერ კატასავით ათამაშებდა კლანჭებში მოქცეულ თაგვს, როდესაც ისურვებდა, მაშინ გამოასალმებდა სიცოცხლეს...

1936 წელს გრიგოლ ლორთქიფანიძის მიერ მეუღლისადმი გამოგზავნილი წერილიდან: „მინდა ერთი სასიხარულო ამბავი გაცნობო: ჩემი დავა განათლების კომისარ ბუბნოვთან პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა ჩემს სასარგებლოდ გადაწყვიტა, რაც, ცხადია, იმის უტყუარი დასტურია, რომ მე გამანთავისუფლებენ. მომცეს გაცდენილი პერიოდის ფულადი კომპენსაცია, 2600 მანეთი, რასაც გიგზავნი ოთახის სასყიდლად. ცხადია, ეს მატერიალური ანაზღაურება ისეთი ღარიბი პიროვნებისათვის, როგორიც მე ვარ, მნიშვნელოვანი საქმეა, მაგრამ მთავარი მაინც სხვა არის. თვით ფაქტმა, რომ მე გავიმარჯვე, დიდი მოქალაქეობრივი და მორალური კმაყოფილება მომანიჭა“.

1937 წლის დასაწისში გრიგოლ ლორთქიფანიძეს, რომელიც სამშობლოში დასაბრუნებლად ემზადებოდა, პა-

ტიმრობის ახალი ვადა და ახალ ადგილზე გადასახლება გამოუცხადეს.

ნაწყვეტი ლეო რუხაძისადმი გაგზავნილი წერილიდან: „ძვირფასო შვილობილო! მრავალს გაკოცებ სიყვარულით. ჩემი ამბავი გეცოდინება. ასე გვითხრეს: 13 იანვარს დაგიმზადებთ სამშობლოში წასასვლელ დოკუმენტებსო. დათქმულ დღეს კი გამოგვიცხადეს დაპატიმრება და დაგვინიშნეს ჩხრეკა. იმავე საღამოს წაგვიკითხეს 21 დეკემბრის დადგენილება: ხუთი წელი გამასწორებელი ბანაკი. 17 იანვარს გაგვგზავნეს ციმბირში – მარინსკში, ხოლო აქედან მიგვიყვანეს კუზნეცკში. ამდენად, თვეზე მეტია არ მოგვცილდა გადასახლება და ეტაპი. ბოლოს გამოგვიცხადეს: გაგზავნით გორნობორის ბანაკში, რკინიგზის შენებაზეო. ეს ყველაზე მძიმე ბანაკია მთელ ციმბირში, სადაც ზაფხული თითქმის არ იცის. ალექსანდრე დგებუაძე ძალიან დასუსტებულია, ძვლებად და უმთავრესად ნერვებად არის ქცეული. მე თითქოს არა მიშავს-რა, ოღონდ ეგ არის, ბრონქიტი დამემართა და ქრონიკული სურდო, მკბენარებმა ამიკლეს და მაწამებენ. ველით ამ დღეებში გამგზავრებას. იციან თუ არა სახლში ჩემი ამბავი, არ ვიცი. მოკითხვა გრიშას და სხვებს“...

1937 წელსვე კვლავ საქართველოში ჩამოიყვანეს, „დივერსიული ჯგუფის“ გამოსავლენად. ვერ გამოიყენეს და ჩეკას ჯურღმულებში დახვრიტეს.

ფიქრები საქართველოზე – მიწაში ჩამარხული წიგნის ძალა

ყველგან თან დასდევდა, ყველგან ტანჯავდა და წარმოუდგენელ სითამამეს აძლევდა საქართველოზე ფიქრი. სუზდალის ციხეში დაწერილ წიგნსაც ეს სახელი დაარქვა. თუმცა მისთვის არც ეს წიგნი ყოფილა ჩვეულებრივი, მწერლის, მეცნიერისა თუ საზოგადო მოღვაწის ნააზრევი. ეს იყო მხოლოდ ტკივილი და მომავალი თაობებისათვის გასაზიარებელი აზრები, ამიტომ უნდოდა არ დაკარგულიყო, მიწაშიც კი ჩაფლო, ციხის ადმინისტრაციას და ზედამხედველებს რომ არ გაენადგურებინა. ბოლოს, თავისუ-

ფლების ყველა იმედი რომ გადაეწურა, სახლში გამოგზავნა. არც წაუკითხავთ, ისევ მას უნახავდნენ, მხოლოდ მაშინ გახსნეს გადანახული ჩემოდანი, როდესაც მისი დახვრეტისა და გამართლების ცნობა ერთდროულად მიიღეს, 1955 წელს. წაიკითხეს, მაგრამ ისევ გადამალეს, შეშინებული და დაშინებული ოჯახი ამის შესახებ ვერც იტყოდა რაიმეს და ჯერ არც დრო დამდგარიყო „ქვების სროლისა“. წიგნმა დღის სინათლე მხოლოდ საქართველოს დამოუკიდებლობის ახალ ხანაში იხილა: 1995 წელს ქართველმა მკითხველმა წაიკითხა საოცრად მართალი და გონივრულად დაწერილი საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოთხრობა-ტრაქტატი – „ფიქრები საქართველოზე“.

დღეს გაოცებას იწვევს დოკუმენტების, ლიტერატურის გამოყენების გარეშე როგორ დაწერა პატიმარმა პოლიტიკოსმა ასეთი წიგნი. ისტორიული პროცესების კარგი ცოდნა და ანალიზის უნარი, როგორც კონკრეტულად, – პროფესიონალი ისტორიკოსის (მას ხომ ოდესის უნივერსიტეტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტი ჰქონდა დამთავრებული!), ასევე ზოგადი განათლების მაღალი დონე მკითხველისთვის იმთავითვე ხდება საცნაური. დღესაც, წიგნის დაწერიდან ამდენი დროის გასვლის შემდეგ, ყველაფერი თანამედროვედ და სიმართლედ ჟღერს, ყავლი წიგნში ჩადებულ ავტორის პოზიციას არ გასვლია. ეს ეხება საქართველოს უძველესი წარსულის ისტორიულ გააზრებას, საქართველო-რუსეთის ურთიერთობის, თუ დამოუკიდებელი საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკის ანალიზს. დღესაც ამ წიგნს ვუტრიალებთ და ვხვდებით, რომ ჩვენი წინაპრები სწორად სჯიდნენ და ამიტომაც ვფიქრობთ, რომ ჩვენს პოლიტიკოსებს ხშირად მართებთ დაეკითხონ მათ, როდესაც საქართველოს პოლიტიკური პრიორიტეტების განსაზღვრა სურთ – მათი აზრებიც გაითვალისწინონ...

რუსულ არტახებში გაკრული ქართული ეკლესია

გრიგოლ ლორთქიფანიძეს ეამაყებოდა ქართველობა, ეამაყებოდა ის ტრადიციები, რომელზეც ქართული გენი

ამოზრდილიყო. ქართულ სახელმწიფოს იგი მსოფლიოში უძველესად მიიჩნევდა, თვლიდა, რომ საქართველომ პოლიტიკური განვითარების დონით ბევრ ხალხს გაუსწრო. განსაკუთრებული დამსახურება ამ საქმეში, მისი აზრით, ქართულ მართლმადიდებელ ეკლესიას ეკუთვნოდა. ის გამაერთიანებელ მისიას ასრულებდა მაშინაც, როდესაც ქვეყანა პოლიტიკურად დაშლილ-დაქუცმაცებული იყო. ამ დროს, ტოტალიტარული რეჟიმის ხანაში, როდესაც მთავრობის განკარგულებით ეკლესიები ინგრეოდა და სასულიერო პირთა რეპრესიები ჩვეულებრივი მოვლენა გახდა, ეკლესიის დიდი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის აღნიშვნას გამორჩეული მნიშვნელობა ჰქონდა. პატიმარი პოლიტიკოსი ამით კიდევ ერთხელ უსვამდა ხაზს საკუთარი პრინციპებისადმი უშეღავათო ერთგულებას, უშიშარ ხასიათს, ობიექტურობის ღრმა განცდას [ბენდიანიშვილი 2008:15-19].

საინტერესოა საქართველოსთვის ქართული ეკლესიის ბრძოლის გრიგოლ ლორთქიფანიძისეული შეფასება.

ჯერ კიდევ 1924 წელს სუზდალის ციხეში გრიგოლ ლორთქიფანიძემ დაწერა სტატია ქართულ სახელმწიფოში ეკლესიის როლსა და მნიშვნელობაზე, საქართველოს ეკლესიის მიმართ რუსეთის რეაქციულ იმპერიულ პოლიტიკაზე. აი, რას წერდა იგი: „რუსეთის მთავრობამ ძლიერ კარგად იცოდა, თუ რა უაღრესად ეროვნულ-სახელმწიფოებრივ როლს თამაშობდა ეკლესია საქართველოს წარსულ ცხოვრებაში და ამიტომ მისი დანგრევა და იქიდან ქართული სულის ამოწვა ერთი უმთავრესი მუხლი შეიქმნა საიმპერიო მთავრობის რუსიფიკატორული პროგრამისა. ისე, როგორც ქართველი ხალხის ყველა სხვა წრეები, სამღვდელოებაც არ შერიგებია უბრძოლველად რუსიფიკაციის პოლიტიკას. ამ ბრძოლის დასაწყისი და მისი უკანასკნელი პერიოდი ძლიერი დრამატიზმითაა აღსავსე. ქუთათელ მიტროპოლიტ დოსითეოსიდან[7] და გაენათელ ექვთიმედან[8] დაწყებული, ვიდრე დღევანდელ კათალიკოზ ამბროსიმდე[9] (რომელსაც ამ სტრიქონების წერის დროს (1924) ასამართლებს რუსეთის ხელისუფლება ქართველი ეროვნებისა და საქართველოს

დაცვისათვის) ქართული ეკლესიის ისტორია არის წამება ამ ეკლესიისა „ერთმორწმუნე“ რუსეთისაგან.

რუსეთის საეკლესიო იმპერიალიზმმა გატეხა წელში საქართველოს საოპოზიციო მოძრაობა, მაგრამ მას ეროვნული სული ვერ ამოხადა. ქართული ეკლესია იძულებული შეიქნა დამორჩილებოდა და ძალაუნებურად შეგუებოდა თავის ერთმორწმუნე ბატონს, მაგრამ ის მთელი ამ ხნის განმავლობაში მაინც იყო ერთი უდიდესი ეროვნული ფაქტორი და ჩვენს ისტორიაში ძნელია მითითება მეორე ისეთ ძლიერ დაწესებულებაზე და წრეზე, რომელმაც ესოდენ დიდი როლი ითამაშა ეროვნული სახისა და სულის შენარჩუნებაში. ეს აზრი უნდა მტკიცედ და გადაჭრით ითქვას, ვინაიდან ეს არის ისტორიული ჭეშმარიტება, ხოლო ჭეშმარიტება, წარსულს ეხება ის თუ დღევანდელ დღეს, უნდა ითქვას მიუდგომლად, სრული ობიექტურობით, და უნდა ითქვას იმიტომ, რომ სრული ისტორიული სიმართლის ცოდნა აუცილებელია როგორც დღეისათვის, ისე ხვალისათვის.“

გრიგოლ ლორთქიფანიძემ თავის სტატიაში დიდი ადგილი დაუთმო ეკლესიების ძარცვა-რბევის, კედლების შეთეთრებისა და რუსი ჩინოვნიკების მიერ ქართველი ხალხის ეროვნული იდენტობის წაშლის მცდელობას. „ეკლესია-მონასტრები საქართველოში, – წერდა იგი, – ისე როგორც მრავალ სხვა საქრისტიანო ქვეყნებში, ერთსა და იმავე დროს წარმოადგენდნენ განათლებისა და მეცნიერების კერას, მუზეუმსა და წიგნთსაცავებს და ერთგვარ ეროვნულ საგანძო სალაროებს. რუსეთის ანაფორიანი და მუნდირიანი ჩინოვნიკები თითქოს ერთიმეორეს ეჯიბრებოდნენ ქართული ეკლესია-მონასტრების სულიერი და ხორციელი გაძარცვის საქმეში. ეგზარხები და ნამესტნიკები, გუბერნატორები და რუსი ეპისკოპოსები ერთნაირის გულმოდგინებით თხრიდნენ თვალ-მარგალიტებს ქართული ეკლესია-მონასტრების ხატებს და თვით ხატებიც მიჰქონდათ რუსეთს. იქითკენვე ეზიდებოდნენ ძვირფას ისტორიულ არქივებსა და განძებს. და ძლიერ ხშირად, ქართული ეკლესიის ეროვნული სახის აღმოსაფხვრელად ისეთ ველურობასაც კი სჩადიოდ-

ნენ, რომ საყდარში ქართულ მხატვრობასა და ფრესკებს კედლებიდან ფხეკდნენ, კირით ლესავდნენ და მის ადგილს თავის რუსულ-სუზდალურ ტიპებსა და მხატვრობას ასახიერებდნენ, რასაკვირველია რუსულსავე წარწერით.“

პატიმარი პატრიოტი ქართველი არ ერიდებოდა იმის აღნიშვნას, თუ როგორ უსამართლოდ წაართვა საქართველოს უძველეს, სამოციქულო ეკლესიას მეათე საუკუნის ბოლოს წარმოქნილმა რუსულმა ეკლესიამ და სინოდმა ავტოკეფალია, როგორ მოუსპო ნივთიერი სახსარი, ჩამოართვა მამულები და მისი ქონება სახაზინო უწყებას გადასცა.

გრიგოლ ლორთქიფანიძე საგანგებო ყურადღებას ეკლესიის გარუსებას, ქართული ენის ნაცვლად რუსულ ენაზე წირვა-ლოცვის ჩატარების მცდელობას აქცევდა.

„დამპყრობლის მიზანი იყო ქართული ეკლესიის სრულად გარუსება, — წერდა იგი, — იქიდან ქართული ენის სრული განდევნა. მაგრამ ეს საქმე თავისთავად უდიდეს სიძნელეს წარმოადგენდა, და აი, რატომ: ქართველი ხალხი ერთი უბედნიერესი ერია იმ მხრივ, რომ მისი სალაპარაკო და სამწერლო ენა ერთი და იგივეა, ქართველი ხალხის სალაპარაკო ენა უაღრესად ლიტერატურულია, ხოლო მისი ლიტერატურული ენა უაღრესად ხალხურია. და აი, ამ ცოცხალს ენაზე ღვთისმეტყველებდა ქართველი ხალხი მრავალ საუკუნეთა განმავლობაში, ესე იგი, ამ ენაზე ლოცულობდა, სწავლობდა, ვითარდებოდა და იბრძოდა. ამიტომ, ჩრდილოელი ბატონის განზრახვა იყო ეკლესიებიდან სრულიად განედევნა ქართული ენა. ის ამას იოლად ახერხებდა საეკლესიო ორგანიზაციის ზედა ფენებში, მაგრამ ცოცხალ ქართული ენის ღვთისმსახურებაზე აღზრდილ საქართველოს მრევლს, მასიურ მორწმუნეს, რომელიც წარმოადგენდა ერის უმთავრეს ფენას და მის საფუძველს, ასე ადვილად ვერ წაართმევდი ღვთისმსახურების უფლებას იმ ენაზე, რომელზედაც ის დასაბამიდან ლოცულობდა მუდამ, მიუხედავად იმისა, არაბნი სძლევდნენ მის ქვეყანას თუ თურქები, ამიტომ რუსიფიკატორულმა პოლიტიკამ მრევლს ვერაფერი დააკლო, რადგან აქ მეტად ძლიერი იყო

ხალხურ-მასიურ-ეროვნულ-რელიგიური ინერცია.“

რთული იყო წმინდა სინოდისა და ქართული სასულიერო სკოლის ურთიერთობა.

„უწმინდესმა სინოდმა რუსულ არტახებში გააკრა ქართული სასულიერო სკოლა. განუწყვეტლივ და დაუღალავად მუშაობდნენ ეგზარხები და რუსი ბერები, რომ ამ სკოლიდან ქართული სული და ელფერი განედევნათ, მაგრამ სასულიერო სკოლის პირწმინდათ გარუსება მაინც შეუძლებელი შეიქნა შედარებით საერო სკოლასთან და ეს იმიტომ, რომ საქართველოს სასულიერო სკოლებს უნდა ემზადებინა მღვდლები ქართველ მორწმუნეთათვის, ქართული მრევლისათვის, რომელსაც არც შეეძლო და არც უნდოდა ყოფილიყო არაქართული...“

გრიგოლ ლორთქიფანიძე იხსენებდა, რომ სასულიერო სკოლებში ქართული ენა- ლიტერატურისა და საქართველოს ისტორიის სწავლება იყო შედეგი ქართველი მრევლის სიმტკიცისა და ეროვნული სულის სიძლიერისა. რუსული ხელისუფლება იძულებული გახდა ეს ოაზისი ამ სფეროში დაეტოვებინა. სწორედ ამიტომ, საქართველოს სასულიერო სასწავლებლებმა, თბილისის სასულიერო სემინარიის მეთაურობით, XIX საუკუნის ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში განსაკუთრებული როლი შეასრულეს.

პუბლიცისტი გამორჩეულ აქცენტს საქართველოს განაპირა კუთხეების ეკლესიებში გატარებულ რუსულ საეკლესიო პოლიტიკაზე აკეთებდა.

მისი აზრით, ქართულ სასოფლო მრევლში დამარცხებულმა რუსულმა საეკლესიო იმპერიალიზმმა ნაწილობრივ რევანში აიღო ქართულ ქალაქებში და განსაკუთრებით საქართველოს განაპირა კუთხეებში. თუ ქართული ეკლესია, ტრადიციულად, განაპირა კუთხეებს ადუღაბებდა ცენტრთან და საქართველოს ერთიანობას მტკიცე საფუძველს უყრიდა, რუსულმა ეკლესიამ საწინააღმდეგო როლი ითამაშა: განაპირა კუთხეების ეკლესიაში შეაღწია და გაარუსა, გამოდევნა იქიდან ქართული ენა და ნელ-ნელა გააუცხოვა ეს კუთხეები საქართველოს მიმართ. „რუსეთმა საქართველო რუსულ გუბერნიებად და მაზრებად დასჭრა,

ხოლო ქართველი ერის არსებობა გააზღაპრა, ასეთი ნაცია თითქოს არ არსებობდა. მისთვის იყო ქართლელები და გურულები, მეგრელები და კახელები, იმერლები და სვანები, აჭარლები და ხევსურები და ასე ბოლომდე. ამ მიზნისათვის დიდის თავგამოდებით მუშაობდა რუსული ეკლესია და იერიში საქართველოს განაპირა მხარეებზე მიიტანა. რუსული სინოდის ობერ-პროკურორები, შავანაფორიანი და შავგულიანი ბერები, ეს აღზრდით ვახტმისტრები და რწმენით „პოგრომშჩიკები“, რომელთა ხელობა და წმინდა საქმიანობა იმაში მდგომარეობდა, რომ მცირე ერები გაენადგურებინათ. აი, ეს მონობის მოციქულნი, ასე წარმოიდგინეთ, საქართველოში გამოდიოდნენ სუსტ ერთა ჩაგვრის წინააღმდეგ, თავისუფლების ეს უებარი რაინდები იღწვოდნენ იმისთვის, რომ ქართველი ერისა და ქართული ენის „მონობიდან“ გაენთავისუფლებინათ სხვა ტომები. ამ ლოზუნგით ეკვეთა რუსული იმპერიალიზმი ქართულ ენასა და ეკლესიას განაპირებზე, როგორც მაგალითად: აფხაზეთსა და სამურზაყანოში, ოსურ სოფლებში გორის მაზრის ჩრდილოეთით და სხვაგან. ოი, საკვირველებავ, აი, ეს ხალხი ისახავს მიზნად შეუქმნან მწერლობა და სამწერლო კულტურა იმ ნახევრად გაქართველებულ მცირე ტომებს, რომლებსაც მეოცე საუკუნემდე არ ჰქონიათ თავიანთი მწიგნობრობა და ქართული ენის საუნჯით ცხოვრობდნენ და თვითონაც ამ საუნჯეს ქმნიდნენ და ავსებდნენ...“

XIX საუკუნის 70-80-იან წლებში რუსმა შოვინისტებმა დაიწყეს სამეგრელოში ანტიქართული პროპაგანდა, იყო დამწერლობის შემოღების მცდელობა მეგრელებისათვის, სპეციალურად გამოგზავნეს პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის თანამშრომელი გრენი[9], მაგრამ ეს წამოწყება ქართველი ერის მოწინავე შვილებმა, სამეგრელოს მკვიდრმა მოსახლეობამ იმგვარად გააპროტესტა, რომ დამპყრობელმა დასახულ გეგმაზე ხელი აიღო. გრიგოლ ლორთქიფანიძე ქართული ეკლესიისადმი მიძღვნილ სტატიაში ეხება ამ ფაქტს და წერს: „ეს ჩრდილოელი, პატარა ერების განმათავისუფლებელი იქამდეც კი მიდის, რომ ქართული კულტურის ერთ-ერთ უდიდეს ბურჯს, საქართ-

ველოს ისტორიის ერთ-ერთ უდიდეს მჭედელს, ქართველი ერის ორგანულ ნაწილს, მის სისხლსა და ხორცს – სამეგრელოს ცალკე ნაციად აცხადებს და სერიოზულად ოცნებობს იმის შესახებ, რომ მისთვის შექმნას ცალკე მწიგნობრობა და ეროვნული კულტურა და ამგვარად „გაანთავისუფლოს მონობისაგან“. მაგრამ ეს სატანისებური ზრახვანი უმართებულესი სინოდისა და უწმინდესი პოლიციის დეპარტამენტებისა მყისვე ჩაიხშო და ჩაიფერფლა მთელი ქართველი ერის საერთოდ და კერძოდ და განსაკუთრებით მეგრელების განუსაზღვრელი ზიზღისა და აღშფოთების ცეცხლში ამ ჯოჯოხეთური პროვოკაციის წინააღმდეგ. რაც შეეხება ოსურ, აფხაზურ და ზოგიერთ სხვა განაპირა რაიონებს, აქ ანტიქართულ საქმიანობაში რუსულმა ეკლესიამ ნაწილობრივ მიაღწია თავის მიზანს. მან შექმნა ამ ადგილებში დასაყრდენი ციხე-სიმაგრეები ძველი და ახალი მონასტრების სახით, გამაგრდა ახალი ათონის მონასტერში, დაეპატრონა ძველ ქართულ საკათალიკოზო კერას ბიჭვინთას და სხვა.“

გრიგოლ ლორთქიფანიძე შეეხო საინგილოსა და მესხეთში გატარებულ რუსულ რეაქციულ საეკლესიო პოლიტიკასაც და ეს მოვლენა ისტორიკოსისა და მოაზროვნის სწორი თვალთახედვით შეაფასა: „ რუსმა ბერებმა არ დატოვეს უყურადღებოდ არც საქართველოს ძველი კერა, მისი კულტურისა და ქრისტიანობის აკვანი, მერმე მახვილით გამაჰმადიანებული სამხრეთი საქართველო. აქ ისინი დაეპატრონენ დიდებულ და უძველეს საფარის მონასტერს, მაგრამ დაეპატრონენ არა იმისთვის, რომ შევიწროებულ ერთმორწმუნე ქართულ ეკლესიას დახმარებოდნენ და ძმურად ფეხზე დაეყენებინათ, არამედ იმისთვის, რომ აქ რუსიფიკაციის კერა გაეჩაღებინათ, თვით ტაძარში ქართული ფრესკები ჩამოეფხიკათ, იკონოსტასები დაენგრიათ და მათ ადგილას რუსული ფრესკები გამოესახათ... ვისაც საქართველოს ეროვნულ-პოლიტიკური მოკვლა უნდოდა, მას უნდა მესხეთი მოეგლიჯა საქართველოდან, ქართველი ერიდან, ასედაც იქცეოდა და მოიქცა ისლამი. თურქთაგან განთავისუფლების შემდეგ აქ კი არ აღორძინდა ქართუ-

ლი კულტურა, არამედ სწორედ XIX და XX საუკუნის დასაწყისში დაწყდა მრავალი ის ეროვნული ძაფი, რომელიც ნახევრად გამუსლიმანებულ ქართველებს აკავშირებდათ თავის მშობელ ერთან. და ამ საქმეს შეგნებულად უწყობდა ხელს რუსეთის მთავრობა. მნიშვნელოვან სტრატეგიულ პუნქტებში შექმნეს რუსული სოფლები, როგორც სამცხეში, ისე ჯავახეთსა და არტაანში, ასევე პატიჟობდნენ და ასახლებდნენ ბერძნებსა და გერმანელებს, ოსმალეთში დევნილ სომხებსა და მათ მიერვე რუსეთში განაწამებ რუს სექტანტებს. აქვე მოუხმობდნენ და ამკვიდრებდნენ ქუჩათმავალ კარაპახებს და ქურთებს, მუტრუფებსა და თურქმენებს, ნახევრად გამაჰმადიანებულ ქართველებს კი ოსმალეთში მიერეკებოდნენ, ხოლო იმ ქართველ ხალხს, რომელთა წინაპრებმა შექმნეს ვარძია და კუმურდო, ზარზმა და საფარა, ჭულევისა და წყაროსთავის ტაძრები, ამ ხალხს არ აძლევდნენ თავის სახლში დაბრუნების უფლებას. რუსეთის ხელისუფალნი საიმედო, ესე იგი არაქართველი ტომებით ასახლებდნენ მესხეთში გადასასვლელ მნიშვნელოვან პუნქტებს, როგორიცაა მაგალითად ციხის ჯვრის ბერძნებითა და მოქცევის (მოქცევი – სოფელ აწყურთან, ისტორიული სლესის ციხის მიდამოებში) რუსებით დასახლება, იმ მოსაზრებით, რომ ხელი შეეშალათ ძველი და ახალი საქართველოს ურთიერთობა-გაერთიანებისათვის.

არ იყო არცერთი საშუალება, რომელსაც მორიდებოდნენ რუსის იმპერიალისტები, ოღონდ მესხეთში ყოველი ქართული აღმოეფხვრათ. და თუ ამ მიზანს სავსებით ვერ მიაღწიეს, თუ მესხეთში მაინც ღვივა ქართული ცეცხლი, ეს უმთავრესად მიეწერება სამ გარემოებას: 1) ძლიერი ეროვნული ტრადიცია, რომლის მფარველი და განმასახიერებელია უამრავი დიდებული ძეგლი, რომლის წინაშე დღესაც მოკრძალებით ქედს იხრის უკვე სრულიად გადაყრუებული და გათურქებული ქართველი გლეხიც კი; 2) იმ საკმაოდ ენერგიულ თავდაცვით ბრძოლას, რომელსაც აწარმოებდა აქ ქართული მართლმადიდებელი ეკლესია; 3) ასეთივე ხასიათის მუშაობა-მოღვაწეობა ქართული კათოლიკური ეკლესიისა, რომელიც სრულიად თავისუფალი იყო

რუსული გავლენისაგან და წარმოადგენდა ძლიერ ქართულ ეროვნულ ფაქტორს. საქართველოსა და ქართველი ერის ისტორიაში ეკლესია თამაშობდა უდიდეს როლს, ის იცავდა ეროვნებასა და პოლიტიკურ მთლიანობას".

ასე ჯანსაღად და ობიექტურად აფასებდა გრიგოლ ლორთქიფანიძე ქართული ეკლესიის ადგილსა და როლს ქართველი ხალხისა და საქართველოს სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში [ზარქუა:2007, 21-24].

გეორგიევსკის ტრაქტატისა და რუსეთის აგრესიული პოლიტიკის შეფასება

საქართველოს ისტორიული წარსულის ერთ მნიშვნელოვან მომენტს – 1783 წლის გეორგიევსკის ტრაქტატს „ფიქრების" ავტორი საღ შეფასებას აძლევს. მისი აზრით, ქართველმა პოლიტიკოსებმა ამ დოკუმენტში იმის იმედი ჩადეს, რომ ამ გზით აღდგებოდა საქართველოს მთლიანობა, გზა გაიკაფებოდა ევროპისაკენ, საქართველო ევროპული ცივილიზაციის წიაღს დაუბრუნდებოდა. სამწუხაროდ, იმედი არ გამართლდა. რუსეთმა ცალმხრივად დაარღვია ხელშეკრულება, მოახდინა საქართველოს ოკუპაცია-ანექსია, – ასეთი იყო ისტორიული რეალობა, რასაც გრიგოლ ლორთქიფანიძე გულისტკივილით აანალიზებდა და წერდა: „რუსეთმა პირდაპირ მიზნად დაისახა ქართველი ხალხის შეგნებასა და ხსოვნაში არა მარტო ქართული სახელმწიფოებრიობის იდეის აღმოფხვრა, არამედ თვით მისი ეროვნული მეობის წაშლაც."

ნაშრომში ზოგადად, მაგრამ სწორადაა ნაჩვენები ქართული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ეტაპები, ბრძოლის ფორმები, ის სულისკვეთება და მიზნები, რაც ამ მოვლენებს ახლდა. ავტორი იმასაც აღნიშნავდა, რომ საქართველოში ეროვნულ-განმათავისუფლებელი და სოციალურ-განმათავისუფლებელი მოძრაობა თითქმის მთელი საუკუნე პარალელურად მიმდინარეობდა. მისი აზრით, რუსეთის პირველი და მეორე რევოლუციების დროს

მოხდა მათი შერწყმა და გამარჯვებით დაგვირგვინება, რაშიც მეტ-ნაკლები როლი შეასრულა საქართველოს მოსახლეობის ყველა კლასმა და ფენამ.

„ფიქრებში“ დადებითადაა შეფასებული საქართველოს პირველი რესპუბლიკის სახელმწიფოებრივი წყობილება, მრავალპარტიული დემოკრატია, რაც 1921 წლის კონსტიტუციაში აისახა და უფრო ფართო სამომავლო საქმიანობას უნდა დადებოდა საფუძვლად. მაგრამ რუსეთის დაპყრობამ დიდი ხნით შეწყვიტა ქართული სახელმწიფოს თავისუფალი განვითარების პროცესი. ავტორის აზრით, „რუსეთის წითელი იმპერიალიზმი ყველგან და ყველაფერში სავსებით იმავე მიზანს ემსახურებოდა საქართველოსა და კავკასიაში, რომელსაც წინათ ატარებდა მონარქიული რუსეთი.“ ისევე, როგორც მონარქიულ რუსეთს ებრძოდა ქართველი ხალხი, ამჯერადაც არ შეუშინდა მტერს და ისეთივე გმირული სულისკვეთებით დაუპირისპირდა „წითელ იმპერიალიზმს.“

უკვე აღვნიშნეთ სოციალ-დემოკრატთა ე. წ. მენშევიკური ფრთის ზოგ საკითხში მსგავსება მათ ექსტრემისტ თანაპარტიელებთან – ბოლშევიკებთან. თუმცა უნდა დავაზუსტოთ, რომ ეს პარტიის ყველა წევრს არ ეხებოდა, არც მთლიანად პარტია ყოფილა თავის შეხედულებებში, განსაკუთრებით ეროვნულ საკითხში, სწორხაზოვანი თვალსაზრისის. პარტიამ ერთგვარი ფერისცვალება განიცადა, დამოუკიდებელი სახელმწიფოს სათავეში მოსვლის შემდეგ მისი წევრები ნელ-ნელა გადავიდნენ ეროვნულ პოზიციაზე და ბოლოს, ბევრი მათგანი ისე აზროვნებდა და იბრძოდა სამშობლოს ინტერესებისთვის, რომ გაჭირდება მათი დაკავშირება ადრინდელ პიროვნებებთან. ადრე ისინი საერთო ამიერკავკასიური სახლის მშენებლობის იდეით იყვნენ აღფრთოვანებულნი, მერე, ეს სახლი რომ ჩამოინგრა, საკუთარი, ანუ ქართული სახლის მშენებლობას შეუდგნენ. მერე, ამ სახლის შევიწროება მოინდომეს მეზობლებმა და ლოზუნგის – „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით“ განხორციელება საქართველოში სცადეს, აქ მოინდომეს არაქართველების დასახლება და ქართველების შევიწროება. დაიწყო საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ხე-

ლყოფა, რამაც სოციალისტური იდეოლოგები ეროვნული იდეოლოგიის რელსებზე გადაიყვანა.

რამდენიმე მაგალითიც საკმარისია ამ ფაქტის სისწორეში დასარწმუნებლად. სახალხო გვარდიის სარდალი, შემდეგში საქართველო-სომხეთის ომის თავდადებული მონაწილე ვალიკო ჯუღელი''-ამ ბრძოლამდე სულ რაღაც თვეების წინ, ასე წერდა: „მე მზად ვარ უარი ვსთქვა ბამბაკსა და ლორეზე, დაე, ფლობდნენ ყოველივე ამას სომხები, თუ ეს ჩვენს ნამდვილ ძმობას წაადგება. მათ უნდა გაიგონ, რომ მათი საუკეთესო მოკავშირე ახალგაზრდა ქართული დემოკრატიაა“. ამის დამწერს აღარაფრით ჰგავდა საქართველოს ყველა გოჯი მიწის დასაცავად თავგანწირული მებრძოლი ჯუღელი, არც ევგენი გეგეჭკორის'[12] შეხედულებაა ე.წ. „სამხრეთ ოსეთზე“ დღევანდელი ქართული ეროვნული თვალსაზრისისაგან რაიმეთი განსხვავებული. დამოუკიდებელი საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი, რუსეთის მასშტაბით ცნობილი სოციალისტი იყო. ის სახელმწიფო დუმაში მოღვაწეობდა და ინტერნაციონალურ- კოსმოპოლიტური აზროვნებით უფრო გამოირჩეოდა, ვიდრე ქართველი ხალხის ეროვნულ ინტერესთა დაცვით. ამის საპირისპიროდ, საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტზე, ის ხმალამოღებით იცავდა ქვეყნის ტერიტორიულ მთლიანობას, ამტკიცებდა ქართველი ხალხის უფლებას თავის მიწა-წყალზე, შინაურსა თუ გარეშე მტრებს აფრთხილებდა – მისი ხელყოფისაგან თავი შეეკავებინათ, წინააღმდეგ შემთხვევაში ქართველ ხალხთან სამკვდრო-სასიცოცხლო ომში ჩაბმა მოუხდებოდათ. რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის – გიორგი ჩიჩერინის დეპეშას – თავი გაანებეთ ოსეთს, მათ უფლება აქვთ საბჭოთა წყობილება გამოაცხადონო,–ევგენი გეგეჭკორმა ასე უპასუხა: „საქართველოს მთავრობა უკიდურესად შეშფოთებულია თქვენი ნოტის იმ ნაწილით, სადაც ლაპარაკია საქართველოს განზრახვაზე იარაღით ჩაახშოს საბჭოთა რესპუბლიკა სამხრეთ ოსეთში. საქართველოს საზღვრებში არ არის სამხრეთ ოსეთი, არამედ საქართველოში მყოფი ოსური დასახლებები მდებარეობენ არასადაო ტერიტორიაზე თბილისის გუბერნიის ძველი საზღვრის სამხრეთით,

იმ სასაზღვრო ხაზის სამხრეთით, რომელიც დადგენილია საქართველო-რუსეთის ხელშეკრულებით... ჩვენ გაუგებრობად და გაუგებრობაზე დაფუძნებულად მიგვაჩნია თქვენი გამოსვლა საქართველოს ერთ-ერთ პროვინციაში ვითომცდა არსებული საბჭოთა ხელისუფლების დასაცავად...“ რუსეთმა საქართველოს დამოუკიდებლობა აღიარა 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულებით იმ ტერიტორიის ფარგლებში, რასაც ამ ნოტით უგულვებელყოფდა. ასეთ უპრინციპო პოლიტიკასთან უხდებოდათ შეჯახება საქართველოს მმართველი პარტიის წევრებს, რომელთაც საბოლოოდ გაუტყდათ გული ოდესღაც სათაყვანო რუსეთზე და იქაურ სოციალისტურ სამოთხეზე.

გრიგოლ ლორთქიფანიძე მანამდეც მტკიცედ იდგა ეროვნულ პოზიციაზე, რუსული აგრესიის ახალმა გამოვლენამ დამოუკიდებელი საქართველოს მიმართ კი, უფრო გაუმძაფრა ანტირუსული განწყობილება, ქართული სახელმწიფოებრიობის დაცვისთვის ბრძოლის სურვილი.

მისეული შეფასება საბჭოთა რუსეთის აგრესიული პოლიტიკისა ამიერკავკასიაში, დღესაც აქტუალური და დღევანდელი რუსული პოლიტიკის შეფასების ადექვატურია.

„რუსულ ანკესზე წამოგებული“ ქართველი კომუნისტები

გრიგოლ ლორთქიფანიძის აზრით, რუსეთმა „ოინბაზურად“ გამოიყენა სოციალიზმის გავრცელების იდეა და სინამდვილეში დაიპყრო საქართველო. ქართველი კომუნისტები ადვილად წამოეგენ რუსულ ანკესს და მიიღეს ის, რასაც არ ელოდნენ. საქართველოს დამოუკიდებლობა კი არ მისცეს, ამიერკავკასიის ერთიან სახელმწიფოში გააწევრიანეს და ისე მიუერთეს რუსეთს. საუბარი აღარ იყო ქართული ენის სახელმწიფო სტატუსზე და არც თავად ქართულ სახელმწიფოზე. „მოიკიდა თუ არა ფეხი საქართველოში რუსეთის არმიამ, – წერდა გრიგოლ ლორთქიფანიძე, – მოსკოვი მაშინვე შეუდგა საქართველოს სახელმ-

წიფოებრიობის ამოგდების საქმეს. რუსული კომუნისტური მთავრობის პოლიტიკის ძირითადი მიზანი იყო, რომ საქართველო, როგორც ეროვნული სახელმწიფო, არარაობად ექცია. ასეთი განზრახვა საქართველოს მიმართ ლოგიკურად და უცილობლად გამომდინარეობს საერთოდ რუსეთის იმპერიალისტური გეგმებიდან. რუსეთის მუდმივი მიზანი იყო მტკიცედ დამჯდარიყო ამიერკავკასიაში და აქედან ეწარმოებია დიდი აგრესიული პოლიტიკა ახლო აზიაში. ხოლო ვისაც ამიერკავკასიაში ბატონობა უნდა, ის პირველ ყოვლისა უნდა ფლობდეს საქართველოს მისი დედაქალაქით ტფილისით და შავი ზღვის ნაპირით ბათუმ-სოჭამდე.

გარდა ამისა, ამიერკავკასიაში ბატონობისათვის რუსეთისათვის საჭიროა მოშლილი იქნეს ყოველგვარი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ორგანიზმები, მთელი ამიერკავკასია უნდა აითქვიფოს აჭრელებულ ერთა დომხალად, შეიქნეს ე. წ. ეროვნებათა კალეიდოსკოპი, რომ სხვადასხვა ხალხთა შორის სადავო კითხვები არ ამოიწუროს, მათ შორის ხან ყრუ და ხან მწვავე ბრძოლამ ქრონიკული ხასიათი მიიღოს, რომ ამრიგად რუსეთს აქ ბატონობა და კოლონიზაციაც გაუადვილდეს. ეროვნულ სახელმწიფოთა კონსოლიდაცია ამიერკავკასიაში რუსეთს თავისი ბატონობის დაქცევად მიაჩნდა, რადგან ის თვითონ ძლიერ სუსტია კულტურულად და ეკონომიკურად და ამიტომ თავის გავლენა და ბატონობა წმინდა ძალმომრეობის საფუძველზე, მხედრულ-ადმინისტრაციულ ნიადაგზე უნდა ააგოს. ევროპა-ამერიკის კულტურულ და ეკონომიკურად ღონიერ სახელმწიფოებს, მაგალითად ინგლისს არ სჭირდება თავისი დამონების იძულებითი დენაციონალიზაცია და კოლონიზაცია, მას არ ეშინია იმდენად ეროვნული სახელმწიფოების ჩამოყალიბებისა თავის სამფლობელოებში, რადგან ის ძლიერი ეკონომიკითა და კულტურით მაინც აყენებს მათ თავის გავლენის სფეროში. რუსეთის ღატაკსა და უკულტურო იმპერიალიზმს, მიუხედავად იმისა, წითელ სამოსელში იქნება ის გახვეული თუ თეთრში, არ შეუძლია აიტანოს ესოდენ ეროვნული ლიბერალიზმი თავის კოლონიებში. ამიტომაც ის იღებს გეზს არა იმდენად დაპყრობილი ხალხების ექსპლუატაციაზე, არამედ ამ ხალხების ამა თუ

იმ წესითა და ფორმით ეროვნულ მოსპობაზე. ამიტომაა, რომ რუსეთი მუდამ ეროვნულ-სახელმწიფოებრივი უჯრედების განსახიერებაა. ასეთი იყო მუდამ რუსეთის პოლიტიკა კავკასიის მიმართ და მთელი თავისი არსებით ასეთივე დარჩა ე. წ. კომუნისტური დაპყრობის დროსაც...“ [ლორთქიფანიძე 1995:121].

გრიგოლ ლორთქიფანიძის სწორი შემჩნევით, რუსეთს კავკასიაში გაბატონებისათვის, უპირველესად, საქართველო უნდა დაეპყრო, რომელსაც, თავისი გეოგრაფიული მდებარეობითა თუ სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური ტრადიციებით გამორჩეული ადგილი უჭირავს. მისი მოსპობა ბუნებრივად იწვევდა სომხეთისა და აზებაიჯანის სახელმწიფოთა დაცემას. დამპყრობლისთვის მიუღებელი იყო ეროვნული ინტეგრაცია და სამი ძირითადი ერის გამოკვეთა ამ რეგიონში, მისთვის უკეთესი იყო ეროვნული დომხალი, შუღლი და მტრობა, რადგან ამ ბრძოლასა და გათიშულობაზე ააგებდა თავის დამპყრობლურ პოლიტიკას.

რაც შეეხება საქართველოს დამპყრობ ქართველებს, მათ ერის მოღალატეთა დამღა ვერ მოიცილეს და ვერც მოიცილებდნენ – ისეთი დიდი დანაშაული ჩაიდინეს საკუთარი ხალხის მიმართ. მათი დამსახურება ბოლშეკური რეჟიმის წინაშე ისეთივე „ჯილდოებით“ აღინიშნა, როგორიც სამშობლოს ნამდვილ პატრიოტებს ერგოთ: ისინიც საბჭოურ ტოტალიტარულ რეპრესიებს ემსხვერპლნენ.

დამარცხებულთა თავგანწირვა: ბრძოლა ბათუმისათვის

1921 წლის თებერვალში, როდესაც ლენინურმა საბჭოთა რუსეთმა საქართველოს ანექსია მოახდინა, თურქი ასკერებიც შემოიჭრნენ და დაიკავეს ბათუმი. პოლიტიკურად თავადაც კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი, დასაშლელად და ისტორიის ასპარეზიდან გასაქრობად გამზადებული ოსმალეთის იმპერია საქართველოს მიმართ თავის დამპყრობლურ მიზნებს ასეთ დროსაც ვერ შეელია. საერთაშორ-

ისო საზოგადოებისაგან გარიყულმა ორმა ძველმა იმპერიამ – რუსეთმა და ოსმალეთმა, მართალია, ერთმანეთთან საერთო ენა გამონახეს და გადარჩენის ახალი გზები მოძებნეს, მაგრამ ბოლომდე ვერ შეთანხმდნენ. მათი სადავო ტერიტორია ყოველთვის სამხრეთ კავკასია იყო და ახლაც, ორივემ ერთდროულად სცადა მისი მიტაცება.

საჭირო გახდა ბათუმისა და აჭარის გადარჩენა. ბოლშევიკებს ამ საკითხს ქართველი პატრიოტები ხელში ვერ ჩაუგდებდნენ. მათ ამ დროს საამისო ძალები არც ჰქონდათ. ამიტომ, ეს საშვილიშვილო მისია აღასრულეს იმ ადამიანებმა, რომლებიც, სამშობლოდან განდევნილები, მზად იყვენ ოჯახებთან ერთად უცხოეთში გადასახვეწად. გრიგოლ ლორთქიფანიძესაც აღარ უფიქრია ასეთ დროს საქართველოს დატოვება, დარჩა ოკუპირებულ სამშობლოში და ოსმალო ასკერებთან ბრძოლაში ჩაება. სავარაუდოდ, მისი თხოვნით იკისრა ბათუმისათვის ბრძოლაში ქართული ჯარის მთავარსარდლობა სახელოვანმა გენერალმა გიორგი მაზნიაშვილმა[13]. გენერალმა სულ რაღაც ორიოდე დღეში შეძლო გაფანტული ქართული ნაწილების შეკრება. თავდადებული ბრძოლის შემდეგ ასკერები ქალაქიდან განდევნეს. ამ ბრძოლაში გამარჯვება მთლიანად ქართული ჯარის, გენერალ მაზნიაშვილის, გენერალ ვარდენ წულუკიძის[14] ძმები – პეტრე, ვლადიმერ და დავით ქარუმიძეების[15] – დამსახურება იყო. ოკუპანტი წითელი არმიის ჯარისკაცებს მონაწილეობა არ მიუღიათ ამ სამამულო მნიშვნელობის ბრძოლაში. ჟლობას[16] ცხენოსანი რაზმი და, საერთოდ, ბოლშევიკური არმია ბათუმის ბრძოლაში არ ჩაბმულა. იგი მთლიანად ქართულმა ჯარმა გაანთავისუფლა გენერალ მაზნიაშვილის სარდლობით [ბრძოლა ბათუმისათვის: 135-137].

გრიგოლ ლორთქიფანიძე გამბედავი და უშიშარი კაცი იყო. 1921 წლის მარტში, გამარჯვებული ბოლშევიკების გარემოცვაში მყოფმა, წინააღმდეგობა გაუწია მოძალადეთა ნებას, – ხელი მოეწერა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კაპიტულაციაზე. მან არ სცნო საბჭოთა რუსეთის ბოლშევიკურ-ოკუპანტური რეჟიმი, რითაც ემი-

გრირებულ დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლებას ქვეყნის განთავისუფლებისათვის შემდგომი ბრძოლის ლეგიტიმური საფუძველი შეუნარჩუნა [ჯანელიძე: 2007, 61].

1921 წლის 17 მარტს ქუთაისში გაიმართა საზავო მოლაპარაკება საქართველოს ეროვნულ მთავრობასა და საბჭოთა ხელისუფლების წარმომადგენლებს (ბოლშევიკებს) შორის. მოლაპარაკების მაგიდის ორივე მხარეს ქართველები ისხდნენ, რაც საქართველოს ტრაგიკული ბედის კიდევ ერთ ირონიას წარმოადგენდა. დამარცხებული ეროვნული ხელისუფლების სახელით მოლაპარაკებას გრიგოლ ლორთქიფანიძე წარმართავდა. ეროვნული ხელისუფლების წარმომადგენლები მასთან ერთად იყვნენ: სამხედრო საქმეთა მრჩეველი ი. გედევანიშვილი[17], ალექსანდრე დგებუაძე[18] – პოლიტიკური მრჩეველი, დ. შარაშიძე[19] – დელეგაციის მდივანი; გამარჯვებული ბოლშევიკური ხელისუფლების ინტერესს მამია ორახელაშვილი[20] იცავდა, მას ახლდნენ: ა. სვანიძე[21], შ. ელიავა[22] და გამბაროვი[23]. კრემლის წარმომადგენლად კი, მოლაპარაკებას ლენინისგან სპეციალური მისიით აღჭურვილი აბელ ენუქიძე[24] ესწრებოდა.

ის ფაქტი, თუ რატომ დათანხმდა დამოუკიდებელი საქართველოს ხელისუფლება ოკუპანტურ ძალებთან მოლაპარაკებას, ახსნილი იყო გრიგოლ ლორთქიფანიძის სპეციალურ განცხადებაში, რომელსაც აქვე მოვიტანთ:

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის რწმუნებულის განცხადება

„ქართველ ხალხთან ერთად, მისი ერთსულოვანი ნებით დაყენებული მთავრობა მთელი თავისი ძალ-ღონით წინ აღუდგა საქართველოში შემოჭრილ უცხო ძალებს და ეს ხუთი კვირაა, რაც ის, ქართველ ჯარსა და სახალხო გვარდიას დაყრდნობილი, აწარმოებს ქვეყნის დაცვას. ხუთი კვირის მძიმე ბრძოლამ გაცილებით უფრო მრავალრიცხოვან მოწინააღმდეგესთან ნათელ-ყო ქართველი მხედრების მხნეობა და თავდადება, ქართველი ხალხის ერთსულოვნება და სიმტკიცე დემოკრატიული რესპუბლიკის დაცვის საქმეში. ეს ომი, რომელსაც ერთი წუთითაც კი არ მიუღია სამოქალაქო ომის ხასიათი, გრძელდება დღემდის. მაგრამ ამ

უკანასკნელ დროს კიდევ უფრო ძლიერ გართულდა და გამწვავდა საქართველოს სამხედრო მდგომარეობა. ანგორის მთავრობამ, ისარგებლა რა ჩვენი მდგომარეობით, უკვე დაიპყრო არტაანისა და ართვინის ოლქები. ახლა, როდესაც საქართველოს მთავრობის პოლიტიკურსა და სამხედრო ბაზას წარმოადგენს ბათუმი, ანგორის ჯარები თავს გვესხმის ზურგიდან და აპირებს ბათუმისა და მისი ოლქის დაპყრობას. ასეთ პირობებში საქართველოს მთავრობას მდგომარეობა აიძულებს მთელი თავისი ყურადღება მიაპყრას ტერიტორიის მთლიანობის დაცვას და არავითარ შემთხვევაში, ნებით თუ უნებლიეთ, არ შეუწყოს ხელი ბათუმისა და მისი ოლქის ოსმალეთის მიერ დაპყრობას. ამ მიზნისათვის ის თავის მოვალეობად სთვლის მიიღოს საქართველოს რევკომის წინადადება მოლაპარაკების შესახებ და შესაძლებლათ სცნობს ამ მდგომარეობაში განსაზღვრულ პირობებით ფაქტიური შეთანხმება მოახდინოს ხსენებულ რევკომთან იმ ომის ლიკვიდაციის შესახებ, რომელიც სწარმოებს საქართველოს მხედრობასა და რევკომის განკარგულებაში მყოფ საბჭოთა ჯარებს შორის. საქართველოს მთავრობა მოლაპარაკებაში ხელმძღვანელობს იმ აზრით და მისწრაფებით, რომ ყოველგვარი ღონე და ზომა იხმაროს საქართველოს მთლიანობის დასაცავად, მიუხედავად იმისა, თუ როგორი შინაგანი წყობილება იქნება დღეს ან ახლო მომავალში საქართველოში.

ამავე დროს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა აცხადებს, რომ ეს შეთანხმება სრულიად არ სჭრის ამა თუ იმ ხელისუფლების ცნობის საკითხს. საქართველოს კანონიერ მთავრობათ ის სთვლის თავის თავს, სადაც და რა პირობებშიც უნდა დარჩეს, ვიდრე მთელი ქართველი ხალხის უმრავლესობის თავისუფლათ გამოთქმული ნება არ იტყვის ამის წინააღმდეგს.

ვხელმძღვანელობ რა ზემოთქმულ მოსაზრებით, მაქვს პატივი ამასთანავე წარმოგიდგინოთ თქვენდა განსახილველად პრაქტიკული შეთანხმების შემდეგი პირობები“.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენელი: გრ. ლორთქიფანიძე

17 მარტი, 1921 წელი

ქუთაისში გამართულ შეხვედრაზე გრიგოლ ლორთქიფანიძემ ბათუმის შენარჩუნება და, ზოგადად, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის საკითხი პირველი რიგის ამოცანად ჩათვალა. მან თქვა: „ჩვენ ვდგავართ იმ პრინციპულ ნიადაგზე, რომ როგორიც არ უნდა იყოს საქართველო, იქნება მისი ხელისუფლება დემოკრატიული რესპუბლიკა თუ საბჭოთა წყობილება, ჩვენი მოვალეობა არის, მოვალეობა სახელმწიფოებრივი და ეროვნული, რომ ბათუმის ოლქი ყოველ შემთხვევაში დარჩეს საქართველოს“[„ფიქრები საქართველოზე“, გვ.10]. საქართველოს რევკომის რწმუნებულის – მამია ორახელაშვილის პოზიცია კი სრულიად განსხვავებული იყო. ის ხელისუფლების საკითხს აყენებდა პირველ ადგილზე, ტერიტორიის პრობლემას კი ერის მომავლისთვის მეორეხარისხოვნად მიიჩნევდა. ის ამბობდა: „ჩვენ არა ვართ წინააღმდეგი, რომ ბათუმის საკითხი იქნეს განხილული კონფერენციის მიერ, მაგრამ ეს საკითხი მეორეხარისხოვანია. ჩვენი პირველი მოთხოვნილება ის არის, რომ საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის მთავრობამ იცნოს საქართველოში მომხდარი გადატრიალება და აღიაროს საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკა, და თუ ეს არ იქნება მიღებული, სხვა დეტალების მიღება შეუძლებელია...“[ჟ. „კავკასიონი“, 1981, 13-14].

საქართველოს ხელისუფლებამ ბოლშევიკი აგრესორების წინაშე კაპიტულაცია არ მოახდინა, მისი ნაწილი ემიგრაციაში გაიხიზნა იმ იმედით, რომ ევროპის ქვეყნების დახმარებით დაიბრუნებდა საქართველოს. სამშობლოში დარჩენილებს კი, ისევე, როგორც გრიგოლ ლორთქიფანიძეს, სასტიკი ხვედრი ელოდათ. ამაში თუნდაც ლენინის თხზულებათა 45-ე ტომიდან ამოწერილი ეს ფრაზაც მეტყველებს: „ამხანაგ ენუქიძის მონაწილეობით ამ ხელშეკრულების შემდეგ მათ მაინც ამჯობინეს, მიუხედავად ხელშეუხებლობის გარანტიისა, თვითონ ბათუმიდან კონსტანტინოპოლს გამგზავრებულიყვნენ. ასე რომ, დადებითიც მოვიგეთ და უარყოფითიც, ისიც, რომ შევიძინეთ ტერიტორია არა რუსეთისათვის, არამედ საბჭოთა საქართველოსთვის, ბა-

თუმი და მისი მიდამოები და ისიც, რომ დავკარგეთ კონსტანტინოპოლს გამგზავრებული მენშევიკები, არც თუ მცირე რაოდენობისა“[ვ.ი. ლენინი, თხზ. ტ.45, თბ. 1972, გვ. 313]...

პაექრობა მარიამ ორახელაშვილთან, აჭარის გამო

რუსეთის დამპყრობლურ პოლიტიკას ხელს უწყობდნენ ქართველი კომუნისტები, – ადამიანები, რომელთაც დამოუკიდებლობისა და ეროვნული ინტერესების გაგონებაც არ სურდათ, „მშრომელთა აჯანყების“ ინსცენირების ავტორები და „შულავერის მთავრობის“ წევრები. მათ შორის იყვნენ: მ. ორახელაშვილი, ს. ორჯონიკიძე,[25] ფ. მახარაძე,[26] ა. გეგეჭკორი,[27] ბ. მდივანი[28], ლ. ღოღობერიძე[29], მ. კახიანი[30] და სხვა... მთავარი გმირი ამ ანტიქართულად განწყობილი და მოაზროვნე ადამიანებისა, იოსებ სტალინი[31] მოსკოვიდან დირიჟორობდა დამოუკიდებელი საქართველოს განადგურებისათვის ბრძოლას, კავკასიის ხელახალ მოქცევას რუსეთის ფარგლებში.

გრიგოლ ლორთქიფანიძე ამ ადამიანებს გაბედულად ამხელდა.

ორ წერილს გაგაცნობთ. ერთი ბოლშევიკური საქართველოს განათლების სახალხო კომისრის – მარიამ ორახელაშვილისადმია[32] მიწერილი, მეორე კი – დამოუკიდებელი საქართველოს ანექსია-ოკუპაციის ავტორის – საბჭოთა კავშირის მომავალი ბელადის – იოსებ სტალინისადმი.

კომისრიდან დავიწყოთ. (წერილის ნაწყვეტი)

„პატივცემულო ქალბატონო მარიამ!

...კარგა ხნის წინათ წავიკითხე თქვენი წერილი „სახალხო განათლების საქმე საბჭოთა აჭარისტანში“ და ერთბაშად ამ წერილისადმი გამოხმაურების ჟინმა ამიტანა, მაგრამ ეს ჟინი დავსძლიე...ამ რამდენიმე დღის წინათ აჭარისტანის გასაბჭოების ექვსი წლის იუბილეს გამო გაზეთების მიმოხილვებმა და წერილებმა ხელახლა აღმიძრეს სურვილი, იმ თქვენს საყურადღებო წერილს გამოვეხმაურო.

უნდა მოგახსენოთ, რომ ამ თქვენმა წერილმა შემაშფოთა როგორც ეროვნულად (თქვენ იტყვით „ნაციონალისტურ-იმპერიალისტურად"), ისე მოქალაქეობრივ-სოციალისტურად, (ანუ თქვენი კვალიფიკაციით–„სოციალ-გამყიდველურად") და, აი, რატომ:

ჩვენ, თქვენ და მთელმა მსოფლიომ იცის, რომ რუსეთის საბჭოთა აღმოსავლეთ პოლიტიკას ზვარაკად შეეწირა სომხეთი და ნაწილობრივ საქართველო. ეს საშინელება ისტორიული ფაქტია, მაგრამ რა გაეწყობა. ასეთი ყოფილა სომხეთისა და საქართველოს ბედი. ...მეგონა, რომ საქართველომ უკვე გამოიდინა საერთოდ ისლამურ და, კერძოდ, თურქულ სამსხვერპლოზე ამდენი სისხლი. მაგრამ, ვაი, რომ ეს ასე არ ყოფილა, და ამ მთავარ ამბავს თქვენი წერილიდან ვგებულობ.

თქვენი სიტყვით, აჭარისტანად წოდებული აჭარა ცალკე „ნაციონალური რესპუბლიკა" ყოფილა. „ბათუმში მცხოვრები ყველა ეროვნების ბავშვები, გარდა აჭარლებისა, ყველანი სწავლობენ" და სხვა. შემდეგ თქვენ მოგვითხრობთ, რომ აჭარისტანის გასაბჭოების პირველ ხანებში ნებადართული იყო საღვთო სჯულის სწავლება. ეხლაც დართული აქვს ნება, ხოლო თვით მცხოვრებთა ხარჯითო, 157 მეჩეთთან ამდენივე მედრესე არსებობს, სადაც თურქები ასწავლიანო. გარდა ამისა, თქვენი ცნობით, აჭარისტანის სკოლების პირველ საფეხურში შემოღებული ყოფილა სავალდებულო სასწავლებლად თურქული ენა, რომელსაც თურმე, იგივე ხოჯები და თურქი მასწავლებლები ასწავლიან, რადგან ხოჯები თურქულ ენასთან ყურანსაც კონტრაბანდად ურთავენ, თქვენ სვამთ საკითხს ასე: თუ საჭიროა თურქულის სწავლება, მაშინ მეორე საფეხურშიაც შემოვიღოთ, რათა ოსმალური ენის საბჭოთა მასწავლებლები მოვამზა_კოთო... და ბოლოს, თქვენი წერილი შემდეგი დაუჯერებელი სტრიქონებით სრულდება: ეხლა საუკეთესო ქართველი მასწავლებლები მუშაობენ აჭარაში. მაგრამ ეს დროებითია, სანამ აჭარელი პედაგოგები არ იქნებიან მომზადებულნი. ხოლო ამ საოცარ სტრიქონებს ზევით მეტად „სასიამოვნო და დამამშვიდებელ"ამბავს მოგვითხრობთ იმის შესახებ,

რომ საქართველოსა და აჭარას შორის საომარი ურთიერთობა არ ყოფილა, თურმე „ამ ორ მეზობელ სახელმწიფოთა“ შორის ნორმალური მეზობლური ურთიერთობა არსებულა: „აჭარისტანისა და საქართველოს განათლების სახალხო კომისარიატს შორის ურთიერთობა ძალიან კარგიაო“, და ასე წარმოიდგინეთ, „ურთიერთ ინფორმაცია და გამოცდილების გაზიარებაც“ კი არსებულა...

პირველ ყოვლისა, აჭარა არის აჭარა და მას არც არავის „ტანი“ და არც ფეხი დასაბოლოებლად არ ესაჭიროებოდა.

მეორე: ქართველობაში არავითარი აჭარელი ერი და ეროვნება არ ყოფილა, არ არის და არც იქნება. სამცხეში ქართველობა სარწმუნოების მხრივ იყოფა მართლმადიდებლებად, მაჰმადიანებად, კათოლიკეებად და მოსეს რჯულის ქართველობად (რამდენადაც ვიცი, იქ ქართველი გრიგორიანები ძლიერ ცოტანი არიან), ხოლო აჭარის ქართველობა სარწმუნოების მხრივ ორ მთავარ ჯგუფს წარმოადგენენ – მაჰმადიანებსა და მართლმადიდებლებს. რა თქმა უნდა, აჭარა არავითარ საქართველოდან განცალკევებულ ეროვნულ რესპუბლიკას არ წარმოადგენდა და ვერც წარმოადგენს.

აბა, მიბრძანეთ ერთი, რა მოხელეა თურქული ენა ბათუმის ოლქის სკოლებში? რა აქვთ საერთო აჭარასა და აჭარლებს ოსმალებთან, გარდა იმისა, რომ უკანასკნელნი პირველისა ისტორიული ჯალათები იყვნენ და ცეცხლითა და მახვილით ყურანის რჯული მიაღებინეს. კარგი, ბატონო, მათ აქვთ ეხლა საერთო რელიგია, მაგრამ მაჰმადის რელიგია მრავალ სხვადასხვა ერსა აქვს; თურქებს, არაბებს, სპარსელებს, ეგვიპტელებს, ინდუსებს (ნაწილობრივ), ალბანელებს (ნაწილობრივ), სერბებს (ბოსნიაში) და სხვა. როგორც ხედავთ, ამ ხალხებს ეროვნული სახეები აქვთ და ისლამს ისინი არ გაუთურქებია. რა შუაშია თურქული ენა! თუ სარწმუნოების საქმე მოითხოვს, მაშინ კიდევ ჰო, არაბული ენის შესახებ შეიძლებოდა ლაპარაკი, თურქულ ენას სრულიად არაფერი ესაქმება არც აჭარისა და არც გურიის, არც ქობულეთისა და არც მესხეთის, და არც, საერთოდ, საქართველოს სკოლებში, გარდა უნივერსიტეტის სპე-

ციალური კათედრისა.

საქართველოს ბედი ისე წავიდა, რომ რუსული ენა საბჭოური ინტერნაციონალიზმის დროშის ქვეშ ბრუნდება ჩვენს სკოლებში და დღითი დღე ახალ პოზიციებს იღებს, ის ლამობს თავისი ძველი მდგომარეობის დაბრუნებას. მან უკვე მეტწილად განდევნა ქართული სკოლიდან ევროპული ენები და მათ ადგილს იჭერს...კარგი, ჩემო ბატონო, ამას უნდა შევურიგდეთ, რადგან ასეთი საკვირველნი ყოფილან „გზანი იდუმალნი ოქტომბრის რევოლუციის ინტერნაციონალიზმისა“. თურქული ენის სწავლებიდან მაინც გაანთავისუფლეთ ქართველი ბავშვები, განურჩევლად თავიანთი მშობლებისა და მათი სარწმუნოებისა... საბჭოთა საქართველოს არსებულ საზღვრებში მაინც გაგვანთავისუფლეთ ოსმალეთის ბატონობისაგან... ეს მაინც შეასრულეთ და არამცთუ წართმეულ ჯიქეთზე არაფერს ვიტყვით, არამედ იმაზედაც გავჩუმდებით, რომ ამ ბოლო დროს რუსეთმა უკვე კონსტიტუციონალურად დაუმტკიცა რუსულ ენას თვით აფხაზეთი და სამურზაყანო...

ალბანეთის ერს თუ შეუძლია თავის თავი ერთ ნაციად იცნოს, თუ ალბანელი კათოლიკეები, მაჰმადიანები და მართლმადიდებელნი მთლიან ეროვნულ ოჯახად არის ნაცნობი ყველას მიერ, თუ ახმედ ზოგუს[33] საწყალ ალბანეთს შეუძლია ასეთ ეროვნულ ზერელიგიურ, ერთობის სიმაღლეზე იგრძნოს თავისი თავი, ნუთუ მახარაძისა და ცხაკაიას,[34] ორახელაშვილისა და ელიავას მიერ ნახელმძღვანელები საქართველოს ეროვნული მეობისა და მოქალაქეობრიობის შეგნება ისე დაკნინდა და ისე ძალამიხდილია, რომ რელიგიური და სექტანტური პრინციპების წინ დაიჩოქა?! ნუთუ ასეთ ყოფაში ჩავარდა თამარისა და რუსთაველის საქართველო მეოცე საუკუნეში?

პატივცემულო ქალბატონო მარიამ, აბა მიბრძანეთ – რომელ ნაციას ეკუთვნით, ან რომელი ეროვნული რესპუბლიკის მოქალაქე უნდა იყვეს თქვენი გვარის კაცი, მესხეთელი მიქელაძე (მარიამ ორახელაშვილის ქალიშვილობის გვარი მიქელაძე იყო, დ. ჭ.) – იმავე საქართველოსი, როგორც თქვენ, თუ არაბეთის, ან ოსმალეთის, მხოლოდ

იმიტომ, რომ სახელად ფარსადანი კი არა, ოსმანი ჰქვია. ან კიდევ, იმავე აჭარის სახალხო განათლების მეთაური, თქვენ მიერ ქებული, ჩემი გვარის კაცი (და რამდენადაც ვიცი,ნათესავი), სულეიმან ლორთქიფანიძე[35] იმიტომ უნდა იქნას თურქად აღიარებული, რომ მას სოლომონი კი არა, სულეიმანი ჰქვია და მისმა პაპამ, თუ პაპის მამამ დაახლოებით გასული საუკუნის დასაწყისში ქრისტეს მაგიერ მაჰმადი იწამა (ხოლო სულეიმანს, უნდა ვიფიქროთ, არც ერთი სწამს და არც მეორე)?

მესხეთი ახალციხით, აჭარა-ქობულეთი ბათუმით ან იქნებიან საქართველოს განუყრელი, ორგანულად შეხორცებული ნაწილი, ანდა საქართველო არ იქნება...

საქართველოს თითქოს ეხლა უნდა მისცემოდა საშუალება, რომ თავისი სხეულის განაწამები ნაწილები რამდენადმე მაინც მოეშუშებინა. თუ სხვა არა, სამცხე, აჭარა, ქობულეთი მაინც უნდა გაანათლოს, მოასულიეროს, შეიხორცოს და შეიდედოს საქართველომ, ამ თავის დაზარალებულ შვილებს მეტი ყურადღებით და მეტი გარჯის განევით უნდა მიხედოს, ვიდრე გურიას, იმერეთს, აფხაზეთსა და სხვას. ეს სრულიად უდავო რამ არის, თქვენ კი თქვენი ორჭოფობით არ უშუშებთ ძველ იარებს და ჭრილობებს ამ რაიონებს, პირიქით!

ქართველი ხალხი, რასაკვირველია, მეოცე საუკუნეში არ მოითხოვს თქვენგან, რომ ახალციხელი მიქელაძეები და აჭარელი ლორთქიფანიძეები ჩაყაროს ჯაყის წყალში და აჭარის წყალში, რათა ხელახლა ქრისტიანულად გადმონათლოს, მაგრამ ერთს რამეს კი უეჭველად მოითხოვს – დაანებეთ თავი(...) და აქტიურად შეებრძოლეთ იმ მსუნაგ პანისლამისტურ იმპერიალიზმს, რომელიც დღესაც განაგრძობს ქართველ მაჰმადიანთა თურქულ აზროვნებაში გადანათვლას! არავითარი ისლამური მედრესეები...არ სჭირდება საქართველოს. დაე, საქართველოს კულტურის ისტორიულ აკვანში, მის სამხრეთ-დასავლეთ მხარეში, ხელახლა დაირწეს ახლა აღორძინებული ქართული კულტურის თავისუფალი აკვანი! უნდა აყვავდეს და გაძლიერდეს ქართული სკოლა, ქართული ენა, ქართული განათლება საქართველოს

ამ კუთხეებში!

ამას მოითხოვს თქვენგან და თქვენ თანამმართველთაგან არა მარტო ისტორია და თანამედროვეობა, არა მარტო ქართველი ხალხი და საქართველო, არამედ თქვენი საკუთარი რწმენა და მოქალაქეობრივი სინდისიც, თუკი, რა თქმა უნდა, რასაც სიტყვით ამბობთ, მეტწილად მაინც გწამთ. თუკი მეტწილად მაინც შეგიძლიათ „გულწრფელი სიყვარული და პატიოსანი სიძულვილი.“

პატივისცემით გრიგოლ ლორთქიფანიძე.

რუსეთი, ქალაქი კურსკი,

ბოლშევიკების ქუჩა № 27, 1927 წელი, მარტის 29 [ლორთქიფანიძე 2008:9-17].

ამ მძიმე ბოლშევიკური რეაქციის ჟამს, ასეთი გაბედული და მამხილებელი წერილის დაწერა, ალბათ, ბევრს გაუჭირდებოდა, გრიგოლ ლორთქიფანიძისთვის კი ასეთი რამ ზნეობრივი პრინციპის საქმე იყო.

საერთოდ, ის, რაც გრიგოლ ლორთქიფანიძემ ციხეში გაბედა, უდიდესი სიმამაცე, მოქალაქეობრივი თავდადების საუკეთესო ნიმუშია. ამას ის რწმენით აკეთებდა და ამით, აშკარად, საკუთარ სიცოცხლეს საფრთხეში აგდებდა...

რაც შეეხება მარიამ ორახელაშვილს, ეს ბოლშევიზმით დაბრმავებული და ფანატიზმით შეპყრობილი ადამიანიც არანაკლებ სარისკო ნაბიჯებს დგამდა, კიდევ უფრო მეტსაც, რადგან სამშობლოს ღალატის საფასურად გაღებული ბოლშევიკური ერთგულება წყალში ჩაეყარა: მისმა თანაპარტიელებმა გაუსამართლებლად მიაკერეს სამშობლოს მოღალატის ტიტული და ჩეკას ჯურღმულებში მეუღლესთან, მამია ორახელაშვილთან ერთად საშინელი ტანჯვა-წამებით მოკლეს. მათი ოჯახის წევრებიც არ დაინდეს, ისინიც რეპრესიების მსხვერპლნი გახდნენ. ასეთივე ბედი ეწიათ ბუდუ მდივნის, ლევან ღოღობერიძისა და სხვების ოჯახებს. რადგან ბოლშევიკური სამშობლო არ არსებობდა, ნამდვილ სამშობლოს კი ბოლშევიკმა ქართველებმა მართლაც უღალატეს იმ გამოგონილის ერთგულებისთვის, ჩეკასა და „ტროიკების“ განაჩენი ადამიანურად ტრაგიკული, მაგრამ სინამდვილესთან ახლოს მყოფი იყო. საქართველოს ისტო-

რიაც ვერასოდეს მოაცილებს მოღალატის დამღას „შულავერის გმირებს“ და მათი იდეალების ერთგულ მიმდევრებს...

საქართველოს ორიენტაციის საკითხი

გრიგოლ ლორთქიფანიძეს მტკიცედ ჰქონდა გააზრებული და თეორიულად ჩამოყალიბებული მომავალი დამოუკიდებელი საქართველოს პოლიტიკური, სოციალ-ეკომომიკური და კულტურული ორიენტირები. მისი აზრით, „საქართველოს უნდა ჰქონდეს ერთადერთი პოლიტიკური ორიენტაცია – საკუთარი სახელმწიფოებრიობის სრულყოფისკენ სწრაფვა, ორიენტაცია საკუთარ ეროვნულ-სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობაზე, ანუ ორიენტაცია საკუთარ თავზე. კულტურული თვალსაზრისით უდავოდ უნდა აიღოს საუკუნეობით გათავისებული ევროპული ორიენტაცია: „აქ მტკიცეთ და ურყევათ და არა სადღესხვალიოთ უნდა იქნეს მიღებული ის დებულება, რომ ჩვენ გვიჭერია გეზი ევროპა-ამერიკის მატერიალურსა და სულიერ კულტურაზე“, – წერდა იგი.

თავისი ძირითადი მიზნის შესასრულებლად, მისი ღრმა რწმენით, საქართველოს უნდა შეეძლოს ყველა ქვეყნის გამოყენება, თუნდაც ის ჩვენდამი მტრულად განწყობილი რუსეთი იყოს. ნამდვილი მოკავშირე ქვეყანას კავკასიელ ერთა შორის უნდა ეპოვნა. გრიგოლ ლორთქიფანიძეს მიაჩნდა, რომ ეს იყო ისტორიული გამოცდილებაც და აუცილებლობაც, რადგან იაფეტიდური ერები, – კავკასიელები მხოლოდ ერთად შეძლებდნენ თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის შენარჩუნებას. „მოკავშირე ჩვენ უნდა ვეძებოთ და ვიპოვოთ, – წერდა „პოლიტიკურ ანდერძში“, – ჩვენს უახლოეს მონათესავე და მოძმე იაფეტიდურ ტომებში, კავკასიის მთაში დარუბანდიდან ქერჩის სრუტემდე და იქედან ჭანეთამდე. რასაკვირველია, მეტად ძნელი და ხანგრძლივი პროცესი იქნება ამ ჩვენი ოჯახის შვილთა მრავალ საუკუნიან უკუღმა ნატრიალებ ისტორიის მიერ დალექილ ტალის აფხეკა და ძველი იაფეტიდური თვითშეგნების და

ერთობის აღდგენა-გაძლიერება, მაგრამ აქეთკენ უნდა იქნას მიმართული ჩვენი პოლიტიკის გეზი. მეორე ჩვენი განუყრელი მოკავშირე უნდა იქნეს ჩვენთან ერთად ჭირნახული და ახლობელი კავკასიური ტომი – სომხის ხალხი და გაძლიერებული სომხეთი"...

იმ დროს, როდესაც საქართველოს ასეთი მწვავე ომები ჰქონდა გადატანილი რუსეთთან და სომხეთთან, ამგვარი თვალსაზრისი იმას ნიშნავდა, რომ გრიგოლ ლორთქიფანიძე საღად მსჯელობდა, ობიექტურად აანალიზებდა ჩვენი ქვეყნის საგარეო-პოლიტიკურ ვითარებას და სწორ დასკვნებს აკეთებდა.

ამრიგად: პოლიტიკური ორიენტაცია –საკუთარ, საერთაშორისოდ აღიარებულ დამოუკიდებელ სახელმწიფოზე, რომელსაც მტკიცე ეკონომიკურ-ფინანსური საფუძვლები ექნება; კულტურული ორიენტაცია ამერიკულ-ევროპულ სამყაროზე; ერთიანობა კავკასიურ ქვეყნებთან, – ასეთი იყო გრიგოლ ლორთქიფანიძის შეხედულება.

საკუთარ ინტერესებზე აგებული და სახელმწიფოებრივი გაძლიერებისათვის გამოსაყენებელი პოლიტიკური კავშირები, ევრო-ატლანტიკური კულტურული ორიენტაცია, კავკასიური ერთობა და კავკასიის ქვეყნებთან თანამშრომლობა დღესაც საქართველოს საგარეო პოლიტიკის მთავარ მიმართულებას წარმოადგენს.

რისთვის ჭირდება აფხაზები და ოსები რუსეთს

განსაკუთრებული სითამამე იყო გრიგოლ ლორთქიფანიძის მიერ საბჭოთა რუსეთის იმპერიულ სახელმწიფოდ შეფასება. მისი აზრით, და ეს მართლაც ასე იყო, რუსეთმა მოატყუა არა მარტო ქართველი ბოლშევიკები, არამედ მთელი საქართველო, როდესაც დაპირება მისცა რომ დამოუკიდებლობას შეუნარჩუნებდა, ოღონდ სისტემას შეცვლიდა: ქართველ ხალხს სოციალისტურ წყობილებას მისცემდა, რაც დიდ ბედნიერებასა და ნივთიერ სიკეთეს მოუტანდა. სინამდვილეში საქართველო მან დასერა და

დაჭრა ცალკე ერთეულებად, დამოუკიდებლობის ნაცვლად, დაქვემდებარებულ პროვინციად აქცია, სადაც რუსიფიკაციის ახალი წესები შემოიტანა. მომავალი იმპერიული მიზნებისთვის შექმნა ჯერ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა, შემდეგ – ე. წ. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი. „ყველა ამ ე. წ. რესპუბლიკების შექმნა, – წერდა გრიგოლ ლორთქიფანიძე, – ძველი რუსიფიკატორული პოლიტიკის ახალ ფორმაში გაგრძელებაა. აფხაზეთის რესპუბლიკა რუსეთს ჭირდება როგორც საქართველოში შემოსასვლელი ჭიშკარი და საკოლონიზაციო პოლიტიკისათვის დასაყრდენი პლაცდარმი. ასეთსავე პოლიტიკურსა და სტრატეგიულ როლს აკისრებს მოსკოვის იმპერიალიზმი ე. წ. სამხრეთ ოსეთს. ნამდვილი ოსეთი კავკასიონის ქედს გადაღმაა, კასრის ხეობის იქით, მაგრამ იქ რუსეთმა სრულიადაც არ დაინახა საჭიროდ შეექმნა წმინდა ოსური სახელმწიფოებრივი ორგანიზმი ჩრდილო ოსეთისა და სხვა რამ ამგვარი სახელწოდებით... იქ ოსები, ინგუშები და სხვები ერთ ავტონომიურ რესპუბლიკაში დატოვა, ხოლო საქართველოში, სადაც ოსობა წარმოადგენს ხიზნებსა და კოლონისტებს, მათთვის ოთხი მაზრიდან (გორის, დუშეთის, შორაპნისა და რაჭის) ხელოვნურად გამოსჭრა ოსური ავტონომია მრავალი წმინდა ქართული სოფლების შიგ ჩართვით. ეს ზომაც მიმართული იყო, რასაკვირველია იქითკენ, რომ ოსურ-ქართული შური გაეღვივებინა და საქართველოში ჩრდილოეთიდან შემოსავალი ჭიშკარი მოსკოვის ხელში ყოფილიყო სავსებით. და ამ მიზნისათვის, ასე ნარმოიდგინეთ, იმდენად აწამეს და აჭახრაკეს ავტონომიური ოსეთის საზღვარი, რომ მის ფარგლებში მამისონის გადასავალიც კი მოაქციეს რაჭის მხრიდან“ [ლორთქიფანიძე 1995:226].

ლორთქიფანიძის ეს შეხედულებები ჩვენს დრომდე აქტუალურია. მათი არსი კიდევ უფრო მტკივნეულია დღეს, როდესაც რუსეთმა კიდევ მეტი აგრესია გამოავლინა და საქართველოს ეს უძველესი კუთხეები – აფხაზეთი და სამაჩაბლო, უფრო სწორად, შიდა ქართლის ჩრდილოეთი ნაწილი, – მოწყვიტა საქართველოს, ერთხელ კიდევ აჩვენა თავისი აგრესია და იმპერიალისტური ზრახვები.

ძლიერ ეკონომიკას შეუძლია სოციალიზმს გაამარჯვებინოს

ლორთქიფანიძის ნააზრევში ეკონომიკის საკითხები პირდაპირ უკავშირდება სოციალიზმის გამარჯვების იდეას. მისი აზრით, სოციალიზმის გამარჯვება ხელს შეუწყობს ერების უფრო თავისუფალ განვითარებას, ერის კონსოლიდაციას. ქართველებმა უნდა მოიცვან მთელი საქართველოს ტერიტორია, გააფართოონ რკინიგზის ქსელი, გზატკეცილები, მეტი სისრულით უნდა აითვისონ ბუნებრივი სიმდიდრეები.

ის აკრიტიკებდა რომელიმე სასოფლო-სამეურნეო კულტურის უაზრო მონოპოლიზაციას, მაგალითად, ჩაისა და სხვა სუბტროპიკული მცენარეების მოშენებას ტრადიციული კულტურების ნაცვლად. მართალია, საქართველოს ჰავა და ნიადაგი იძლევა მრავალგვარი მცენარის მოშენების საშუალებას, მაგრამ ამაში, მისი აზრით, ჩაქსოვილი იყო ეროვნული საფრთხეც. ეს გარემოება ბუნებრივად ეზიდება ხალხსაც და ხელისუფლებასაც, მაგრამ ჩვენი ქვეყანა არ უნდა გადაიქცეს „ერთ სუბტროპიკულ პლანტაციად", – წერდა იგი. ამან მომენტალური წარმატება შეიძლება მოგვიტანოს, მაგრამ საერთო-ეკონომიკური პოლიტიკა ქართველმა ხალხმა „ამ ვიწრო და წარმავალი დახლის ანგარიშს" რომ დაუქვემდებაროს, უცხო ბაზრისა და უცხო ქვეყნების მრეწველობის კუდი, დამატება შეიქმნება. ამ შემთხვევაში კი–„საერთაშორისო გართულებებისა და სადამოჟნო ომების დროს კატასტროფას თავიდან ვერ ავიცილებთ. ჩვენს ხელისუფლებას მუდამ უნდა ახსოვდეს, რომ საქართველოს თბილი და ტკბილი სუბტროპიკული ბუნება არ გადაიქცეს ქართველი ერის ტკბილ საწამლავად"...

გრიგოლ ლორთქიფანიძეს მომავალი საქართველოს ეკონომიკური სიძლიერის საფუძვლად სოფლის მეურნეობის განვითარება, ტრადიციული სასოფლო-სამეურნეო კულტურების ინტენსიური წარმოება მიაჩნდა. მევენახეობა, მემინდვრეობა, მესაქონლეობა,–აი, ის დარგები, რომლის წარმოებაში ქართველ ერს საუკუნოვანი გამოცდილება ჰქონდა. გრიგოლ ლორთქიფანიძე ამ საკითხზე შეხედ-

ულებას ასე აყალიბებდა: „ერის, და განსაკუთრებით მცირე ერის მდგომარეობა და მომავალი მაშინ არის მტკიცე და იმედიანი ყოველგვარი ისტორიული ქარტეხილების დროს, თუ ის დაყრდნობილია საკმაოდ მტკიცე სოფელზე, საკუთარ პურზე, ხორცსა და რძის პროდუქტებზე. ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობის ღერძად უნდა გადაიქცეს რაციონალური მემინდვრეობა და მესაქონლეობა. სხვა დარგებს, მათ პროდუქციას დამატებითი მნიშვნელობა ექნება.

მხოლოდ ამ გზით შეგვიძლია ჩვენ ჯანსაღათა და უფათერაკოთ ვატაროთ პაწია საქართველოს, ქართველი ერის ხომალდი ვეებერთელა და ბობოქარ კაცობრიობის ოკეანეში.“

საბჭოთა ხელისუფლებამ, კოლექტივიზაციის სისტემამ, სამწუხაროდ, ის საფრთხეები, რასაც გრიგოლ ლორთქიფანიძე ვარაუდობდა, საქართველოს ვერ ააცდინა. საქართველოს სოფლის მეურნეობა, მისი ტრადიციული კულტურები განადგურების პირას მივიდა და ისეთი დარგიც კი, როგორიც ქართველი ხალხისთვის მევენახეობაა, კატასტროფულად დაზარალდა.

საქართველო და ზღვა

შესანიშნავი მოაზროვნე, დიპლომატი და პატრიოტი გრიგოლ ლორთქიფანიძე პოლიტიკაში, ეკონომიკასა და კულტურულ სფეროებში მომავალი საქართველოსთვის პრიორიტეტულ მიმართულებებს გამოჰყოფდა. მის პოლიტიკურ ანდერძში ერთ-ერთ ასეთ მიმართულებად საქართველოსთვის ზღვა არის მიჩნეული. მისი შეხედულებით ერთიანი და განუყოფელი საქართელოს სიმბოლო იყო და უნდა იყოს ზღვა, ნაოსნობამ საქართველოს ეკონომიკას მნიშვნელოვანი წარმატება შეიძლება მოუტანოს.

„მაშინ დაეცა საქართველოს საბედისწერო ლახტი, – წერდა გრიგოლ ლორთქიფანიძე, – როდესაც მისი დიდი სატრანზიტო არტერია შავი ზღვიდან არტანუჯ-არტაანის რაიონზე აღმოსავლეთისკენ ჩახშობილ და მოჭრილ იქნა

მტრის მიერ საშუალო საუკუნეებში. საქართველო უნდა ცდილობდეს, რომ მისი გეოგრაფიული მდგომარეობა გამოყენებულ იქმნას. ის არ უნდა გამოვიდეს იმ ბეც და წვრილმან მებაჟის როლში, რომელიც თავისი წვრილმანი ჭინჭყლაობით და წარმავალი ანგარიშით ამოქოლავს და დააცუდებს თავის ხიდის ყურს. ფართო, თავისუფალი და მაქსიმალური გარანტიით უზრუნველყოფილი ტრანზიტი ყოველ მხრითა და ყოველი მიმართულებით, – აი, რა უნდა იქნას საქართველოს პოლიტიკის ერთ-ერთი ძარღვი. ამასთან ერთად, ყოველმხრივ ხელის შეწყობა და შემსუბუქება სჭირდება სხვადასხვა დიდი მნიშვნელობის ასეთი სატრანზიტო გზების გაყვანას, როგორიცაა: ბათუმ-არტაან-ყარსი-ჯულფა (თუ არტაანი ჩვენი იქნა, თუ არა და – ხულო-ახალციხე-ახალქალაქი-გუმბრი).

ლორთქიფანიძის აზრით, ქართველი კაცი ვერ ეჩვევა ზღვას და ვერ იყენებს მას. თუმცა ათასობით წელია, რაც შავი ზღვის სანაპიროზე ცხოვრობს, მაგრამ მაინც ზურგს აქცევს ნამდვილ საზღვაო ცხოვრებას. მხოლოდ ლაზები აკეთებენ ამას. დამოუკიდებლობის წლებში პირველად იქცა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საკითხად ზღვაოსნობა. „შავ ზღვაზე აცურდა პირველი ხომალდები ქართული დროშითა და ქართული ეკიპაჟით, – წერდა იგი. – საქართველოს ნორჩ სანაოსნო საქმეში ჩაერია და ჩაექსოვა ჯერ კიდევ დედა სამშობლოზე შემოუერთებელ ჭანეთის შვილთა ენერგია და ზღვაოსნური გამოცდილება, დაარსდა ქართული საზღვაოსნო სასწავლებელი და სხვა. ერთი სიტყვით, ქართველმა ხალხმა შედგა პირველი ნაბიჯი იმ ასპარეზზე, რომელმაც, საქართველოს გეოგრაფიული მდგომარეობის გამო, უნდა ითამაშოს ჩვენს ცხოვრებაში უდიდესი პროგრესული და კულტურული როლი“

„შავ ზღვას უნდა შევეჩვიოთ და დავუძმობილდეთ. დროა ვისწავლოთ ცურვა, თორემ საკაცობრიო კულტურამ გაიარა სამდინარო, საზღვაო, საოკეანო კულტურის პერიოდები და კინაღამ საჰაერო ოკეანის სტადიაში გადადის და ჩვენ კი, ასე ვთქვათ, პალიასტომის ეპოქაშიც კი არ შევსულვართ მგონი.

მითუმეტეს უნდა დავუმეგობრდეთ ზღვას, რადგან ჩვენთვის დიდი ხანია გადაწყვეტილია ერთი ძირითადი საკითხი – კულტურული ორიენტაცია ევროპაზე".

ასეთი იყო პოლიტიკოსისა და მამულიშვილის რჩევა, თუმცა არც ამ იდეას ენერა აღსრულება. „ეს ახალი საქმეც და თავისუფალი შემოქმედებაც საზღვაო ასპარეზზე მყისვე ჩაკლა ცეცხლითა და ხმლით დაბრუნებულმა და შურისძიებით გაბერილმა ბატონმა", – ასე ასრულებს ზღვისადმი მიძღვნილ მსჯელობას გრიგოლ ლორთქიფანიძე.

დღეს საქართველო ყოველნაირად ცდილობს საზღვაო პოტენციალის გამოყენებას, გრიგოლ ლორთქიფანიძის თვალსაზრისი საზღვაო და სანაპირო სატრანზიტო მარშრუტებზე მხოლოდ ნაწილობრივ არის ამოქმედებული, თუმცა დაგეგმილია ახალი სატრანზიტო მარშრუტების გაყვანა სწორედ იმ მიმართულებით, რომელზედაც პუბლიცისტი საუბრობდა (ხულო-ახალციხე-ახალქალაქი-გუმბრი).

ქართველი ხალხის სამხედრო გენია და „ჩვენი ერის ღირსი მხედრობა"

ეკონომიკურ სიძლიერეზე დამყარებული, საყოველთაოდ აღიარებული პოლიტიკური დამოუკიდებლობის განსამტკიცებლად გრიგოლ ლორთქიფანიძისთვის უაღრესად მნიშვნელოვანი იყო ქვეყნის შეიარაღებული ძალების ფორმირება, სამხედრო სფეროს განვითარება. მისი აზრით, ქართველი ხალხი ისტორიულად გამოირჩეოდა და გენეტიკურად იყო დაჯილდოებული სამხედრო გენიით. ვახტანგ გორგასლისა და დავით აღმაშენებლის, გიორგი სააკაძისა და ერეკლე მეფის ხმლებით იყო გამოჭედილი ეს გენია. რუსეთმა საქართველოს დაპყრობის შემდეგ დაატყვევა ქართველი ხალხის სამხედრო ნიჭიც, მისი შესაძლებლობანი მოზღუდა და სამშობლოს ნაცვლად, იმპერიის სამსახურში ჩააყენა. დატყვევებული სამხედრო გენიის სიმბოლოდ და პირველ მაგალითად ლორთქიფანიძე პეტრე ბაგრატიონს

ასახელებდა, რომელიც ხმლის ნაცვლად „შაშკით“ ხელში იბრძოდა მისი ქვეყნის დამპყრობლის დასაცავად.

„სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობასთან ერთად, – წერდა იგი, – საქართველოს წაერთვა საკუთარი სამხედრო ორგანიზაციაც. რუსეთის მფლობელობის დროს ხდებოდა ქართველი ხალხის ერთგვარი დემილიტარიზაცია, თუმცა რუსეთი უხვად იყენებდა ქართველი ხალხის სამხედრო ენერგიას თავის ომებში. საქართველო გეოგრაფიულად და ქართველი ხალხი მილიტარულათ წარმოადგენდენ იმ უმთავრეს დასაყრდნობ წერტილს, რომლის საშუალებით რუსეთმა დიდი აგრესიული პოლიტიკის წარმოება შესძლო კავკასიასა და წინა აზიაში“.

მიუხედავად ამ მისიისა, რუსეთი არ აძლევდა საშუალებას ქართველ ხალხს ჰყოლოდა თავისი ეროვნული სამხედრო შენაერთები, მხოლოდ მილიციის ან სახალხო ლაშქრის სახით, კავკასიის ფრონტზე წარმოებული ომების დროს თუ შეიქმნებოდა დროებითი სამხედრო ფორმირებები. „რუსეთის მთავრობა გაურბოდა არამცთუ განსაკუთრებული ქართული მხედრობის შექმნას, არამედ დიდი ხნის განმავლობაში არ გაყავდა ქართველობა მუდმივ სამხედრო სამსახურში ბეგარის წესით, და ეს ხდებოდა არა იმიტომ, რომ ქართველი ხალხისთვის შეღავათის მინიჭება უნდოდა, არამედ მისთვის, რომ ქართველი ხალხი ჯერ კიდევ ვერ იყო მისი აზრით ეროვნულათ საკმარისათ გახრილი და რუსულათ მოშინაურებული და ამიტომ მისი მხედრულათ აღზრდა ერთგვარ საშიშროებას წარმოადგენდა საქართველოს მპყრობელისათვის. ამავე დროს რუსეთის მთავრობა უხვად სწოვდა ქართველი ხალხიდან მის მხედრულ ენერგიასა და შემოქმედებას რუსული მხედრობის სასარგებლოთ. ის იზიდავდა რუსულ სამხედრო სკოლებში ახალგაზრდობას, აცლიდა მას დედის ენასა და მშობლიურ გულს და უცხო ფორმასთან ერთად უცხო გულს უდგამდა და რუსულ თავს აბამდა“...

XIX საუკუნის ბოლოს რუსეთის ხელისუფლებამ შემოიღო კანონი ქართველების რუსულ ჯარში გაწვევის შესახებ, რამაც ქართული საზოგადოება აღაშფოთა. განსაკუთრებით საპროტესტო განწყობილება გაუჩნდათ იმ ადა-

მიანებს, რომელთა ახლობლები გაიწვიეს სამხედრო ვალდებულების მოსახდელად რუსეთის შორეულ გუბერნიებში. განსხვავებული კლიმატი და რუსული სამხედრო დისციპლინის უხეშობა ქართველი ახალგაზრდებისთვის ძნელი ასატანი იყო. მიუხედავად ამგვარი რეალობისა, ყოფილი სამხედრო მინისტრი და ჯარის პრობლემებში კარგად გარკვეული გრიგოლ ლორთქიფანიძე ამ ფაქტს მოგვიანებით დადებითად აფასებდა. აი, რას წერდა იგი ამ მოვლენის შესახებ: „რამდენიმე წლის განმავლობაში ქართველ ჯარისკაცებს საქართველოშივე წვრთნიდნენ, მაგრამ ეს საშიშარი შეიქმნა რუსეთისათვის და ამიტომაც მალე ქართველ ახალგაზრდობას ციე რუსეთში უკრეს თავი და დაფანტეს და დაქსაქსეს მთელი იმპერიის სივრცეზე. რა მძიმე და აუტანელიც არ უნდა ყოფილიყო ამ პირობებში სამხედრო ბეგარის მოხდა, ქართველი ხალხის რეგულარულ ჯარში განვევასა და აღზრდას ჰქონდა მეტად დიდი და დადებითი ეროვნული მნიშვნელობა საქართველოს მომავლისათვის. ქართველმა ხალხმა, როგორც აფიცრის, ისე სალდათის სახით ბრწყინვალეთ გაშალა თავის სამხედრო ნიჭი რუსეთის არმიის ასპარეზზე“...

მიუხედავად ამისა, ამ სტრიქონების დამწერს არ ავიწყდებოდა, ქართველი ჯარისკაცი რუსულ არმიაში როგორ გადაგვარდა, დაივიწყა მშობლიური ენა და ხშირად რუსეთში საცხოვრებლადაც გადაბარგდა. თუმცა, დიდ ეროვნულ ტრადიციებზე ამოზრდილი ადამიანებისთვის ესეც არ ქცეულა ბარიერად, როცა ქვეყანას დაჭირდა, ისინი უყოყმანოდ ჩადგნენ დამოუკიდებელი საქართველოს სამსახურში. გრიგოლ ლორთქიფანიძის სიტყვებით რომ ვთქვათ: „ქართველი ხალხის უძველესი და მაღალი ეროვნულ-პოლიტიკური მემკვიდრეობა თურმე ისე მტკიცედ იყო გამჯდარი ამ ერის თითოეული შვილის არსების ღრმა კუნჭულში, რომ თითქოს საბოლოოთ გადაგვარებულ და ქართული ენის უცოდინარ სარდლებსაც კი მშობლიური ენა გამოაბა და რუსული შინელის ქვეშ სააკაძეების გული აუძგერათ... ქართველი ოფიცრობა თურმე მთელი თავისი ფესვებით მშობლიურ ნიადაგში ყოფილა ჩამჯდარი, საქართველოს

აღმოაჩნდა საკმაოზე მეტი ოფიცერთა ღირსეული კადრი, რომლის ხელმძღვანელობით მან შექმნა და მოაწყო მუდმივი ჯარი ყველა სათანადო ორგანიზაციებით, სამხედრო სასწავლებლითა და სხვა. და ხდებოდა ეს მოწყობა და ორგანიზაცია არა მშვიდობიან და ნორმალურ პირობებში, არამედ ცეცხლის ქვეშ. ქართული ჯარი სწავლობდა და იწვრთნებოდა განუწყვეტლივ თავდაცვით ომებში...“

ცნობილია, რომ საქართველოს იმდროინდელმა ხელისუფლებამ ყველაზე სერიოზული შეცდომა სამხედრო სფეროში დაუშვა, რაც, უპირველესად, არმიის ორად გახლეჩვით, სახალხო გვარდიისა და რეგულარული ჯარის ერთდროულად არსებობით გამოიხატა. ქართველი გენერლები სულ საყვედურობდნენ ხელისუფლებას, რომ გვარდიას, სადაც მხოლოდ სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრები ირიცხებოდნენ, ჰქონდა სახელმწოსგან მეტი ხელშეწყობა, შეიარაღება, ჩაცმა და კვება. ქართველი გენერლების ნაწილი ამ ფაქტს დროებითად მიიჩნევდა და შექმნილი რთული მდგომარეობით ხსნიდა (მაგალითად, გენერალი ზაქარიაძე). მათი აზრით, სახელმწიფო ახლად იქმნებოდა და ასეთი საჯარისო შენაერთის ყოლა, სადაც სახელმწიფოს თავგანწირული დამცველები, პატრიოტი და ენთუზიასტი მოხალისეები (ძირითადად მუშები) იყვნენ, ქვეყანას ჭირდებოდა. თავის დროზე ამ შეხედულებას იცავდა სამხედრო მინისტრი გრიგოლ ლორთქიფანიძეც. მოგვიანებით, „ფიქრებში“ მან დაადასტურა საკუთარი თვალსაზრისი, თუმცა ჯარისთვის მიუღებლად ჩათვალა ასეთი პარალელიზმი, მისი აზრით, ჯარის გაერთიანება 1920 წლის აზერბაიჯანის მოვლენების შემდეგ მაინც უნდა დაწყებულიყო, რეფორმა ჯარში აუცილებლად იყო გასატარებელი, რადგან ერთმანეთთან შედუღაბებული სახალხო გვარდია და რეგულარული ჯარი, სადაც უამრავი პროფესიონალი სამხედრო მუშაობდა, ერთ მთლიან მტკიცე ორგანიზმს შექმნიდა. ამ რეფორმის გაუტარებლობას ის აბრალებდა ხელისუფლებასა და იმ ძველ სამხედრო კადრებს, რომლებიც „ინერციით ძველი დროის ნაშხეფს“ ვერ იშორებდნენ და ახალ აზროვნებას ვერ ეგუებოდნენ.

გრიგოლ ლორთქიფანიძის რწმენით, ამ დროებით მოვლენას ბოლო მოეღებოდა, დამოუკიდებელ საქართველოს არსებობა რომ დასცლოდა. ალბათ, მართლაც ცოტა იყო 1005 დღე იმისთვის, რომ ცხოვრების ყველა სფეროში რეფორმები გატარებულიყო, შეცვლილიყო ადამიანების მენტალიტეტი, მითუმეტეს, ქვეყანა მუდმივი ომის პირობებში ცხოვრობდა.

სახელმწიფო ინსტიტუტების ჩამოყალიბებას, კარგად ორგანიზებული და აღჭურვილი არმიის შექმნას დრო ჭირდებოდა, დრო, რომელიც დამოუკიდებელ საქართველოს რუსულმა წითელმა არმიამ 1921 წლის თებერვალში იარაღის ძალით წაგლიჯა.

„ვართ ერი – პოეტი ყველგან...“

გრიგოლ ლორთქიფანიძე არ ყოფილა ზედმეტად ოპტიმისტი: ის კარგად იცნობდა ჩვენი ერის ნაკლოვანებებს, იმ თვისებებს, რასაც საქართველოს წარმატებაში, სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში ხელის შეშლის მეტი არაფერი შეეძლო. ის გამოჰყოფდა, მისი აზრით, ძირეულ ნაკლოვანებებს და ქართველ ხალხს მისი გამოსწორებისაკენ, ყურადღების გამახვილებისა და გააქტიურებისაკენ მოუწოდებდა: „ბეჯითად უნდა გვახსოვდეს ჩვენი სუსტი მხარეები, რათა მათთანაც განუწყვეტელი ბრძოლა ვაწარმოოთ, – წერდა იგი. – ქართველი ბუნებრივი ნიჭით უხვადაა დაჯილდოებული და ადვილად, – თითქოს ამ კარგს თან ახლავს ცუდი სარჩულიც, – ჩვენი გონებით თუ არ ვიზარმაცებთ, ადვილად, თითქოს თვალის ერთი გადავლებით ვითვისებთ და ამიტომ სიღრმეს არ მივსდევთ, გონებრივ ნებისყოფას ვჭიმავთ; თითქოს მეტწილათ ტალანტური დილეტანტობა და ერთგვარი ზერელეობა ჩვენი დამახასიათებელია. ცალკერძა სპეციალისტობას თითქოს ცხვირს ვუბზუებთ, გვეადვილება სინთეზი და განზოგადება, ანალიტიკური კირკიმალი და წვრილმანობა არ გვიყვარს... ჩვენი ინდუქცია უკუდოა. ჩვენი ემპირიზმი სულწასული და ნაჩქარევი... გვიყვარს

ჰიპერბოლები და გვემარჯვება დიდი მასშტაბები. სანტიმეტრებითა და მილიმეტრებით, გრამებითა და გრანებით ზომვა-წონა არ გვეხერხება, საერთოდ, ჩოთქისა და ანგარიშის ცოდნა, პედანტური მუშაობა არ არის ჩვენი დამახასიათებელი...თითქოს თბომატარებელი მასალისგან ვართ ნაკეთები, მალე ვთბებით, სწრაფად ვხურდებით, ჩქარა აღვიგზნებით, მაგრამ ასევე სწრაფად ვგრილდებით...კახურზე მალე გრძნობა გვათბობს, ადვილად მივენდობით და მივინდობთ, ვართ გადაჭარბებული ოპტიმისტები, მაგრამ იმავე დროს ისეთი გულდაკოდილი და ღრმა ტირილი და გლოვა ვიცით, რომელიც გვარღვევს და გვაუძლურებს.

ჭირი და ლხინი, ქეიფი და ტირილი, ნაღველი და იუმორი, კრიმანჭული, ზარი და ბრძოლის ჰანგი, – აი, რა არის თითქოს ჩვენი ცხოვრების მთავარი დამახასიათებელი... თითქოს შრომა, შრომა ყოველდღიური და პროზაული, იშვიათი და სხვათაშორისო რამ იყვეს, გვიყვარს...იოლი პარტიზანობა და მჩატე გაჯირითება ყოველგვარ ასპარეზზე. გვაკლია ბეჯითობა, დაჟინება, მუყაითობა, ფოლადი ნებისყოფაში, ვართ ერი – პოეტი ყველგან...“

ქართველი ერის შეფასებაში გრიგოლ ლორთქიფანიძისეული სენტენციები პირდაპირ ეხმიანება დიდი ილიას „ბედნიერი ერისა“ და პუბლიცისტური წერილების პათოსს, სადაც მწერალი თვითკრიტიკისა და ჯანსაღი თვითშეფასების საფუძველზე მსოფლიო ხალხთა თანამეგობრობაში ქართველი ერის ჩაწერისათვის აუცილებელ ტენდენციებს გამოკვეთდა.

„მიმდინარე მომენტი“: საშინაო და საგარეო მოვლენების ანალიზი

თუ როგორ სწორად აფასებდა გრიგოლ ლორთქიფანიძე მიმდინარე მოვლენებს, კარგად დავინახავთ, თუ ღრმად შევისწავლით დამოუკიდებლობის წლებში გამოქვეყნებულ მის სტატიებს, სხვადასხვა დროს წარმოთქმულ სიტყვებს. „ფიქრები საქართველოზე“ მან მოგვიანებით, დიდი ფიქრისა და განსჯის, მოვლენათა შორიდან დანახვისა და გაანალი-

ზების შედეგად შექმნა, 1918-1921 წლების ნააზრევი კი, ცოცხლად გვაჩვენებს ამ შესანიშნავი მოღვაწის თეორიულ მემკვიდრეობას, მოვლენების მისეული შეფასების მაღალ დონეს.

ამ მხრივ საინტერესოა საქართველოს რკინიგზელთა III ყრილობაზე გრიგოლ ლორთქიფანიძის მიერ გაკეთებული მოხსენება. იგი გაზეთ „ერთობაში“, 1921 წლის იანვარში, სამ ნაწილად დაიბეჭდა. მოხსენებას „მიმდინარე მომენტი“ აქვს სათაურად და, მართლაც, საქართველოს საშინაო და საგარეო ვითარების ანალიზს ისახავს მიზნად.

ეს იყო უაღრესად კრიტიკული პერიოდი დამოუკიდებელი საქართველოს ცხოვრებაში. ბოლშევიკურ რუსეთს უკვე დაპყრობილი ჰქონდა როგორც ჩრდილოეთი, ასევე სამხრეთ კავკასიის მნიშვნელოვანი ნაწილი. საქართველო იყო თავისუფლების პატარა კუნძული, რომელსაც ყოველი მხრიდან უტევდა მტერი. ურთულესი იყო საერთაშორისო ვითარებაც: არც ევროპა და არც ამერიკა არ აპირებდა საქართველოს გამო რუსეთთან დაპირისპირებას. 1920 წლის შემოდგომაზე რიგაში დადებული ხელშეკრულებით, პოლონეთი, ბალტიისპირეთი და ფინეთი დახსნილი იყო რუსეთისაგან. ევროპა თითქოსდა უთმობდა რუსეთს შუა აზიასა და ამიერკავკასიას. მართალია, მოკავშირე სახელმწიფოებმა ცნეს ამიერკავკასიის ქვეყნების დამოუკიდებლობა, მაგრამ რუსეთისთვის ამას მნიშვნელობა არ ჰქონდა. თურქეთთან შეთანხმებული საბჭოთა რუსეთი ჯიუტად ცდილობდა სამხრეთ კავკასიის დაკავებას. მითუმეტეს, ბაქოში შესვლის შემდეგ, მისთვის ჰაერივით აუცილებელი იყო საქართველო, რადგან ამით ბაქოდან ნავთობის გატანა გაადვილდებოდა.

ევროპელმა სოციალისტებმაც ვერ უშველეს ქვეყანას, ვერ დაარწმუნეს თავიანთი მთავრობები საქართველოს გადარჩენის აუცილებლობაში. ომისშემდგომ პერიოდში მსოფლიო პოლიტიკას განსაზღვრავდა სახელმწიფოების საკუთარი ინტერესები.

გრიგოლ ლორთქიფანიძის ვრცელი მოხსენება გაჟღენთილია ამ ინტერესთა ანალიზითა და იმის განცდით,

რომ ქართველ ხალხს თავგანწირვის ფასად დაუჯდებოდა ქვეყნის ხსნა. „საქართველოს დღევანდელი ვითარება, – აღნიშნავდა მომხსენებელი, – მისი ავ-კარგი, ყველა მისი საჭირბოროტო და სამკვდრო-სასიცოცხლო კითხვები, მჭიდროდაა გადაბმული მსოფლიოს საერთო მდგომარეობასთან. საქართველოს რესპუბლიკის დღევანდელი უმთავრესი ამოცანების სათავე საქართველოს გარეშე მდგომარეობს.“

იგი საუბრობდა ომისშემდგომ შექმნილ ეკონომიკურ სიძნელეებზე, რაც მეტ-ნაკლებად ჰქონდათ სხვადასხვა ქვეყნებს. ომს ის არ თვლიდა დასრულებულად. მიუხედავად უამრავი საზავო ხელშეკრულების დადებისა, გრიგოლ ლორთქიფანიძის აზრით, 1920 წლის ბოლოს ეს ომი კვლავ მიმდინარეობდა. მისი ეს შეხედულება სიმართლეს იმდენად შეესაბამებოდა, რამდენადაც უამრავი ქვეყნის ბედი რჩებოდა გაურკვეველი. ომისშემდგომ წარმოქმნილ პატარა სახელმწიფოებს დაცვა და დახმარება სჭირდებოდა, მსოფლიოს დიდ სახელმწიფოებს კი არ სურდათ ამ მიმართულებით პასუხისმგებლობის აღება.

მომხსენებელი ომს „კატასტროფას“, „საშინელ სოციალურ-პოლიტიკურ მიწისძვრას“ უწოდებდა, რომელიც კარგა ხანს არ დაწყნარდებოდა. ომმა მოშალა არა მარტო ქვეყნების, არამედ კლასთაშორისი ურთიერთობები; ძველი დაინგრა, ახალი კი ვერ შეიქმნა, – ასეთი იყო მისი აზრი. „ბოლშევიზმი ერთა შიგნით“, – ასე გაიაზრებდა გრიგოლ ლორთქიფანიძე იმ უბედურ მემკვიდრეობას, რაც გამოიხატა კლასობრივი ბრძოლების გამწვავებით, ამა თუ იმ ერში სოციალური დაპირისპირებით. საინტერესოა ბოლშევიზმის მისეული შეფასება: მას არ მიაჩნდა ეს იდეოლოგია მარტო რუსულ მოვლენად, იმდენად განაზოგადებდა მას, რომ მსოფლიო ბოროტების სიმბოლოდ აღიქვამდა. მოხსენებაში გარჩეულია მსოფლიოს ეკონომიკური და კულტურული დანაკარგები, ნათქვამია, რომ ამ დანაკლისის აღდგენა ძნელი იყო. ლორთქიფანიძის აზრით, მოხდა მუშათა და გლეხთა დეკლასირება, ისინი „მოწყდნენ თავის კლასს, შეუერთდნენ იმ არმიას, რომელიც არაფერს ჰქმ-

ნიდა, არაფერს ანარმოებდა და ყველაფერს ნთქავდა და ანადგურებდა.“

მომხსენებელი შეეხო აზროვნების მილიტარიზაციას, იარაღის კულტს, განსაკუთრებით, მშრომელი ხალხის ფსიქოლოგიის შეცვლას, ურთიერთდაპირისპირების, აგრესიულობის გაძლიერებას ხალხში, რასაც არ შეიძლებოდა მომავალში კარგი შედეგი მოეტანა. მეურნეობის დაშლამ, სულიერმა ტრამვამ გამოიწვია პოლიტიკური დეგრადაცია და სოციალური დაქვეითება. ლორთქიფანიძე საუბრობდა სოფლისა და ქალაქის დაპირისპირებაზე, მათ შორის ჩამოვარდნილ მტრულ დამოკიდებულებაზე, რაც, ასევე, კატასტროფად შეიძლებოდა ქცეულიყო ისეთი პატარა და პოლიტიკურად რთულ ვითარებაში მყოფი ქვეყნისათვის, როგორიც საქართველო იყო.

სოფელში კუსტარული მრეწველობა იკიდებდა ფეხს, ქალაქის მრეწველობა კი, ველარ ვითარდებოდა. ეკონომიკური სიმძიმის ცენტრი სოფლისკენ იხრება, – წერდა იგი, – ეს კარგს არ უქადის საერთო პროგრესს, ეკონომიკური ცხოვრება საუკუნეების უკან იწევსო.

როგორც სოციალ-დემოკრატს, ლორთქიფანიძეს სურდა სოციალიზმის, კოლექტივიზმის პრინციპის განვითარება და არა კუსტარული წარმოების, ინდივიდუალიზმის დანერგვა. მიაჩნდა, რომ ქართულ მრეწველობას ეს ვერ ააღორძინებდა. იგი თავის მსმენელებს მსოფლიო ბოლშევიზმის წინააღმდეგ დაპირისპირებისაკენ მოუწოდებდა, „ჩამომველელ ავადმყოფობად“ მიიჩნევდა ამ პოლიტიკურ იდეოლოგიას და სვამდა კითხვებს: რა გვიშველის? რა გადაგვარჩენს?.. პატარა ერისათვის მოსალოდნელი უბედურება უფრო საშიში ჩანდა, ვიდრე უფრო დიდი ქვეყნების შვილებისათვის. „ომი ყველაფრის და ყველას წინააღმდეგ“ უნდა დასრულებულიყო.

გრიგოლ ლორთქიფანიძე აანალიზებდა აზერბაიჯანის ვითარებას, რუსეთის ბრძოლას ყველა მიმართულებით, მის პოლიტიკურ კავშირს ანგორასთან (თურქეთის ახალი ხელისუფლება, რომელიც უპირისპირდებოდა სულთნის ხელისუფლებას, ხელმძღვანელი ახალი ხელისუფლებისა იყო

მუსტაფა ქემალ ფაშა, შემდეგში ათა-თურქი, რომელიც ანკარაში, იგივე ანგორაში იჯდა, ამიტომ, ანგორის ხელისუფლებას ეძახდნენ, – დ. ჭ.), ამბობდა, რომ რუსეთმა დიდ გასაჭირში ჩააგდო სომხეთი. აზერბაიჯანის მსგავსად, ისიც შეიყვანა თავისი რესპუბლიკის ფარგლებში. მომხსენებელმა ისიც თქვა, რომ ყველა, ოთხივე მეზობელთან საქართველოს მშვიდობიანი, კეთილი ურთიერთობა ჰქონდა, მაგრამ არავინ იცოდა, მათ რა ინტერესები ამოძრავებდათ ჩვენი ქვეყნისადმი. ოთხივე მეზობელს ის კომუნისტურს უწოდებდა. ამის თქმის საშუალებას აძლევდა თურქეთის იმდროინდელი პრორუსული ორიენტაცია. პოლიტიკოსი სწორად აფასებდა შექმნილ პოლიტიკურ ვითარებას, იმასაც კარგად იაზრებდა, რომ ბოლშევიზმი რუსეთს თავისი ახალი იმპერიული ამბიციების დაკმაყოფილებაში ეხმარებოდა. იგი არც რუსეთ-პოლონეთის ომის შედეგებს ივიწყებდა და ლენინის[36] ხელში რუსული ბოლშევიზმის იარაღს მოსწრებულად ადარებდა საფრანგეთის მაგალითს – ნაპოლეონის[37] მიერ რევოლუციის დროშით ევროპის დაპყრობას.

გრიგოლ ლორთქიფანიძეს ვრცელ მოხსენებაში, საშინაო და საგარეო ვითარების არც ერთი დეტალი არ დავიწყებია. იგი შიდა, სამოქალაქო დაპირისპირებას განსაკუთრებულად სახიფათოდ თვლიდა და შიშობდა, ვაითუ, საგარეო პოლიტიკაშიც ქვეყანა ამგვარი საშიშროების წინაშე დამდგარიყო. ამის საფუძველს სომხეთის თემა აძლევდა. უარყოფდა ევროპის ქვეყნების მიერ წამოყენებულ ბრალდებას, თითქოს დამოუკიდებელი საქართველოს სახელმწიფო სომხეთისკენ ტვირთსა და სურსათს არ უშვებდა. იცოდა რა დიდი მსოფლიო ქვეყნების, კერძოდ, ამერიკის შეერთებული შტატების პროსომხური პოზიცია, ასევე ინგლისის პოლიტიკური წრეების დამოკიდებულება სომხეთისადმი, რუსეთის განსაკუთრებული სიმპათიები მის მიმართ, გრიგოლ ლორთქიფანიძე შეშფოთებით ვარაუდობდა, ყოველივე ამას ზეგავლენა არ მოეხდინა საქართველოს საგარეო პოლიტიკაზე, არ გაემწვავებინა იგი, არ გაემრავლებინა საქართველოსათვის მტრები. მან მოხსენებაში მოიტანა

დოკუმენტური მასალები, დაასახელა ფაქტები, რაც სომხეთისაკენ ტვირთის გატარების საკითხში საქართველოს უდანაშაულობას ამტკიცებდა. მისი აზრით, „კავკასიელმა კომუნისტებმა შეცდომაში შეიყვანეს მოსკოვი“ და შემდეგ მთელი მსოფლიოც, რადგან ჩიჩერინის[8] დეპეშები, სადაც საქართველოს „დანაშაულზე“ იყო ლაპარაკი, ევროპის ყველა ქვეყანას მისდიოდა.

პოლიტიკური ანალიზის შემდეგ გრიგოლ ლორთქიფანიძე იმედს გამოთქვამდა, რომ რუსეთი დააფასებდა საქართველოს კეთილმეზობლობას, მის წინააღმდეგ იარაღს არ გამოიყენებდა. მაგრამ, თუ ეს მოხდებოდა, ქართველი ხალხი საკუთარი ქვეყნის დასაცავად თავს არ დაზოგავდა. იგი აიმედებდა ხალხს, რომ გამოკეთდებოდა ქვეყნის ეკონომიკური ცხოვრება, საქართველოს დიდი მომავალი ექნებოდა...

საქართველოს კონსტიტუცია და ხელისუფლების ორგანოები

„ფიქრების“ ავტორი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა „მონობიდან ახლადგამოსული ქართველი ხალხის“ (მისი სიტყვებია) სამართლებრივ აზროვნებას, კონსტიტუციურ წესრიგს, დემოკრატიულ ინსტიტუტებს, რომელიც ქვეყანაში ასე მცირე დროის მანძილზე ჩამოყალიბდა. მართალია, დამოუკიდებელი ქვეყნის მოსახლეობა ვერ ეღირსა კონსტიტუციას, ის უკვე, როგორც ლორთქიფანიძე წერს–თბილისის ირგვლივ მტრის ზარბაზანთა ქუხილის პირობებში მიიღეს, მაგრამ მთელი წინა პერიოდი დამოუკიდებელმა სახელმწიფომ ფაქტობრივად, იმ კანონებით იცხოვრა, რომელიც შემდგომ კონსტიტუციაში შევიდა. მისი აზრით, ერეკლესდროინდელი ფეოდალური ცნობიერებიდან ერი უცებ გამოვიდა, ამაში კი ხელისუფლების უმაღლესი და ადგილობრივი ორგანოები დაეხმარა. სანამ კონსტიტუციას მიიღებდა, მანამდე უკვე ქვეყანა გარკვეუ-

ლი კანონებითა და წესებით ცხოვრობდა. ამ მოვლენას ლორთქიფანიძე „ფაქტიურ კონსტიტუციას“ უწოდებდა და წერდა: „ერმა თავის თავი უზენაესი უფლების მატარებლად გამოაცხადა და ამ უფლების გამომსახველათ შექმნა საერთო დამფუძნებელი კრება, არჩეული ყველა სრულწლოვანი მოქალაქის მიერ განურჩევლათ სქესისა და სარწმუნოებისა, პროპორციული სისტემით. მან შექმნა თავისი უზენაესი ორგანო არა კუთხეებისა და ოლქების წარმომადგენლებისაგან, არამედ საერთო რესპუბლიკური სიებით არჩეული... მთელი ძალაუფლება დამფუძნებელ კრებას მიენიჭა. ეს მოასწავებდა დემოკრატიულ ნიადაგზე აგებულ ძლიერ სახელმწიფოებრივ ცენტრალიზმს. მაგრამ უნდა აღინიშნოს ის ფრიად საინტერესო მოვლენა, რომ საქართველოს პოლიტიკური წყობილება უაღრესათ სავსე იყო რეალური დემოკრატიზმის შინაარსით.“ ამის მაგალითად ლორთქიფანიძეს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები მოჰქონდა. თვლიდა, რომ ეს დაწესებულებები სახელმწიფოს ინტერესებთან იყო შედუღაბებული, იქ ადგილობრივი, გამოუცდელი, მაგრამ ქვეყნის ერთგული და საქმისთვის თავგადადებული ადამიანები მოღვაწეობდნენ. ცენტრიდან გაგზავნილი მოხელეები ასე გულიანად და ადგილობრივ თავისებურებათა ცოდნით ვერ შეასრულებდნენ თავიანთ მოვალეობას.

სხვა ქვეყნებში ათეული წლები დაჭირდებოდა იმის გაკეთებას, რაც საქართველოში თვითმმართველობებმა მოკლე დროში გააკეთესო, – გვარწმუნებს „ფიქრების“ ავტორი.

„გუშინდელი პოლიტიკოსები და რევოლუციონერები, მწერლები და კოოპერატორები, დრამატურგები და მუშები, პოეტები და გლეხები, მასწავლებელნი და მსახიობები, მიესივნენ მათთვის უცნობს, მაგრამ დიდსა და საჭირო საქმეს, კოლექტიური ენერგიითა და აღტყინებული შემოქმედებით შექმნეს საქართველოს თვითმმართველობის ორგანოები, რომელზედაც მტკიცედ და საიმედოდ დაეყრდნო მთელი სახელმწიფოს შენობა. არსებითად საქართველოს რესპუბლიკა წარმოადგენდა დემოკრატიულ თვითმმართველობათა ჯამს, რომლის გამაერთიანებელი თაღი და

გუმბათი იყო საერო საკანონმდებლო კრებული და ცენტრალური მთავრობა.“

საკანონმდებლო ხელისუფლების – დამფუძნებელი კრების მუშაობის წარმატებულად შეფასებასთან ერთად, ლორთქიფანიძე დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა აღმასრულებელი ხელისუფლების – საქართველოს მთავრობისა და სასამართლო ხელისუფლების საქმიანობასაც. მისი ღრმა რწმენით, ისინი ემსახურებოდნენ ეროვნულ საქმეს, ქართველი ხალხის ინტერესებს. მართალია, ის აკრიტიკებდა სასამართლოში მიმდინარე რეფორმის ტემპს, მაგრამ თვლიდა, რომ საბოლოოდ სასამართლო გაქართულდა, კანონებიც გაჩნდა, ის-ის იყო დაცემული წამოდგა და მუშაობის დაწყებასაც აპირებდა, მაგრამ საქართველოს გასაბჭოებამ მოუსწრო და ახალი ბოლშევიკური ხელისუფლების მიერ მთლიანად განადგურა. ამის შესახებ 1925 წელს წერდა: „ამ დროს მოესწრაფა მას სიცოცხლე გარეშე ძალისაგან, რომელიც მმართველობის ყველა დარგში ახდენს დიდ აფორიქებასა და მეტწილათ ნგრევას, მაგრამ არცერთ საქმეს ისე ძირიან-ფესვიანათ არ თხრის, როგორც სასამართლოს“.

„აღმშენებლობა ცენტრგამცლითი წესით“ და ეთნოგრაფიული გალავნის აღდგენა

გრიგოლ ლორთქიფანიძის ფიქრები წარსულის, აწმყოსა და მომავლის საქართველოს თანაბრად ეხებოდა. მას სურდა, რომ მომავალში ქართველებს დაეკავებინათ ქვეყნის ისეთი ადგილები, სადაც ნაყოფიერი მიწები იყო და მთლიანად სხვა ხალხს ეკავა. განსაკუთრებით, მცირემიწიან ზემო იმერეთისა და დასავლეთ საქართველოს მთის რაიონების მცხოვრებლებს ჭირდებოდათ ასეთი პოლიტიკა. მისი აზრი დასტრიალებდა სასაზღვრო რაიონებს, ანუ, როგორც ის უწოდებდა – „ეთნოგრაფიულ გალავანს“, უკვე „შემოფლეთილსა და შემოცრეციცილს“. დაახლოებით სამასი ათასამდე უმინო ადამიანის ქვეყნის ნაპირებისკენ გადასახ-

ლება და მათი მიწით მოწყობა...აი, ის საშვილიშვილო საქმე, რომელსაც ქართველი ერისთვის ისტორიულად დაკისრებულ მოვალეობად მიიჩნევდა. მისი აზრით, ქართველების კოლონიზაცია საკუთარი სამშობლოს კუთხეებში სახელმწიფოს დახმარებით უნდა განხორციელებულიყო.

ლორთქიფანიძე საუბრობდა „ცენტრგამცლითი“ წესით აღმშენებლობაზე, რაც ნიშნავდა დედაქალაქის განტვირთვასა და განაპირა რაიონების დასახლებას, სხვა ადმინისტრაციული, კულტურული და სამრეწველო ცენტრების შექმნას, ასევე თბილისის შემოგარენში ქართველების განსახლებას. განაპირა რაიონებში უნდა გაშენებულიყო ის ქარხნები და საწარმოები, უმთავრესად საშენ მასალათა მწარმოებელი, რომელიც საქართველოს ეკონომიკური ხერხემლის გამაგრებაში დაეხმარებოდა.

გრიგოლ ლორთქიფანიძის ეს თვალსაზრისი სასურველის გაცხადება უფრო იყო, ვიდრე რეალური, რადგან საქართველოში დამყარებულმა საბჭოურმა რეჟიმმა ის გალავანიც მოშალა, ბუნებრივად რომ იყო აღმართული ქვეყნის ჩრდილოეთ საზღვარზე, სხვა „გალავნებზე“ რომ აღარაფერი ვთქვათ, უფრო ადრე, რუსულმა მონარქიულმა რეჟიმმა რომ მოარღვია, გააუცხოვა და „გაცრიცა“...

სიცოცხლეზე მეტი – ღირსების დაცვა

ღირსებისა და სამართლიანობის დაცვის ურყევი პრინციპი, – აი, რა აძლიერებდა და აძლიერებს ადამიანის გმირულ სულისკვეთებას. გრიგოლ ლორთქიფანიძესაც ეს პრინციპი ეხმარებოდა იმ უთანასწორო ბრძოლაში, რომელშიდაც აღმოჩნდა ჩაბმული. სიცოცხლეზე მეტი იყო მისთვის ღირსებისა და ზნეობის შენარჩუნება, ყველაფერი კი, რაც მას გააჩნდა, სამშობლოს უკავშირდებოდა, საქართველოსთან იგივდებოდა. მას აღიზიანებდა ყალბი ავტორიტეტები, დიდება, რომელსაც სამშობლოსთვის გაკეთებული საქმეები არ ედო საფუძვლად, სახელი, რომელიც ზიზღს ჰგვრიდათ იმ ქართველ დედებს, საქართველოს

ერთგულებისთვის შვილები, მამები და ძმები რომ ჩაუხოცეს. მათი სულები ბორგავდნენ საქართველოში კოჯორთან და ტაბახმელასთან, ფშავსა და ხევსურეთში, ქართლსა და კახეთში, იმერეთსა და გურიაში, სამეგრელოსა და აფხაზეთში, სვანეთსა და რაჭა-ლეჩხუმში, სუკის ჯურღმულებსა და შორეული რუსეთის გაყინულ ციხეებში. ის წმინდა და მართალი სულები აქეზებდა ბრძოლისაკენ, მამულის ინტერესების თავდაცვისაკენ. ისიც არნახულ გამბედაობას იჩენდა...

პატრიოტი ქართველის სითამამე გამორჩეულად სტალინისადმი მიწერილ წერილებში გამოვლინდა. პირველი წერილი მან ბელადს 50 წლის იუბილეზე, 1929 წელს მისწერა, უფრო სწორად, მისალოცი დეპეშა გაუგზავნა, მაგრამ სურვილებზე მეტად კრიტიკული შენიშვნებით აავსო. ასეთ მისალოცს სტალინისნაირი ამბიციური კაცი კი არა, უბრალო მოხელეც იწყენდა. ავტორი იმაშიც არ იყო დარწმუნებული, ადრესატი მიიღებდა და, მითუმეტეს, წაიკითხავდა თუ არა მისგან გაგზავნილ წერილს. მაინც გზავნიდა, თავის ტკივილებსა და იმედებს შიგ დებდა და ელოდა... რას, რას მიიღებდა კურსკის ციხეში გამოკეტილი პატიმარი ბელადისგან იმის გარდა, რაც მიიღო...

„დღეს თქვენ ტრიუმფატორი ხართ,– წერდა წერილის ავტორი,– რომის ტრიუმფებში მონაწილეობდა საგანგებო მონა, რომელიც დიდ გამარჯვებულს შეახსენებდა მის ცალკეულ შეცდომებს და ბედის ცვალებადობას. შუა საუკუნეების რუს მეფეებს კრიტიკოსებად სალოსები ჰყავდათ.

არ ვდგავარ რა ტრიუმფატორის უავგუსტოესი ეტლის ძარის უკან სატერფალზე და არც კარის სალოსი გახლავართ, რასაკვირველია, ასეთი იმუნიტეტის ქონას არ ვვარაუდობ, მაგრამ მაინც მივცემ ჩემს თავს უფლებას, რომ შევიტანო ერთგვარი დისონანსი (სულერთია, მას მაინც არავინ გაიგონებს) იმ ხოტბა-დიდების ქოროში, რომელიც გარს გახვევიათ თქვენი ნახევარი საუკუნის დღეს.

რაც შეეხება ჯანმრთელობას, დღეგრძელობას და ა. შ.,

ბევრი ჩვენგანი მათ გულწრფელად გისურვებთ, მაგრამ მინდა შეგახსენოთ, რომ თქვენს იუბილეს დაემთხვა ორი უმნიშვნელოვანესი, აღმაშფოთებელი წინააღმდეგობრიობა და თქვენს მიერვე შექმნილი ისტორიული ფაქტი ეროვნული პოლიტიკის სფეროდან: ტაჯიკებისათვის მოკავშირე რესპუბლიკის უფლებების მიცემა და იმავდროულად საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის ავტონომიის ნიშანთა საბოლოო ლიკვიდაცია და მათი გადაქცევა რუსულ საბჭოთა საადგილმამულოდ კრინიცკის[39] მეთაურობით.

საუკეთესო საიუბილეო მისალმებასთან ერთად ვისურვებდი, რომ თქვენ და თქვენი თანამებრძოლები საბოლოოდ არ დაგატყვევოთ ძველრუსული კრემლის ისტორიულმა აჩრდილებმა და რომ მოსკოვის დიდმპყრობელობამ მეტად ვერ შეძლოს ინტერნაციონალიზმის დიადი იდეის მეწამულ ტოგაში გახვევა.“

გრიგოლ ლორთქიფანიძე [ლორთქიფანიძე 2008:83].

მეორე წერილი გაცილებით ვრცელი და არანაკლებ გაბედული იყო. მას 1935 წლის 34 მარტის თარიღი უზის და ლორთქიფანიძესთან ერთად ხელს მისი პატიმარი მეგობრები – ალექსანდრე დგებუაძე და კანდელაკი[40] აწერენ.

საბჭოთა კავშირი ახალი, „გამარჯვებული სოციალიზმის“ კონსტიტუციის მისაღებად ემზადებოდა, იხილებოდა კონსტიტუციის პროექტის მუხლები, ადამიანები თავიანთ წინადადებებს აყენებდნენ, ასწორებდნენ, ვითომ დემოკრატიით ტკბებოდნენ. სინამდვილეში, სახელმწიფოს ძირითად კანონში არავის არაფრის შეცვლა არ შეეძლო. ეს ყველაფერი მოჩვენებითი პოლიტიკა, კომუნისტური სიყალბე იყო. გრიგოლ ლორთქიფანიძე ციხიდან ჩაერთო ამ პროცესში. ის აზრებს თავისუფლად გამოხატავდა და შესწორებებსაც ჩვეული სითამამით აკეთებდა. მისი შენიშვნები ძირითადად საბჭოურ სივრცეში საქართველოსა და მისი მომავლის საკითხს ეხებოდა.

ეს წერილი, თავისი მოცულობის გამო, შესაძლო იყო შეგვემოკლებინა, ან შინაარსით გადმოგვეცა, მაგრამ ამ ტექსტის სრულად გაცნობის გარეშე შეიძლება კი გრიგოლ

ლორთქიფანიძის, როგორც ნამდვილი გმირის, ტოტალიტარულ რეჟიმთან დაპირისპირებული უშიშარი ადამიანის პორტრეტის წარმოდგენა?..

სტილით, მთლიანად აზროვნების სულისკვეთებით, შეიძლება ვივარუდოთ, რომ წერილი მისი დაწერილია, უბრალოდ, ეს შეხედულებები დანარჩენი ორი პოლიტიკური პატიმრისთვისაც მისაღები იყო.

აი, ეს წერილი:

„ღრმად პატივცემულო იოსებ ბესარიონის-ძევ!

თქვენი ინიციატივით დადგა კონსტიტუციის გადემოკრატიულობის თვალსაზრისით, მისი გადახედვის საკითხი. გვინდა გვჯეროდეს, რომ სწორედ ასე იქნება და გამტკნარდებიან ის სკეპტიკოსები და ავყიები, ვინც ამ დეკლარაციას მხოლოდ „ბოლშევიკურ ბლეფად“ მიიჩნევენ და წინასწარმეტყველებენ – „კომუნისტური დაპირებების იალბუზი, ჰა და ჰა, დემოკრატიულ წრუწუნას შობსო“.

რაღა თქმა უნდა, ფუჭია ფიქრი, ვითომც საკონსტიტუციო კომისია მოგვისმენს ყველა სოციალურ-პოლიტიკურ საკითხზე, მაგრამ ვბედავთ, სიტყვა მოგანვდინოთ ამ წერილის მეშვეობით, ზოგადად, ნაციონალურ საკითხებზე, სახელდობრ კი, საბჭოთა საქართველოზე, რადგანაც მისი გასაბჭოების დღიდან აქამდე, გარიყულნი ვართ და სოციალიზმისა და სამშობლოს მტერთა სიაში ვირიცხებით.

საქართველოს ტერიტორიული მინიმუმი ჯერ კიდევ მის გასაბჭოებამდე დაადგინა რუსეთის საბჭოთა მთავრობამ 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულებით, რომლის ძალითაც, მხოლოდ აზერბაიჯანის პრეტენზიებიღა იყო გასარკვევი ზაქათალის ოლქის ზოგიერთ ნაწილზე. მაგრამ საქართველოს გასაბჭოების შემდეგ, 1921 წლიდან ბედი უკუღმა შემობრუნდა. საბჭოეთ-თურქეთის მოსკოვის შეთანხმებისა და შიგა გამიჯვნის შედეგად, საბჭოთა საქართველოს თავისი ტერიტორიის, სულ ცოტა, მეხუთედი ჩამოეჭრა. აქედან უმეტესი წილი თურქეთს ერგო. მან, არდაგანისა და ართვინის ოლქებთან ერთად, ახალციხის, მტკვრის ხეობისა და აჭარის კარის გასაღებიც – ფოცხოვის რაიონიც მიიღო.

შიგა გამიჯვნით კი, არათუ დაკმაყოფილდა აზერბაიჯანის პრეტენზიები ზაქათალის ოლქის ზოგიერთ ნაწილზე, არამედ მთელი ოლქი გადაეღოცა აზერბაიჯანს. ამას ზედ დაურთეს კახეთში – ერიქთარის ველის ზოლი, ყარაიაზის ველის ნახევარზე მეტი დავით-გარეჯის რაიონითურთ(?!). (ამის მერე, გასაკვირი სულაც არ გახლავთ, რომ მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატის განკარგულება, „საქნავთობის“ „აზნავთობში“ ჩართვის შესახებ, გამაოგნებელ კითხვას ბადებს – ეგებ შირაქიც მიართვან ხონჩით მის უდიდებულესობა აზერბაიჯანს ნახჭევანივით ცალკე დომინიონად, ან პირდაპირ შეუერთონ მას მთელ აღმოსავლეთ კახეთთან ერთად).

ისლამი საუკუნეების მანძილზე ცეცხლითა და მახვილით ანადგურებდა უძველეს ქართულ კულტურას, ჩვენი სახსენებლის მოსპობას ცდილობდა, ძალით გვამუსულმანებდა, და აი, ახლა, XX საუკუნეში, როცა მრავალტანჯულ ქართველობას უნდა ამოესუნთქა, როცა ნაწილობრივ მაინც უნდა გამოსწორებულიყო ისტორიული უსამართლობა, საქართველო უარესად დაჯიჯგნეს და პანისლამიზმის სამსხვერპლოს ტარიგად შესწირეს. განსაკუთრებით პარადოქსულია: 1) რომ ეს მოხდა რუსეთის ხალხთა უფლებების შესახებ ი. ბ. სტალინისა და ვ. ი. ლენინის ისტორიული დეკრეტისა და 1920 წლის 7 მაისის შეთანხმების შემდეგ; 2) რომ ყველა ეს მსხვერპლი პანისლამიზმსა და მის ბელადს – თურქეთს შეეწირა, თურქეთს, რომელსაც პირველი მსოფლიო ომის ყველა ფრონტზე კუდით ქვა ასროლინეს და სასტიკად დამარცხებული, მაინც გამარჯვებული გამოვიდა საბჭოთა კავშირის საზღვრებთან; 3)სპარსეთის შაჰებისა და თურქეთის სულთნების ანტიქართული თარეში კი არ აღიკვეთა, არამედ გაფართოვდა და იკურთხა არა მხოლოდ ე. წ. თურქეთის ნაციონალური რევოლუციის, არამედ საბჭოთა რევოლუციის ვითომც წმინდა ინტერნაციონალური პრინციპებით.

ზაქათალაში მოძმე აზერბაიჯანმა მამაპაპისეული ფუძეებიდან აჰყარა ინგილო ქართველები და იმათაც საქართ-

ველოს შეაფარეს თავი. და განა მხოლოდ აზერბაიჯანში მოხდა ეს? ყველა საბჭოთა რესპუბლიკიდან მთლიანად ან ნაწილობრივ გამორეკეს ქართველობა. მაგალითად ალაგირიდან, სოჭის, ტუაფსეს რაიონებიდან და ა. შ. შეიძლება ითქვას, რომ რევოლუციის შემდეგ არცერთ ქართველ მიწათმოქმედს არ მიეცა მოძმე საბჭოთა რესპუბლიკებში დასახლების საშუალება. თუმცა დიდის რიხითა და ზარზეიმით განაცხადეს, უკვე გადაწყვეტილია სოჭის რაიონში უმიწაწყლო პირველი ათიათასი ქართველი გლეხის ჩასახლების საკითხიო, ეს საკითხი ჰაერში გამოკიდებული დარჩა. სამაგიეროდ, უკუპროცესი, — სხვა, მიწებით მდიდარი რესპუბლიკებიდან ხალხის მცირემიწიან საქართველოში ჩამოსახლება — დღემდე გრძელდება.

ამა თუ იმ რესპუბლიკის რაიონებად დაყოფისასაც კი, კომისიები დიდიხნობითა და საფუძვლიანად შეისწავლიან და მსჯელობენ, უმჯობესად როგორ გაიმიჯნოს მხარეები, ოლქები და რაიონები, ხოლო სახალხო კომისართა საბჭოს მაშინდელმა თავმჯდომარემ, ბუდუ მდივანმა, საბჭოების ყრილობაზე თქვენი თანდასწრებით ომახიანად განაცხადა, საბჭოთა საქართველოს საზღვრების განმსაზღვრელ აქტებს წაუკითხავად ვაწერდი ხელსო. ჰოდა, ჩამოგვეჭრა ტერიტორია გაგრის რაიონშიც, რაჭაში მდებარე მამისონის უღელტეხილიც სამხრეთ ოსეთს მიეწერა.

ასე უსწორდებით არაკეთილსაიმედო საქართველოს. დროა მოეხსნას მას ტერიტორიული სანქციები (ღიად დარჩეს ფოცხოვის, არდაგანის, ართვინის და ა. შ. საკითხი, რაც საბჭოთა კავშირსა და თურქეთს შორის მეგობრული საერთაშორისო მოლაპარაკებებითა და შეთანხმებებით უნდა გადაწყდეს). დაუბრუნდეს საქართველოს ზაქათალა, ერიქთარის, ჯეირანისა და ყარაიაზის ველები დავით-გარეჯითურთ და ა. შ. საქართველოს ტერიტორიაში მოექცეს თუნდაც ადლერის რაიონი, რადგანაც სოჭზე, სავარაუდოა, ხელი უნდა დავიბანოთ მას შემდეგ, რაც ამ კურორტის რეკონსტრუქციაზე დაიხარჯა.

თუმცა, კომპარტიის XII ყრილობამ საზეიმოდ და კატ-

ეგორიულად განაცხადა „ნაციონალური რესპუბლიკების ყოფნისა და მათი შემდგომი განვითარების აბსოლუტური აუცილებლობის შესახებ“, სინამდვილეში, ბევრად უფრო ძალუმად და სისტემატურად წარიმართა უკუპროცესები. საბჭოთა კავშირის დაარსებისთანავე, საბჭოთა რესპუბლიკების ავტონომიური უფლებები თვიდან-თვემდე, წლიდან-წლამდე განუხრელად მცირდებოდა ცენტრის სასარგებლოდ. მთელი კანონმდებლობა, სასამართლო, სახალხო კომისარიატები ნაბიჯ-ნაბიჯ ექვემდებარებოდა რკინისებურ ცენტრალიზებას, უმკაცრეს ერთობასა და ერთფეროვნებას.

თვით განათლებაც, აქამდე, ფორმალურად, მხოლოდ ავტონომიური კი არა, არამედ დამოუკიდებელიც რომაა, ფაქტობრივად სამხედრო საქმეზე ნაკლებად ცენტრალიზებული როდია. რა გინდა რა წამოიწყოს რსფსრ-ის განათლების სახალხო კომისარიატმა, თუნდა ექსპერიმენტად, მთელ კავშირში განათლების ყველა სახალხო კომისარიატი, კარელიიდან სტალინაბადამდე, მის ამ განკარგულებას მყისვე აცხადებენ მარქსისტულ-ლენინური პედაგოგიკის ურყევ დებულებად და ყველა ქალაქის, სოფლის, დაბის, აულის, ყიშლაყის სკოლებში დაუყოვნებლივ გადადიან სწავლების ახალ მეთოდებზე.

მთელი წყობის უკიდურესი ცენტრალიზების გამო, სოციალისტური რესპუბლიკების ენობრივი ავტონომია სკოლით, თეატრით, ლიტერატურითა და ადგილობრივი (უმთავრესად სოფლად) მმართველობით შემოიფარგლება. ყველა დანარჩენი, ქვემოდან სულ ზემოთამდე, — სრულიად საკავშირო კომუნისტურ პარტიამდე, — რუსიფიცირებულია. თითქოსდა რუს ხალხს ჩამოერთვა ნაციონალური კომპარტიის ქონის უფლება, მაგრამ ყველამ უწყის, რომ ასეთი „დაჩაგვრა“ არც ისე საშიშით შეცვალეს, თუმცა არსობრივად არაფერი შეცვლილა.

ამჟამინდელი კავშირის ტერიტორიაზე მდებარე ყველა სახელმწიფო წარმონაქმნიდან, ერთადერთმა საქართველომ მიიღო ევროპის სახელმწიფოთა სრული ფაქტო-

ბრივი და იურიდიული აღიარება. თვით საბჭოთა რუსეთმაც მოგვიანებით მიიღო ევროპის სახელმწიფოთა სრული ფაქტობრივი და იურიდიული აღიარება. ეს სრულიად გასაგები და თავისთავადია, რადგანაც საქართველო მეფის რუსეთის დამარცხებისა და რევოლუციის გამარჯვების ნიადაგზე აღმოცენებული სახელმწიფო იმპროვიზაცია კი არ გახლავთ, არამედ ერი (თუმცა ნაგვემ-ნაჩეხი), ვინც ათასწლეულებში გამოატარა თავისი კულტურა, სახელმწიფოებრიობა და სულ რაღაც ასიოდ წელზე ცოტა მეტი ხნის წინათ, ხელშეკრულების საფუძველზე შევიდა რუსეთის იმპერიის მფარველობაში. და აი, სოციალიზმისა და ინტერნაციონალიზმის სახელით, ამ საქართველოს ტერიტორიული ჯიჯგვნა, მისთვის სოციალისტური რესპუბლიკის სტატუსის მიუცემლობა, მექანიკურად შეთითხნილ ამიერკავკასიის ფედერაციაში ავტონომიად ჩართვა და სახელმწიფო უფლებების მხრივ, უდმურტიისა და მორდვეთის დონეზე დაყენება მიიჩნიეს მიზანშეწონილადა და სამართლიანად.

ამიერკავკასია არც ნაციონალურად, არც პოლიტიკურად, არც ეკონომიკურად, თვით გეოგრაფიულადაც კი არც როდის ყოფილა და არც არის რაიმე ერთიანი, მთლიანი. ესაა იმ მიწების პირობითი გეოგრაფიული აღნიშვნა, რაც, თუ ჩრდილოეთიდან შევხედავთ, კავკასიის ქედს მიღმა დევს.

რუსმა მეფეებმა ეს განაპირა, სხვადასხვა „ტუზემცებით“ დასახლებული მხარე, მისი მართვისა და გარუსების გასაადვილებლად, ერთ სამეფისნაცვლოში გააერთიანეს.

საბჭოთა კავშირის პირობებში, ამიერკავკასიის მიწებისა და ხალხების ერთ მექანიკურ კონგლომერატში გაერთიანება არა მხოლოდ კომპარტიის მიერ დეკლარირებული პრინციპების, არამედ კავშირის სხვა მხარეების მიმართ ნაციონალურ საკითხში გატარებული პრაქტიკული პოლიტიკის აღმაშფოთებელი დარღვევაცაა.

რამდენიმე სიტყვით მოქალაქეობაზე: ჩვენი კანონმდებლობა ორმაგ ან ორსაფეხურიან მოქალაქეობას ითვალისწინებს. რომელიმე მოკავშირე რესპუბლიკის მოქალაქე

საბჭოთა კავშირის მოქალაქეცაა. არადა, მოკავშირე რესპუბლიკის მოქალაქეობის კვალიც არსად დარჩა. ახლა მხოლოდ საკავშირო მოქალაქეობაა. განა დასაშვებია რესპუბლიკების ასეთი გაუპიროვნებელობა; ამიტომ, უპრიანია, ჩაფიქრებულ გადემოკრატიულებასთან ერთად, საბჭოთა კონსტიტუციის გადახედვისა და დაზუსტების მხრივ, საქართველოს მდგომარეობა ზოგადად ასე დავინახოთ:

1. საქართველო თავისუფლდება გასაბჭოებისას დადებული ტერიტორიული სანქციებისაგან. მას უბრუნდება ზემოხსენებული ტერიტორიები. საქართველოს ტერიტორიული საკითხი საერთოდ უნდა განიხილებოდეს იმ თვალსაზრისით: ა) რომ საქართველო ყველაზე ღარიბია მიწით და ამ მხრივ ყველაზე ჩაგრულია სპარსეთ-თურქეთისა და რუსეთის იმპერიალიზმის მიერ; ბ) რომ სოციალური რევოლუცია მიწის საკითხს გადაჭრის, როგორც ნაციონალურ, ისევე ინტერნაციონალურ ფარგლებში, ანუ სამართლიანად გაანაწილებს მიწებს საბჭოთა რესპუბლიკებს შორის;

2. საქართველო უშუალოდ შედის საბჭოთა რესპუბლიკის კავშირში;

3. საქართველოში იქმნება განსაკუთრებული სამხედრო ოლქი, რომელიც ხელმძღვანელობს საქართველოს ნითელ არმიასა და მის ტერიტორიაზე განლაგებულ არაქართულ, რუსულ, უკრაინულ და ა. შ. სამხედრო ნაწილებსაც;

4. არსდება საქართველოს რკინიგზის განსაკუთრებული მმართველობა;

5. იქმნება საქართველოს განსაკუთრებული კავშირგაბმულობა;

6. საქართველოს, ამ ზღვისპირა რესპუბლიკისათვის, იქმნება (ისევე, როგორც უკრაინისათვის) განსაკუთრებული სანაოსნო;

7. მოკავშირე რესპუბლიკებიდან, შავი ზღვის სახელმწიფოები — რუსეთი, უკრაინა და საქართველოა. სამხედრო ერთეულთა განსაზღვრულ ნაწილს ქართული ეკიპაჟები უნდა ჰყავდეს, რაც საკავშირო შავი ზღვის ფლოტის საქართველოს ნაწილი (ფლოტილია) იქნება, ისევე,

როგორც არმიაში ნაციონალური ნაწილები;

8. უნდა მიეცეს მეტი საბიუჯეტო-ფინანსური ავტონომია;

9. ორგანიზებული უნდა იყოს სახელმწიფო ბანკის საქართველოს განყოფილება, არა საკავშირო სახელმწიფო ბანკის ფილიალად, არამედ განსაზღვრული ავტონომიური უფლებებით;

10. სახელმწიფო, ანუ მმართველობის ძირითადი ენა ქართული. ყველა უწყება ძირითადად ამ ენაზე იმართება (ისევე, როგორც რუსეთში – რუსულად)... საქართველოს, ქართველი ხალხის შენარჩუნება და ნორმალური, ე. ი. ყოველმხრივი განვითარება, შესაძლებელია მხოლოდ თავისუფლებისა და ქართული კულტურის, რუსთაველის ენის ყოველმხრივი ბუნებრივი განვითარების პირობით, ენისა, რომელზეც ითარგმნებოდა არისტოტელე[41] და ფრანგი ენციკლოპედისტები, ენისა, რომელსაც სისტემატურად კლავდნენ სპარსეთის შაჰები, თურქეთის სულთნები და, ბოლოს, რუსეთის მეფეები, მაგრამ მაინც ვერ მოკლეს და რომელიც ამჟამად საქართველოს მოქალაქეთა 82 პროცენტისთვის სალაპარაკო და ლიტერატურული ენაა. ენის ყოველმხრივი განვითარების გარეშე არ არის ეროვნული კულტურა, ე. ი. თავად ერი. ენა – ესაა შრომისა და ბრძოლის და არა მარტო თეატრალური ხელოვნების, ლირიკულ-პოეტური ოხვრების, ბელეტრისტიკისა და, გნებავთ, სკოლის ფუნქცია და იარაღი. ენა მხოლოდ მაშინ ვითარდება ნორმალურად და ყოველმხრივ, როცა სრულად გამოიყენება პოეზიასა და მძიმე მრეწველობაში, მსუბუქ მრეწველობასა და თეატრში, ჯარსა და სკოლაში, ომისა და მშვიდობის დროს, ჰაერსა და ზღვაზე, ეთერსა და მიწისქვეშეთში და ა. შ.

ენა, რომელიც არცთუ შორეულ ისტორიულ წარსულში კავკასიისა და წინა აზიის ხალხთა საერთაშორისო ენა იყო (იხ. ნ. მარი[42]), ახლაც კი, ამდენი განსაცდელის შემდგომ, ჩვენს კავშირში, რუსულთან ერთად, ერთ-ერთია ამ ორი კულტურული ენიდან, რომელიც გავრცელების მხრივ,

სცილდება თავის ეროვნულ ბაზას.“

გრ. ლორთქიფანიძე, ა. ი. დგებუაძე, კანდელაკი. ვორონეჟი, 1935 წლის 24 მარტი [ლორთქიფანიძე 2008:84-90].

თავისუფლების ილუზია და გადასახლებაში დანერილი პოლიტიკური ანდერძი

როგორც ვნახეთ, სტალინისადმი გრიგოლ ლორთქიფანიძის წერილი ძალზე თამამი და პრინციპულია. თუმცა შენიშვნებიდან, რაც არ უნდა დაუჯერებელი იყოს, როგორც ამას ისტორიკოსი ალექსანდრე ბენდიანიშვილიც აღნიშნავდა, ზოგიერთი რამ (მაგალითად, კავშირიდან რესპუბლიკებისთვის გასვლის უფლების მიცემა) გაითვალისწინეს, მაგრამ მისი დაწერისათვის ლორთქიფანიძე ჯერ ციმბირში გადაასახლეს, შემდეგ საქართველოში ჩამოიყვანეს, გათავისუფლების ილუზია მისცეს და ცოტა ხნის შემდეგ სუკის ჯურღმულებში წამებით მოკლეს. გათავისუფლების იმედი რომ ჰქონდა და დარწმუნებულიც იყო ამაში, ეს ჩანს მეუღლისადმი მოწერილი ბარათიდან: ფულს გიგზავნი, მალე ჩამოვალ და ბინა, ერთი ოთახი მაინც ვიყიდოთო. საიდან ჰქონდა ეტაპებით მავალ, ბანაკებში მცხოვრებ პატიმარს ფული? აი, როგორ მიიღო ფული: მისი და – ნარკომ ბუბნოვის[43] დავა განიხილა საკავშირო ცენტრალურმა კომიტეტმა და როგორ გგონიათ, ვინ გაამართლა?.. ლორთქიფანიძე განათლებული და პრინციპების ადამიანი იყო, არაფერს ითხოვდა ისეთს, რაც არ ეკუთვნოდა, თანაც, მისი მსჯელობა და მოთხოვნები პირდაპირ უკავშირდებოდა სოციალისტურ იდეოლოგიას, იმ თეორიულ დოგმებს, რომელსაც ბოლშევიკები აღიარებდნენ, მაგრამ მხოლოდ ქაღალდზე. ამიტომ, თუმცა თვალის ასახვევად, მაგრამ დროებით მაინც, ბოლშევიკებმა გაამართლეს ლორთქიფანიძე და კომპენსაციაც მისცეს „მორალური ზარალისათვის“. ეს თანხა გამოუგზავნა ცოლს და ბინის

შეძენის იდეაც შესთავაზა. მერე, იმავე წლის ზაფხულში კისლოვოდსკშიც დაისვენა (სტალინის ნებართვით) ცოლსა, ცოლისდა კლავდიასა და ქვისლთან – პროფესორ ნიკოლოზ ქოიავასთან[44] ერთად. ვინ იცის, იქნებ მისიანების გამხნევებასა და დახმარებას უფრო ცდილობდა და თავად შესანიშნავად უწყოდა საბოლოო განაჩენი. 1937 წლის 13 იანვარს „გამართლებული და დაჯილდოებული“ გრიგოლ ლორთქიფანიძე გამოიძახეს ვორონეჟის უშიშროების სამსახურში, დააპატიმრეს და ხუთი წლით ციმბირში გადაასახლეს. კონსპირაციულად გზიდან გამოგზავნილი წერილიდან ჩანს, რომ სამუშაოდ გრონობორის რკინიგზის მშენებლობაზე უპირებდნენ გაგზავნას, სადაც, მისი სიტყვით, „ამქვეყნიური ჯოჯოხეთი“ იყო. თვითონვე ხვდებოდა დასასრულის დასაწყისს. აკი, ჯერ კიდევ 1925 წელს, ვლადიმირის გუბერნიის ქალაქ სუზდალის სამონასტრო საპყრობილის საკანში დაწერა ანდერძი მეუღლისა და ახლობლებისადმი.

ანდერძში ეწერა: თუ ტყვეობაში გარდავიცვალე, და ოდესმე გაჩნდება საშუალება სამშობლოში ჩემი წასვენების, ნურც თბილისში დამმარხავთ, ნურც იქ, სადაც დავიბადე, არამედ ისტორიულ მესხეთშიო. იქ თავისი წინაპარი ლორთქიფანიძეები, დიდი ხნის წინ ძალით გამაჰმადიანებული ქართველები, ეგულებოდა,

ამავე ანდერძში ხსნიდა გრიგოლ ლორთქიფანიძე თავის იდეოლოგიურ მრწამსს, ამბობდა, რომ სოციალისტი და ინტერნაციონალისტია, რომ სოციალიზმი, მისი აზრით, ყველაზე უფრო სამართლიანი და სასარგებლოა ხალხისათვის. „ჭეშმარიტი სოციალიზმი და ინტერნაციონალიზმი კი არ ეწინააღმდეგება ეროვნებასა და სამშობლოს სიყვარულს, არამედ მას ანთავისუფლებს და ანვითარებს“... [ლორთქიფანიძე 2008: 96-99].

ჩვენ შეგვიძლია გავიზიაროთ ანდა უარვყოთ მისი ეს თვალსაზრისი, მთავარი ისაა, რომ ამ სიტყვების ავტორი სოციალისტიც იყო და დიდი ქართველი პატრიოტიც, რომ სხვა ზოგიერთი თანაპარტიელივით კოსმოპოლიტი არ გამხდარა და მისთვის სოციალისტობა ბორკილი არ ყო-

ფილა სამშობლოს სიყვარულის, მისთვის თავდადებული სამსახურის გზაზე. სოციალისტური იდეოლოგიის პრიმატი ეროვნულთან შედარებით მისთვის მიუღებელი იყო. მისი კონცეფციით, უპირველესად ეროვნული საკითხი უნდა გადაჭრილიყო, აღდგენილ-განახლებული ქართული სახელმწიფო კი თავად შეძლებდა სოციალურ ურთიერთობათა და ეკონომიკური პრობლემების მოწესრიგებას.

პოლიტიკურ „ანდერძში“ გრიგოლ ლორთქიფანიძე განსაკუთრებულ ადგილს უთმობდა ქართული უნივერსიტეტისა და მეცნიერების მომავალს, კულტურისა და განთლების როლს ქართველი ერის ცხოვრებაში. მასში აღნიშნულია, რომ ერის ცხოვრებაში არცთუ იშვიათად დგება მომენტი, როდესაც სახელმწიფომ, მთავრობამ და ხალხმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ კულტურასა და მეცნიერებას.

„დიდი ხნის განმავლობაში,– წერდა იგი,– საქართველოსა და ქართველ ხალხს დასჭირდება ქართული უნივერსიტეტისა და ქართული მეცნიერების ნამდვილი კულტი, მთავრობის წევრი და კანონმდებელი, სარდალი და მღვდელმთავარი, მხედარი და მოქალაქე, თანაბარის მოკრძალებით და პატივისცემით უნდა ეპყრობოდეს საქართველოს მეცნიერების ტაძარს და მის მსახურთ...

ქართული უმაღლესი სკოლის ამოცანაა ასი წლის ხარვეზი ამოავსოს, ჩვენი დაზიანებული და დაბზარული ეროვნული აგებულება სასწრაფოდ შეაკეთოს, მომაკვდავი ეროვნული სხეული საბოლოოდ გამოაბრუნოს და სამომავლო უკვდავების სული ჩაბეროს. საქართველოს უნივერსიტეტი , რა თქმა უნდა, ქართული უნდა იქნეს, მაგრამ, ამავე დროს უნდა შეიქნას აღმოსავლეთისა და დასავლეთის მიჯნაზე იმ იშვიათ და ცნობილ კულტურის კერათ, სადც ევროპისა და აზიის კულტურა და მეცნიერება ერთი მეორეს გადაეწნასკვება, სადაც აზია თავის წარსულს და აწმყოს ევროპას გააცნობს, ხოლო ევროპა აზიას მომავალ გზებს ასწავლის“...

„დივერსიული ჯგუფის“ ძიება და ბოლშევიკ ნარკომთან დისპუტში მოპოვებული გამარჯვება

საბჭოური რეჟიმისადმი შეურიგებელობასთან ერთად, გრიგოლ ლორთქიფანიძეს პრაგმატული გადაწყვეტილებების მიღებაც შეეძლო. რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციის პირველ ხანებში, თუ დაპყრობილ საქართველოს თავისუფლების რაღაც წილს მაინც მოუპოვებდა, ნატანჯ ქვეყანას შვებას მოუტანდა, ის მზად იყო ბოლშევიკებთანაც ეთანამშრომლა.

მაგალითისათვის მოვიტანთ მის დამოკიდებულებას ე. წ. ნაციონალ-უკლონისტების ბოლშევიკურ ფრთასთან. დამოუკიდებელი საქართველოს პატრიოტი მოღვაწე მათთან ერთად საქართველოს სამსახურში ჩადგომას არ გამორიცხავდა, თუკი ისინი შეძლებდნენ რუსეთის კონფედერაციაში საქართველოს დამოუკიდებლად ჩართვას. შემდეგ, როდესაც საბოლოოდ ჩამოეხსნა ნიღაბი სტალინურ რეჟიმს, გრიგოლ ლორთქიფანიძის დაპირისპირებაც რეჟიმთან უკომპრომისო გახდა.

1955 წლიდან, როდესაც რეპრესირებულთა საქმეების გადასინჯვა მიმდინარეობდა, ცნობილი გახდა, რომ 1937 წლის მარტ-აპრილში გრიგოლ ლორთქიფანიძე საქართველოში ჩამოუყვანიათ და უცდიათ მისი გამოყენება ე. წ. „დივერსიული ჯგუფის“აღმოსაჩენად. მის საქმეში ინახება ბერიას[45] ერთ-ერთი თანამშრომლის – ქობულოვის[46] დასმენა იმის თაობაზე, რომ ნოე ჟორდანია[47] ეროვნული ძალების დასაყრდენად საქართველოში მხოლოდ გრიგოლ ლორთქიფანიძეს თვლიდა. მას ბრალს დებდნენ ცნობილ სოციალ-დემოკრატ ისიდორე რამიშვილთან ერთად ორგანიზაციის შექმნაში. გრიგოლი აწამეს, რათა ეთქმევინებინათ მისი კავშირის თაობაზე ემიგრანტულ ხელისუფლებასთან. ყველაფერი ეს, რა თქმა უნდა, მხოლოდ იმიტომ იყო გამოგონილი, რომ წერტილი დაესვათ პრინციპული და ეროვნული სულით გაჟღენთილი ადამიანის სიცოცხლისათვის.

რა თქმა უნდა, ეს სიკვდილი უბრალო არ იქნებოდა, ადვილი წარმოსადგენია, თუ რა წამებით მოკლავდნენ მას ჯალათები. მაგრამ სიკვდილამდე იყო სატანური დაც-

ინვა მის მიმართ – ბოლშევიკ განათლების მინისტრთან (ნარკომთან) მისი დავა, ამ დავის განხილვა ხელისუფლების უმაღლეს დაწესებულებაში და მისი გამართლება. თავისუფლებისა და სამართლიანობის ილუზიამ იმდენად მოხიბლა სინამდვილეში სასიკვდილოდ განწირული პატიმარი, რომ ცხოვრების ახლებურად მოწყობაზეც კი დაიწყო ფიქრი. ხელისუფლებამ ორი კურდღელი დაიჭირა: ნარკომი ბუბნოვის რეპრესიასაც ყალბი, მაგრამ მისთვის საჭირო ალიბი შეუქმნა, ლორთქიფანიძეც ცრუ იმედით მოადუნა.

1937 წელს საპყრობილედან მეუღლისადმი გამოგზავნილი წერილი

5. I – 37 წელი

„ჩემო ძვირფასო მეგობარო

მოგილოცავ ახალ წელს შენ და ბავშვებს და უთვალავს გაკოცებთ სიყვარულით. შენი უკანასკნელი ღია ბარათი მივიღე. მოხარული ვარ, რომ კარგად ხართ და არც წინათ ყოფილხართ ჯანზე ცუდათ, როგორც ეს მე მეგონა, შენი წინანდელი წერილის გამო. შენგან და ბავშვებისგან მილოცვის დეპეშაც მივიღე. სამაგიერო აღარ გამომიგზავნია, რადგან ჩემი ვადის მოლოდინში ან მართლა დიდი მოლოცვა უნდა გამოგიგზავნო, ანდა რა ფასი და მნიშვნელობა აქვს ახალი წლების მოლოცვას ჩემი მხრით, თუ ეს ახლი წელიც თქვენგან დაშორებული ვიქნები. ჯერ-ჯერობით ჩემი საქმის შესახებ არაფერი ისმის, თუმცა ძალიან დიდი იმედი გვაქვს, ისეთი, როგორც არასდროს. ჯერ ერთი იმიტომ, რომ როდესმე ვადას ხომ უნდა მიეცეს მნიშვნელობა და ძალა, და გარდა ამისა, უკვე ახალ კონსტიტუციაში ვცხოვრობთ, როდესაც უფრო მეტი ძალა და სიმტკიცე აქვს კანონს, სასჯელის ვადას და სხვა. ვფიქრობ, 15 იანვრისათვის უნდა გამოირკვეს ყველაფერი. მართალია, ეხლა აქედან წამოსვლა მეტად გაძნელებულია, ოთხი

მატარებელი გააუქმეს, დარჩა მხოლოდ ერთი და ორი-სამი კვირის განმავლობაში ვერ მიემგზავრებიან მსურველები, მაგრამ ამას არა უშავს, დავძლევთ, თუ სხვა დაბრკოლება არ ქნება. ამასთან ერთად, უნდა გითხრა, რომ ერთი მეტად სასიამოვნო ამბავი მომივიდა ამ დღეებში. ჩემი და ნარკომ ბუბნოვის დავა და კონფლიქტი ცენტრალურმა კომიტეტმა ჩემ სასარგებლოდ გადასჭრა. უმთავრესი ამაში ნივთიერი მოგება კი არ არის, (თუმცა ჩვენისთანა ღარიბი ხალხისათვის უსამართლოდ დარღვეული ნივთიერი უფლების აღდგენაც საგრძნობი საქმეა), არამედ ის მოქალაქეობრივი და ზნეობრივი დაკმაყოფილება, რომელიც ცეკას ასეთმა მიუდგომელმა დადგენილებამ და ისიც თვით ცეკას წევრთან და ნარკომთან დავაში მომანიჭა, ისიც ასეთ მდგომარეობაში მყოფ, ასეთ პიროვნებას, როგორსაც მე მთვლიან. რა თქმაა, ძალზე მახარებს მოქალაქეობრივათ, რომ არსებობს და მოქმედობს ასეთი რთული სამსჯავრო.

ლუბა ჩემო, იმ იმედით, რომ მეც მალე ვიქნები შენთან, ტფილისის სახელმწიფო ბანკში ვაგზავნი მიღებულ კომპენსაციას და, საერთოდ, ჩვენ ბინის საყიდელ მარაგს 2600 მანეთს წიგნაკზე. იქნებ შევიძინოთ ერთი ოთახი ჩვენ ბინაში, ანდა საბინაო კოოპერატივში ჩავეწეროთ.

მომიკითხე სიყვარულით ნიკო, კლავა, ნიუსია, ასინეთი და კოია ოჯახობით, აგრეთვე ყველა ნაცნობი და მეგობრები.

კიდევ მრავალს გაკოცებს შენი გრიგოლი

ფული ჩემ სახელზე (წიგნაკზე) გადავაგზავნე შემნახველ სალაროში(სახელმწიფო ბანკთან), ხოლო ანდერძი შენს სახელზე დაწერეს.“

1937 წლის 2 სექტემბერს, საკუთარი დაბადების დღეს, ის თბილისის საპყრობილეში წამებით მოკლეს.

როგორც მეუღლის სახელზე მიღებულ ცნობაში წერია – „გრიგოლ ლორთქიფანიძე ბერიასა და ქობულოვთან დაკითხვის დროს გარდაიცვალა“.

„სამშობლოს მოღალატის“ რეაბილიტაცია და სიკვდილის შემდეგ დაბრუნება

1955 წელს „სამშობლოს მოღალატედ“ შერაცხული გმირული სულის ადამიანის – გრიგოლ ლორთქიფანიძის რეაბილიტაცია მოხდა.

თუ რა ტრაგიკული იყო რეპრესირებული მოღვაწის ოჯახის წევრების ცხოვრება საბჭოთა საქართველოში, კარგად აჩვენებს ავტობიოგრაფიის სახით დაწერილი ეს ტექსტი, რომელიც გრიგოლ ლორთქიფანიძის ვაჟს – თეიმურაზ ლორთქიფანიძეს ეკუთვნის:

„მე, თეიმურაზ ლორთქიფანიძეს, საკმაოდ ხანგრძლივი ცხოვრების განმავლობაში, როგორც ყველა ჩვენგანს, ბევრჯერ დამიწერია საკუთარი ბიოგრაფია, რომელიც ყოველთვის ასე იწყებოდა: „დავიბადე 1920 წლის 30 იანვარს ვანის რაიონის სოფელ ისრითში, მოსამსახურის ოჯახში“... და ასე მთავრდებოდა: „ვარ სკპ წევრი 1963 წლიდან“.

მხოლოდ ხანდაზმულობისას, 70 წლის ასაკში, მომეცა საშუალება უშიშრად დამეწერა, რომ 1920 წლის 30 იანვარს დავიბადე ცნობილი პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწის, პირველი ქართული რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის, განათლებისა და სამხედრო მინისტრის გრიგოლ სპირიდონის ძე ლორთქიფანიძის ოჯახში. სწორედ იმ მოღვაწის, ვინც არ შეეგუა წითელ ტერორს, ევროპაში მიმავალი გემიდან თვითონაც ჩამოვიდა, მეუღლე და მცირეწლოვანი შვილებიც ჩამოიყვანა, რათა გენერალ მაზნიაშვილთან ერთად განედევნა ოსმალო დამპყრობლები და საქართველოსთვის დამოუკიდებელი რესპუბლიკის სტატუსი შეენარჩუნებინა. იმ გრიგოლ ლორთქიფანიძისა, ვინც დაუცხრომლად იბრძოდა ბოლშევიკური რეჟიმის წინააღმდეგ, ვინც კომუნისტური ციხის ჯურღმულებში დაწერა ფილოსოფიურ-ესსეისტური ნაშრომები: „ფიქრები საქართველოზე“ და პოლიტიკური ანდერძი (საქართველოს განვითარების გზები). ვინც არ გატყდა, ბედს არ შეურიგდა და სამშობლოსათვის მოწამეობრივი სიკვდილი ამჯობინა.

70 წლის ასკში პირველად უშიშრად ვთქვი, რომ დედაჩე-

მი, ლიუბოვ ავრამენკო, უკრაინელი დიდგვაროვანი მრეწველის ქალიშვილი იყო, ის ქალი, ვინც ბოლომდე უერთგულა ტრაგიკული ბედის მეუღლეს, მის სამშობლოს – საქართველოს, შიშით, ტანჯვითა და ვაებით გამოზარდა სამი შვილი და მარადიულ საუფლოში ისე გადავიდა, ერთი საყვედურიც არ დასცდენია.

მთელი ჩემი ბავშვობა მამასთან შეხვედრის ჩუმ ნატვრაში გაილია. მრისხანე დრო იყო. მე და ჩემმა და-ძმამ ვიცოდით, რომ რომ მამაზე ჩურჩულით ლაპარაკიც კი საშიში იყო. დედაჩემი, ბაბუა-ბებია და უახლოესი ნათესავები წელებზე ფეხს იდგამდნენ, დღე და ღამეს ასწორებდნენ, რომ როგორმე ოჯახი ისე გამოეკვებათ, ყველგან ჩასაფრებულ ჩეკისტებს თვალში არ მოხვედროდნენ.

მამაჩემის კვალი 30-იანის შუა წლებიდან დაიკარგა და მხოლოდ ოცი წლის შემდეგ შევიტყვეთ, რომ 37-ში წამებით ამოხადეს გაუტეხელი სული.

თითქმის 30 წელი ვატარეთ სამშობლოს მოღალატის ოჯახის დამღა. როცა ახლა ეს სიტყვა მესმის, ტანში ძველებურად მზარავს.

ადრეული ბავშვობა ჩემს უმშვენიერეს სოფელ ისრითში გავატარე. 1926 წლიდან საცხოვრებლად თბილისში გადმოვედით. თუმცა, 1935-36 წლებში, უკიდურესი გაჭირვების გამო, ისევ ისრითში დაბრუნება მოგვიხდა, სადაც კოლმეურნეობის წევრად მომიხდა სიმინდის ყანებში მუშაობა. საკარმიდამო ნაკვეთში ვუვლიდი საკუთარ ვენახსაც.

1939 წელს დავამთავრე თბილისის II ვაჟთა საშუალო სკოლა და, როგორც ფრიადოსანი, იმავე წელს თბილისის კიროვის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის ელექტროტექნიკურ ფაკულტეტზე ჩავირიცხე.

მძიმე წლები იყო. იძულებული გავხდი 1941 წელს სწავლა დროებით შემეწყვიტა და თბილმაცივარკომბინატში ელექტროტექნიკოსად დამეწყო მუშაობა.

სწავლას 1943 წლიდან დავუბრუნდი, ამჯერად მექანიკის ფაკულტეტზე. ბედმა ისე ინება, რომ 1949 წლის ნოემბრიდან მუშაობა დავიწყე სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის სპეციალურ საკონსტრუქტორო ბიუროში და

დღემდე ვემსახურები ამ საქმეს. ვარ ტექნიკის მეცნიერების დოქტორი (1968 წლიდან), მრავალი გამოგონების ავტორი, სახელმწიფო ჯილდოების კავალერი.

1958 წელს ვიქორწინე როდამ საგინაშვილზე. გვყავს ორი ქალიშვილი – ნინო და ნათია.

ამქვეყნად ბევრი რამ მინახავს – ავიც და კარგიც, სიხარულიც და იმედგაცრუებაც. ასეთია საერთოდ ადამიანის ცხოვრება. მიხარია, რომ ბოლოსდაბოლოს ახდა ქართველთა მრავალი თაობის ოცნება და საქართველო ისევ თავისუფალი და დამოუკიდებელი ქვეყანაა. იქნებ ყველაფერი ისე ვერ არის, ჩვენს მამა-პაპას რომ ეოცნებებოდა, მაგრამ დრო ყველაფერს მოუვლის.

ბევრი რამის გაკეთება ვერ მოვახერხე, თუმცა, ვფიქრობ, ღვთისა და ჩემი თანამოაზრეების შეწევნით, მრავალი მაინც გაკეთებულია: გრიგოლ ლორთქიფანიძის კეთილი სახელი აღდგენილია, მისი ნაშრომების დიდი ნაწილი გამოქვეყნებულია, მისი არქივი დაბინავებულია. თუ ღმერთი ინებებს და ხელისუფლებაც დაინტერესდება, იქნებ იმ დღესაც მოვესწრო, როცა გრიგოლ ლორთქიფანიძის მშობლიურ სოფელ ისრითში, ვანის რაიონში, მისი სახლ-მუზეუმი გაიხსნება. დარწმუნებული ვარ, ეს იქნება გრიგოლ ლორთქიფანიძის სახელის უკვდავყოფაც და სიკეთისა და კეთილგონიერების ნიმუშიც მომავალი თაობებისათვის.

დიდი მადლობა ყველას – მეცნიერებს, ჟურნალისტებს, საზოგადოების წარმომადგენლებს, ჩემი ცხოვრების მძიმე წუთებში მხარში რომ ამომიდგნენ და ჩემთან დღემდე მეგობრობენ.

თეიმურაზ ლორთქიფანიძე

9.08. 2010 წელი

ოთხმოცდათორმეტი წლის თეიმურაზ ლორთქიფანიძე აქტიურად ცხოვრობს, მონაწილეობს გრიგოლ ლორთქიფანიძის საზოგადოების საქმიანობაში, რომელშიც გაერთიანებულნი არიან აკადემიკოსები, პროფესორები, საზოგადოების მრავალფეროვანი სპექტრის წარმომადგენლები. საზოგადოების ინიციატივით იმართება სამეცნიერო კონფერენციები, იწერება წიგნები საქართველოს პოლიტი-

კური ცხოვრების შესახებ, სრულდება სადისერტაციო ნაშრომები.

გრიგოლ ლორთქიფანიძეს საქართველოს წინსვლის პირობად მისი დამოუკიდებლობა მიაჩნდა და არა რომელიმე ქვეყნისადმი ვასალობა. გველეშაპთან შებმულ იონასავით, მან ბოლშევიკური ტერორის ხანაში შეჰბედა დიქტატორს კრიტიკა და საყვედური: საქართველო მოატყუეთ, დამოუკიდებლობა წაართვით, ადამიანებს თავისუფლება მოჰპარეთ და მონებად აქციეთო...

ძველი მოწამეებივით, წმინდანად შერაცხული გმირებივით შეეწირა კიდეც ამ გაბედულ მხილებას. მისი ცხოვრება, ზნეობრივი პრინციპები, სამშობლოსადმი ერთგულება გრიგოლ ლორთქიფანიძის საზოგადოებამ მთელ ერს უნდა მიაწვდინოს, მისით უნდა განმსჭვალოს და მომავლის იმედიც გადასცეს.

გრიგოლ ლორთქიფანიძის საზოგადოება

გრიგოლ ლორთქიფანიძის საზოგადოება 1998 წლის 17 ოქტომბერს დაფუძნდა. მასში სხვადასხვა პროფესიის ადამიანები გაერთიანდნენ. საზოგადოების მიზანია არა მარტო ამ გამოჩენილი მოღვაწის ინტელექტუალური მემკვიდრეობა დაიცვას და შეისწავლოს, არამედ პროპაგანდა გაუწიოს იმ იდეებს, რომელსაც ის ქადაგებდა, იზრუნოს საქართველოს მოსახლეობის პოლიტიკური კულტურის ამაღლებისა და ზნეობრივი სახის სრულყოფისათვის.

საზოგადოებამ ბევრი საინტერესო შეკრება მოაწყო, გამოიცა კრებული, სადაც გრიგოლ ლორთქიფანიძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის, პოლიტიკური აზროვნებისა და კონცეფციების შეფასება მოხდა. ზოგიერთმა წერილმა და მოგონებამ ბევრი შემატა ეპოქის შესახებ ჩვენს ცოდნას, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ისტორიის ზოგიერთი მომენტი ახლებურად დაგვანახა. მოვიტანთ კრებულიდან ერთ ამონარიდს, რომელიც 1921 წლის მარტის მოვლენების ასახვას წარმოადგენს ამ ამბების ერთ-ერთი

მთავარი მონაწილის – ბოლშევიკ სერგო ქავთარაძის მიერ.

გრიგოლ ლორთქიფანიძის საზოგადოების წევრის – ვიქტორ ლორთქიფანიძის მოგონებიდან:

„პირველად, 1961 წლის 18 მარტს, ბათუმის სახელმწიფო თეატრში, აჭარის გასაბჭოების 40 წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო სხდომაზე, წარმატებულმა საბჭოთა დიპლომატმა და სახელმწიფო მნიშვნელობის პენსიონერმა სერგო ქავთარაძემ დამსწრეებს მოუთხრო, თუ როგორ აჩუქეს მენშევიკებმა ბათუმი თურქებს, როგორ შეიქმნა 1921 წლის 17 მარტს , საღამოს 8 საათზე ბათუმის ოლქის რევოლუციური კომიტეტი და როგორ გამოცხადდა 18 მარტს დილიდან ოლქის საბჭოთა ხელისუფლების ხელში გადასვლა და როგორ განდევნეს ბათუმიდან წითელი, მე-11 არმიის 191-ე მსროლელი პოლკის და ცხენოსანთა დივიზიის ნაწილებმა ოსმალთა ჯარი.

იმავე დღეს, საღამოს, ხალიბაურის სამთავრობო რეზიდენციაში, აჭარის პარტიის საოლქო კომიტეტის ბიუროს წევრების ვიწრო წრეში გამართულ წვეულებაზე, არ ვიცი, ღვინომ აუშალა საღერღელი, თუ გახსენებები მოაწვა, სერგო ქავთარაძე იგივე ამბავს სხვაგვარად მოყვა. ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, თითქოს მე, დამსწრეთაგან ყველაზე ახალგაზრდას, სიმართლეს დღევანდელ თაობასთან მაბარებდა.

შევეცდები, რაც შეიძლება ზუსტად გავიხსენო სერგო ქავთარაძის აღსარების ყურადსაღები დეტალები.

თბილისიდან წამოსულმა მენშევიკურმა მთავრობამ თან გამოიყოლა პატიმარ ბოლშევიკთა მცირე ჯგუფი, მათ შორის იყო სერგო ქავთარაძეც.

16 მარტს, ნაშუადღევს სერგო ქავთარაძე გამოიყვანეს ციხიდან და მიიყვანეს ზღვისპირა სასტუმროში, სადაც შეკრებილი იყვნენ ნოე ჟორდანია და მისი მთავრობის წევრები.

ნოე ჟორდანიამ აცნობა ქავთარაძეს, რომ საქართველოს მთავრობის სახელით მისმა მოადგილემ და სამხედრო მინისტრმა გრიგოლ ლორთქიფანიძემ ქუთაისში დროებითი ზავი დადო ბოლშევიკებთან. ამავე, დროს, ქალაქის თურქე-

ბის მიერ ოკუპაციის თავიდან ასაცილებლად, წითელი არმიის მოსვლამდე ქალაქის შესანარჩუნებლად, მან მისცა დავალება გენერალ გიორგი მაზნიაშვილს დახმარებოდა საკუთარი სამხედრო ნაწილებით ქავთარაძეს.

სერგო ქავთარაძის გადმოცემით, მან შენობიდან გამოსვლისთანავე იგრძნო, თუ რა მძიმე პასუხისმგებლობის წინაშე აღმოჩნდა – ამ მომენტისათვის ბოლშევიკების მთავარი დასაყრდენი – ნავსადგურის მტვირთავები და რკინიგზის მუშები – პორტისა და რკინიგზის უმოქმედობის გამო, წასულ-წამოსულიყვნენ და ერთადერთი იმედი ისევ გიორგი მაზნიაშვილის დახმარება იყო. მართალია, ამდროისათვის ეროვნული გვარდია უკვე დაშლილი და დემორალიზებული იყო, ჯარისკაცები თავის ნებაზე წასულ-წამოსული, გენერალი მაინც რჩებოდა ერთადერთ პიროვნებად, რომელსაც შეეძლო ბრძოლისუნარიანი რაზმების შექმნა ყოფილი ჯარისკაცებისაგან და მოხალისეებისაგან.

როცა გენერალი იპოვეს და ჟორდანიას დანაბარები გადასცეს, მას მაგრად შეუკურთხებია ჟორდანიასთვისაც და რევკომისთვისაც, მათთვის სულ გამყიდველები უძახნია.

სერგო ქავთარაძეს რაღა დარჩენოდა, უკვე გემზე ასულ ჟორდანიასთან კაცი უფრენია – მაზნიაშვილი არ მემორჩილება და რამე იღონეთო.

ჟორდანია დამჯდარა მაზნიაშვილისათვის წერილის მისაწერად, მაგრამ იქვე მყოფ გრიგოლ ლორთქიფანიძეს უთქვამს – მე რომ გენერალს ვიცნობ, ის ბოლშევიკებს არავითარ შემთხვევაში არ დაემორჩილება და სხვა არაფერი დაგვრჩენია, თუ არა დავრჩე, დავარწმუნო და გვერდზე დავუდგეო.

თუ მართალია, რომ „ჰეროიკულად შეიძლება შეფასდეს ადამიანის ერთი ნაბიჯიც კი, თუ მასში ჩაქსოვილია ქმედება, რომელიც თავგანწირვითა და გონებით აღემატება დროსა და სიტუაციას“, გრიგოლ ლორთქიფანიძეს სხვა რომ არაფერი გაეკეთებინა, მარტო იმით ეკუთვნოდა ადგილი ეროვნული გმირების გალერეაში, რომ ასეთ დროს და ასეთ ვითარებაში საქართველოს დატოვება სამშობლოს ღალატად მიიჩნია და უკანასკნელ მომენტში ჩამოვიდა ჩვი-

ლი ბავშვით და მეუღლითურთ უკვე ღუზაანეულ „ფერენ მილიერიდან“, რომელსაც საქართველოს მთავრობა სამშვიდობოს მიჰყავდა.

ძნელი წარმოსადგენია, მაგრამ ფაქტია, რომ გრიგოლმა შეძლო გუშინდელი მოსისხლე მტრების, გენერალ მაზნიაშვილისა და ბოლშევიკ ქავთარაძის ერთი მიზნით შეკავშირება ყოფილი ჯარისკაცების, მუშების, გლეხების, ობივატელების, ინტელიგენციის წარმომადგენლების, სხვადასხვა ეროვნების, მრწამსის და მსოფლმხედველობის თანამემამულეების ოკუპანტების წინააღმდეგ გამოყვანა. მაგრამ ფაქტი ფაქტია — 20 მარტს გენერალმა გიორგი მაზნიაშვილმა მოახსენა ბათუმის რევკომს: „20 მარტის 12 საათიდან ბათუმში და მის ოლქში თურქთა არცერთი შეარაღებული ჯარისკაცი არ არის“.

მხოლოდ ამის შემდეგ, 21 მარტს, გაშლილი დროშებით და დაფდაფების გრუხუნით შემოვიდნენ ბათუმში მე-11 არმიის ნაწილები, რომელთა სარდალს მიერთვა ბათუმი ისე, რომ ერთი ტყვია არ გაუსვრია, ერთი კაცი არ დაშავებულა და, საერთოდ, თვალით არ უნახავს ასკერები.

23 მარტს აზიზიეს (ამჟამად თავისუფლების) მოედანზე პატივით დაკრძალეს ბათუმის ეპოპეის გმირები. სამგლოვიარო მიტინგზე ერთმანეთის გვერდით იდგნენ ბათუმის დაცვის ორგანიზატორები: გენერალი მაზნიაშვილი, რევკომის თავმჯდომარე ქავთარაძე და საქართველოს მთავრობის თავმჯდომარის ყოფილი მოადგილე გრიგოლ ლორთქიფანიძე.

შემდგომში სერგო ქავთარაძეს ბრწყინვალე დიპლომატიური კარიერა ელოდა, გიორგი მაზნიაშვილი და გრიგოლ ლორთქიფანიძე კი ციხეში აღმოჩნდნენ, ორივეს დახვრეტა მიუსაჯეს...“ — ასეთი იყო სერგო ქავთარაძის მიერ გახსენებული ბათუმის ბრძოლა

გრიგოლ ლორთქიფანიძის საზოგადოების მიერ მოწყობილ შეხვედრებზე მრავალი ადამიანი გამოხატავდა თავის თვალსაზრისს არა მარტო ამ დიდი მოღვაწის შესახებ, არამედ საქართველოს გუშინდელ და დღევანდელ ბედზე, მის მომავალზე, იმაზე,რომ ისტორია მარტო წარსულს არ ეკუთვნის, ის თანამედროვეობისა და მომავლის კუთვნილებაცაა.

მოგონებები, წიგნები და სტატიები, გრიგოლ ლორთქიფანიძის შესახებ

გრიგოლ ლორთქიფანიძეს მშვიდობიანი ცხოვრების დროსაც დიდი ზეგავლენის მოხდენა შეეძლო ადამიანებზე. კარგი ისტორიულ-პოლიტიკური ცოდნა, ერუდიცია და დამაჯერებელი საუბარი ეხმარებოდა მას დარბაზის ხელში ასაყვანად და მოსანუსხად. ამაში დასარწმუნებლად დიდი მწერლის ეს პატარა მოგონებაც კმარა.

დავით კლდიაშვილის მოგონება 1918 წელს გრიგოლ ლორთქიფანიძის მიერ თელავში წაკითხული ლექციის შესახებ:

„საღამო ახლოვდებოდა, ლექციის სათაური იყო: „დღევანდელი რუსეთი და მისი მომავალი". კლუბის მოზრდილი დარბაზი ხალხით გაიტენა. ამ ლექტორის მიმოსვლა რაც შეიძლება მეტ ადგილებში, ჩემის აზრით, უაღრეს საჭიროებას წარმოადგენს, რადგან სურათებით ნათლადაა გამოხატული, თუ რა არის დღეს რუსეთი და რამდენად უნიადაგოა ის წარმოდგენა, რომელიც სამწუხაროდ, ხშირად გაისმის, განსაკუთრებით სოფლად, ვითომც თუ რუსეთი მოვიდა, ჩვენი მდგომარეობა გამოკეთდებაო. ამ ილუზიას მშვენივრად აქარწყლებს ლექტორის გადმონაცემი და, ამიტომ ვიმეორებ, საჭიროა მისი გავრცელება რაც შეიძლება მეტ მიყრუებულ ადგილებში. ჟრუანტელი დაგივლით ნახატი სურათების აღწერის შემდეგ და უნებურად წამოიძახებთ: არა, არა... რუსეთო, მშვიდობით, მას არ შეუძლია არავითარი წესიერება სადმე დაამყაროს, ისევ ჩვენ ჩვენი მეცადინეობით უნდა ვუშველოთ ჩვენს თავსა..."

1902-1918 წლებში რუსეთში ნაცხოვრებმა გრიგოლ ლორთქიფანიძემ მართლაც კარგად იცოდა ბოლშევიკური რუსეთის ამბები, ფოტოებიც იქიდან ჩამოეტანა და რა დამაჯერლად საუბრობდა თემაზე, ამას დიდი მწერლის ეს მოგონებაც ცხადყოფს...

გრიგოლ ლორთქიფანიძის შესახებ წიგნები და გამოკვლევები, საჟურნალო და საგაზეთო სტატიები დაწერეს

მეცნიერებმა, ჟურნალისტებმა, სხვადასხვა დარგის სწავლულებმა. ცნობილმა ისტორიკოსმა, პროფესორმა ალექსანდრე ბენდიანიშვილმა მას მიუძღვნა გამოკვლევა, სადაც შეაფასა ამ დიდი მოღვაწის ნააზრევი და სამშობლოსთვის გაწეული სამსახური.

გრიგოლ ლორთქიფანიძის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ შეხედულებებზე სადისერტაციო ნაშრომი დაწერა გრიგოლ ზარქუამ. მანვე გამოაქვეყნა გრიგოლ ლორთქიფანიძის ნაშრომების ბიბლიოგრაფია (2002 წ.).

სხვადასხვა დროს გრიგოლ ლორთქიფანიძეზე გამოქვეყნებული ნარკვევების, სტატიებისა და წერილების ავტორები არიან: შ. ბადრიძე, შ. ნადირაშვილი, მ. ლორთქიფანიძე, უ. ბლუაშვილი, ლ. თოიძე, გ. ყორანაშვილი, დ. ჭუმბურიძე, ო. ჯანელიძე, ლ. ფრუიძე, ნ. ლეჟავა, ვ. ლორთქიფანიძე, ვ. რცხილაძე, დ. ლორთქიფანიძე, ა. სურგულაძე, პ. სურგულაძე, დ. ქარცივაძე, მ. ღამბაშიძე, ვ. შამილაძე, გ. სანიკიძე, ა. ფირცხალაიშვილი, ე. კუპატაძე, ალ. მუჯირი, ა. კაპანაძე, ზ. ბააკაშვილი, ც. სიხარულიძე, ც. ჩხარტიშვილი, პ. ფირანიშვილი, მ. შარაძე, ე. ბუჯიაშვილი, ს. ბარამიძე, მ. გოგოძე, ბ. თორელი და სხვ.

ჩამოთვლილ ავტორთა ნაწერები ცხადყოფს, თუ საზოგადოების რა დიდი ინტერესი გამოიწვია გრიგოლ ლორთქიფანიძის შრომების გამოქვეყნებამ და მისი ცხოვრების დიდხანს უცნობი დეტალების გაცნობამ.

მასზე, ალბათ, მომავალშიც ბევრი დაიწერება, რადგან ადამიანებს მუდამ ექნებათ მოთხოვნილება, სულიერ და ზნეობრივ ღირებულებათა ნაკლოვანების ჟამს, შეივსონ ცხოვრება ასეთ პიროვნებათა ნააზრევით, მათი ცხოვრების მაგალითით, დაიყენონ ისინი გვერდით და ამით ძალა მოიცენ და გული გაიმაგრონ ბოროტებასთან ბრძოლაში, სიკეთისა და სიყვარულის გადასარჩენად.

დასასრული, რომელიც დასაწყისსაც ნიშნავს

გრიგოლ ლორთქიფანიძის ცხოვრება ერთი ქართველი კაცის ბიოგრაფიაა, ძნელი და შთამბეჭდავი, ტრაგიზმითა და შეუპოვრობით აღბეჭდილი, ცოტა დაუჯერებელი და განსაცვიფრებელი, ცოტა გაუგებარი და აუხსნელიც. აბა, როგორი ლოგიკით გინდა ახსნა ის საქციელი, რაც მან ბოლშევიკურ იმპერიასთან დაპირისპირებისას ჩაიდინა. მისი პირდაპირობა, სიმართლის დაუფარავად თქმის უნარი, შიშზე მაღლა დადგომა, სიკვდილის წინაშე მდგარი ადამიანისგან დავიწყება სიკვდილისა, განა არ გვაგონებს ჩვენს დიდ მოწამე გმირებს, რომლებიც საუკუნეთა მანძილზე ემსხვრეოდნენ უცხო იპერიათა მიერ აღმართულ შურისძიების კედლებს!...

მაშინ, როდესაც სტალინური რეპრესიების მსხვერპლნი ისევ დიდი ბელადს აქებდნენ და ადიდებდნენ, ისევ მის იმედად იყვნენ, მას უკმევდნენ გუნდრუკს და დანაშაულს სხვებს აბრალებდნენ, გრიგოლ ლორთქიფანიძემ სტალინის კრიტიკული შეფასება თავად ბელადსვე შეჰბედა და თავის ბოროტებაზე დაფიქრება ურჩია. ჭკუის სწავლებას პატიმრისა და იდეური მტრისგან კი არა, ბელადი თავისი თანამებრძოლი ფუნქციონერებისაგან არ იღებდა. სასწაული იყო ეს გამბედაობა და რამდენიმეწლიანი კატორღული სიცოცხლეც კი ჩვენი გმირისა. თუმცა ეს სასწაულიც სავსებით გასაგებია და ქართული ფენომენიდან ადვილი ასახსნელიც: გმირს სხვაგვარად მოქცევა არ შეეძლო, სხვაგვარად მოქცევა არც რეჟიმის სატრაპებს ძალუძდათ, ისინი უბრალოდ თამაშობდნენ ერთი ადამიანის ბედით, მის გამძლეობას და უნარს ამოწმებდნენ. ბევრი, უფრო სწორად უმეტესობა, ვერ გაუძლებდა ამ შემოწმებას, იმას გააკეთებდა, რასაც მისგან ელოდნენ, გადარჩენისთვის ინსტიქტურად იბრძოლებდა. ბევრი ქართველი ასეც იქცეოდა. ჩვენი წინაპრებიც არ ყოფილან უკლებლივ გმირები. თავგანწირულნი და მოწამენი ერთეულები იყვნენ, მაგრამ ისეთი დიდი ენერგია ჰქონდათ, რომ არა მარტო თანამედროვეებს ჰყოფნიდათ სამაგალითოდ და ენერგიის მისაცემად, არამედ შთამომავლობასაც. როდესაც არ უნდა ეცხოვრა, გრიგოლ ლორთქი-

ფანიძისნაირი ადამიანი სულ ბრძოლის ველზე იქნებოდა. ასეთები თან აშენებდნენ, თან ხმალს იქნევდნენ. მათ შეუმცდარად ესმოდათ ქვეყნის სატკივარი, საქართველო მათთვის ლაპარაკობდა და ისინიც უსიტყვოდ იგებდნენ მის ჭირსა თუ ლხინს, ტკივილსა თუ სიხარულს.

გრიგოლ ლორთქიფანიძის ნაწერები, მისი ნააზრევი, იმდენად მართალია და თანამედროვე, აქტუალობას არასდროს დაკარგავს, ძალა და ზემოქმედების უნარი არასდროს მოაკლდება. მისი ბევრი შეხედულება ისტორიის მსვლელობამ საცნაური გახადა.

აღსრულდა გრიგოლ ლორთქიფანიძის წინასწარხედვა, რომ საბჭოთა იმპერიას საბოლოოდ კრიზისის ხანა დაუდგებოდა და გაქრებოდა.

1991 წლის 9 აპრილს აღსდგა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა. საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფო სამართალმემკვიდრეა პირველი რესპუბლიკის, რომლის თავდადებული მუშაკი, სამხედრო და განათლების მინისტრი გრიგოლ ლორთქიფანიძე იყო. რაც შეეხება მეორე, მარიონეტულ საბჭოთა რესპუბლიკას, ქართველი ხალხისთვის ეს პერიოდი მძიმე იყო და ბევრისთვის საბედისწეროც. მასობრივი რეპრესიებითა და ეროვნული ფასეულობების დევნით, ტოტალიტარული სისტემის საშინელი გამოვლინებებით გამორჩეული რეჟიმის ერთ-ერთი მსხვერპლი, მეოცე საუკუნის ქართველი ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენელი, სამშობლოს ინტერესებისათვის უკომპრომისო მებრძოლი, მოაზროვნე და ზნეობრივი გმირი – გრიგოლ ლორთქიფანიძეც იყო. მისი მოწამეობრივი სიცოცხლე და ტრაგიკული სიკვდილი ვერ იქცა მისი ყოფის დასასრულად; ეს დასასრულია, რომელიც დასაწყისსაც ნიშნავს...

1. აკაკი წერეთელი, უცნობი პუბლიცისტიკა, თბილისი, 2010;

2. ალექსანდრე ბენდიანიშვილი, გრიგოლ ლორთქიფანიძის „ფიქრები საქართველოზე“ და ბრძოლა საბჭოური რეჟიმის წინააღმდეგ, კრებულში – „გრიგოლ ლორთქიფანიძე – მოღვაწე და მამულიშვილი“; თბილისი, 2007;

3. გრიგოლ ზარქუა, მართლმადიდებლური ეკლესიის საქმიანობა საქართველოში და რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის საკითხები გრიგოლ ლორთქიფანიძის პოლიტიკურ შეხედულებებში, კრებულში – „გრიგოლ ლორთქიფანიძე – მოღვაწე და მამულიშვილი“;თბილისი, 2007;

4. გრიგოლ ლორთქიფანიძე, „ფიქრები საქართველოზე“; თბილისი, 1995;

5. საკვირველნი ყოფილან გზანი იდუმალნი ოქტომბრის რევოლუციის ინტერნაციონალიზმისა, გრიგოლ ლორთქიფანიძის წერილი მარიამ ორახელაშვილისადმი, კრებულში–„გრიგოლ ლორთქიფანიძე–მოღვაწე და მამულიშვილი“;თბილისი 2007;

6. დოდო ჭუმბურიძე, სიკეთისა და სიყვარულის გადასარჩენად, კრებულში–„გრიგოლ ლორთქიფანიძე–მოღვაწე და მამულიშვილი“;თბილისი, 2007;

7. ოთარ ჯანელიძე, მცირე სიტყვა გრიგოლ ლორთქიფანიძეზე, კრებულში–„გრიგოლ ლორთქიფანიძე–მოღვაწე და მამულიშვილი“;თბილისი, 2007;

8. გრიგოლ ლორთქიფანიძე, დეპეშა სტალინს, კრებულში–„გრიგოლ ლორთქიფანიძე–მოღვაწე და მამულიშვილი“; თბილისი, 2007;

9. გრიგოლ ლორთქიფანიძე, ა. დგებუაძე, კანდელაკი, წერილი სტალინს, კრებულში – „გრიგოლ ლორთქიფანიძე – მოღვაწე და მამულიშვილი“, თბილისი, 2007;

10. გრიგოლ ლორთქიფანიძე, „თუ ვინიცობაა რუსეთის ტყვეობაში გარდავიცვალე“, კრებულში – „გრიგოლ ლორთქიფანიძე–მოღვაწე და მამულიშვილი“, თბილისი, 2007;

11. ბრძოლა ბათუმისათვის 1921 წლის 18-20 მარტი,

თბილისი, 2011;

12. ალექსანდრე ბენდიანიშვილი, გრიგოლ ლორთქიფანიძს „ფიქრები საქართველოზე და ბრძოლა საბჭოურ-კომუნისტური რეჟიმის წინააღმდეგ“, თბილისი, 2007;

13. ოთარ ჯანელიძე, უკრაინის ქართველი სტუდენტობა სამი რევოლუციის პერიოდში, 1985 წელი, საკანდიდატო დისერტაცია, გვ. 81, ხელნაწერი;

14. ჟურნალი „კავკასიონი“, XX, პარიზი, 1981 წელი, გვ.13-14;

15. გაზეთი „ერთობა“, 1922 წელი, მარტი, №2;

16. შოთა ვადაჭკორია, საქართველოს პოლიტიკური ისტორიის საკითხები, (XX საუკუნე), წიგნი II, თბლისი, 2006, გვ.474;

17. ვ. ი. ლენინი, თხზ. ტ.45, თბილისი, 1972, გვ. 313;

18. გაზეთი „კომუნისტი“ 1921 წელი, 22 მარტი.

Summary

117 years after Russians annexed Georgia in May, 26, 1918 Georgian people restored lost independence. The Democratic Republic of Georgia was founded. The minister of education and military affairs was Grigol Lortkipanidze.

Grigol Lortkipanidze was Social-Democrat, outstanding patriot, devoted to Georgian national interests, who can bravely oppose even dangerous satraps of Bolshevism for defending motherland. If the interests of the country were humiliated, he, even putting his life in danger, was defending it obstinately. In the times of common repressions and persecution of the national values his opposition against totalitarian regime and selflessness was equal to heroism. He was criticizing Soviet Union's national policy, was demanding restoration of the sovereign rights of the Georgian nation, indefatigably was fighting for the independence of Georgia, was rebuking dictator of the regime-Stalin and was appealing for improving mistakes that was unimaginable boldness. Because of this national devotion, courage, obstinacy his personality was outstanding not only among the public figures of the democratic Georgia, but among those who were active during the whole 20th century. He became epochal hero. Grigol Lortkipanidze did not follow Georgian emigration abroad. He stayed in his motherland and continued fighting together with other patriots against Soviet occupation regime. Because of this he was punished and Bolsheviks arrested him.

The years of arrest were extremely difficult not only because the lot of Grigol Lortkipanidze was tremendously difficult because of conditions (penal servitude prisons in Metekhi, Kursk, Voronezh, Yaroslavl, monastery prison and special camp in Vladimir), but also because the prisoner was not obedient to his destiny. He was writing letters of protest, publicistic works where mercilessly criticizing the soviet regime. The totalitarian Soviet system was unconditionally annihilated people with protestant spirit like him. But in this case they strangely prolonged life to our hero. Either Stalin himself mercyed on him or returning him back to concentration camp. First he was brought back in the 20's and

asked what he was thinking about Georgia and the buildings, recreation processes taking place in the country. When they heard his critical evaluation, Bolsheviks returned him back to a camp, thus preaching him a lesson.

Grigol Lortkipanidze criticized the educational policy of Russia and the public commissar of education Bubnov. The subject was discussed in the Central Committee and the prisoner Lortkipanidze was justified. They gave him financial compensation and the illusion of freedom. In 1936 with the personal permission of Stalin he even was allowed to have a medical treatment in Kislovodsk together with family. In 1937 he was brought in Tbilisi again for revealing "sabotage group". As it seems Bolshevik leaders cherished hope till the end that one day the person with such a great knowledge and experience might become loyal to them, their adherent. However, they were not able to use him and finally shot him in the Dungeons of Cheka (ЧК - chrezvychaynaya komissiya, Extraordinary Commission).

Grigol Lortkipanidze sticked in the ground his works written by him in the camp of severe regime and thus saved them. After this he secretly sent them to Georgia. Georgian society became acquainted to them lately. After this the personal and social life of the author became a subject of Georgian society's interest. It became obvious that he had carried on a lot of national and patriotic work. It appeared that Achara and Batumi were freed in 1921 by his direct request and participation. He managed to see unmistakably the socio-economic, cultural-educational, territorial problems of Georgia and for maintaining the national spirit gave us in each direction extremely right and useful recommendations.

The book is dedicated to the study of the life and thoughts of this interesting and honor.

Dodo Chumburidze

Doctor of Historical Scientist, Professor, main researcher of the Modern and Contemporary History of the Javakhishvili Institute of History and Ethnology of Javakhishvili Tbilisi State University.

1. არჩილ ჯორჯაძე – (1872-1913), პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე, ფილოსოფოსი, პუბლიცისტი, სოციალისტ-ფედერალისტური პარტიის დამაარსებელი და მისი ერთ-ერთი ლიდერი; 1892 წელს დაამთავრა თბილისის I გიმნაზია, სწავლობდა რუსეთის, ინგლისის, საფრანგეთისა და შვეიცარიის უმაღლეს სასწავლებლებში, 1900 წელს დაბრუნდა საქართველოში; მოღვაწეობდა გაზეთ „ცნობის ფურცელში“, იღვწოდა ეროვნული პარტიის ჩამოსაყალიბებლად; 1902 წელს კვლავ გაემგზავრა საზღვარგარეთ; 1903 წელს პარიზში გიორგი დეკანოზიშვილთან ერთად გამოსცა ეროვნული მიმართულების, შემდეგში სოციალისტ-ფედერალისტური პარტიის ორგანო – გაზეთი „საქართველო“. გაზეთი ქართულ და ფრანგულ ენებზე გამოდიოდა. 1904 წელს ა. ჯორჯაძე მონაწილეობდა ჟენევის ინტერპარტიული კონფერენციის მუშაობაში, მისი თაოსნობით ოფიციალურად გაფორმდა საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტური პარტია; მონაწილეობდა ჟენევის კონფერენციაში, ითხოვდა საქართველოს ავტონომიას რუსეთის ფედერაციაში. 1905 წელს დაბრუნდა საქართველოში, ბეჭდავდა სტატიებს სოციალისტ-ფედერალისტურ გაზეთებში–„ამირანი“ და „ისარი“; შექმნა „საერთო ნიადაგის თეორია“, რომელიც ერის ერთიანობისაკენ იყო მიმართული; გარდაიცვალა 1913 წელს ბათუმში; დაკრძალულია თბილისში, დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.

2. ქაქუცა ჩოლოყაშვილი – (1888-1930); საქართველოს ეროვნული გმირი, ცნობილი მხედართმთავარი, 1924 ნლის აჯანყების ერთ-ერთი ხელმძღვანელი; დაიბადა სოფელ მატანში, დაამთავრა თბილისის სათავადაზნაურო გიმნაზია, მსახურობდა რუსეთის არმიაში, I მსოფლიო ომის დროს დიდი წარმატებები მოიპოვა საბრძოლო ოპერაციებში: სარიყამიშის ბრძოლაში თავისი ჯარისკაცებით შეძლო უკან დაებრუნებინა სტრატეგიული პუნქტი – „არწივის ბუდე“, რომელიც ოსმალებს ეკავათ. 1918 წელს დაბრუნდა დამოუკიდებელ საქართველოში, იბრძოდა მისი ტერიტორიული მთლიანობისათვის წარმოებულ ომებში. 1921 წლის თებერვალში რუსეთის მიერ

საქართველოს ოკუპაციის შემდეგ მცირე ხნით მსახურობდა საბჭოთა ცხენოსან არმიაში, მაგრამ მალე, რუსულმა საბჭოურმა პოლიტიკამ აიძულა, თანამოაზრეებთან ერთად, პარტიზანულ ბრძოლას ჩადგომოდა სათავეში. მისი მეთაურობით მიმდინარეობდა ანტირუსული პარტიზანული ბრძოლები 1922-1924 წლებში. 1924 წლის აჯანყების დამარცხების შემდეგ წავიდა ემიგრაციაში. მძიმე ცხოვრებით დაავადებული გარდაიცვალა 1930 წელს. დაკრძალეს ჯერ სენტ-უანის სასაფლაოზე, შემდეგ ლევილში.

ქაქუცა ჩოლოყაშვილის ნეშტი 2005 წელს საქართველოში ჩამოასვენეს და მთაწმინდის სავანეში, სახელოვან წინაპართა გვერდით მიუჩინეს ბინა.

3. **ვასილ პეტრიაშვილი – (1845-1908),** ცნობილი ქიმიკოსი, თავის დროისთვის სახელგანთქმული მეცნიერი; დაიბადა თბილისის გუბერნიის სოფ. წალასყურში, სასულიერო პირის ოჯახში. დაამთავრა თბილისის სასულიერო სემინარია და სწავლა ოდესის უნივერსიტეტში გააგრძელა. 1870 წელს უნივერსიტეტი წამატებით დაასრულა და საზღვარგარეთ, ბონში წავიდა სასწავლებლად და სამუშაოდ ცნობილი მეცნიერის – კეკულეს ლაბორატორიაში. იქვე დაიცვა სამაგისტრო ხარისხი. 1875 წელს აირჩიეს ოდესის უნივერსიტეტის ტექნიკური ქიმიის კათედრის დოცენტად. 1877 წელს დაიცვა სადოქტორო დისერტაცია. უამრავი ნაშრომი შექმნა მეღვინეობასა და მევენახეობაზე. მერძევეობაზე, მესიმინდეობასა და სხვა სასოფლო-სამეურნეო დარგებში ქიმიის მიღწევების გამოყენებაზე. მის მეცნიერულ ნაშრომებს უდიდეს შეფასებას აძლევდნენ უცხოელი სწავლულები. ცოლად ჰყავდა ეკატერინე ყარამანის ასული თავდგირიძე, აკაკის დისშვილიშვილი, რის გამოც აკაკი „ჩვენს სიძეს“ ეძახდა. პოეტი მას ქართველ ლომონოსოვს უწოდებდა. უშვილო ცოლ-ქმარი ეწეოდნენ ქველმოქმედებას, ეხმარებოდნენ ოდესაში მყოფ ქართველ ხელმოკლე სტუდენტებს, განსაკუთრებით რუსეთის I რევოლუციის წლებში, როდესაც პეტრიაშვილი უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობას ასრულებდა. შავრაზმულ, „ტუზემცებისადმი“ მტრულად განწყობილ რუსეთში ქათველი მეცნიერის ამგვარი გამორჩევა იმ დიდ ღირსებასა და სამეცნიერო

ავტორიტეტზე მიუთითებდა, რაც მან რუსეთის სამეცნიერო წრეებში მოიპოვა. ვასილ პეტრიაშვილი 1908 წელს გარდაიცვალა, კარლსბადში დასასვენებლად წასული, დაკრძალეს ოდესაში; 1958 წელს მისი ნეშტი თბილისში გადმოასვენეს. დაკრძალულია ვაკის სასაფლაოზე.

4. პეტრე მელიქიშვილი – პეტრე გიორგის ძე მელიქიშვილი (1850-1927), ქიმიკოსი, თბილისის უნივერსიტეტის პირველი რექტორი; 1868 წელს დაამთავრა თბილისის I ვაჟთა გიმნაზია, 1872 წელს კი – ნოვოროსიის (ოდესის) უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის საბუნებისმეტყველო განყოფილება. 1872 წელს გაემგზავრა საზღვარგარეთ, სადაც გაეცნო ლ. მაიერისა და ი. ვისლიცენუსის ლაბორატორიებს. 1876 წელს მუშაობა დაიწყო ნოვოროსიის უნივერსიტეტის ქიმიის ლაბორატორიაში; 1881 წელს დაიცვა დისერტაცია ქიმიის მაგისტრის ხარისხის მოსაპოვებლად; 1889 წელს აირჩიეს უნივერსიტეტის აგრონომიული ქიმიის კათედრის დოცენტად; 1918 წლის იანვარში, მოიწვიეს ახლადდაარსებული თბილისის უნივერსიტეტის რექტორის თანამდებობაზე. ამავე წლის ბოლოს რექტორი ივანე ჯავახიშვილი გახდა, მელიქიშვილმა კი, თავისი სურვილით, უნივერსიტეტის ორგანული ქიმიის კათედრის გამგის თანამდებობა დაიკავა.

5. დარეჯანი – დარეჯან ლორთქიფანიძე, გრიგოლ ლორთქიფანიძის უფროსი ქალიშვილი, დაიბადა ურაევოში, 1917 წელს; იყო პედიატრი, გარდაიცვალა 2006 წელს;

6. ნოდარი – ნოდარ ლორთქიფანიძე, გრიგოლ ლორთქიფანიძის უმცროსი ვაჟი, დაიბადა 1928 წელს, ინჟინერი, გარდაიცვალა 2003 წელს

7. მიტროპოლიტი დოსითეოზი – ქუთათელი მიტროპოლიტი; რუსული ხელისუფლების მიერ ქართულ ეკლესიაში გატარებული რეფორმის გამო, 1819-1820 წლებში დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილი აჯანყდა. სინამდვილეში ეს იყო არა მარტო რუსეთის მიერ გატარებული ანტიქართული საეკლესიო პოლიტიკის, არამედ მთლიანად იმპერიის დამპყრობლურ-კოლონიური პოლიტიკის წინააღმდეგ მიმართული აჯანყება, რომელიც მიზნად ისახავდა ერის კოლონიური უღლისაგან განთავისუფლებასა და დამოუკიდე-

ბლობის აღდგენას. რუსეთის სამხედრო რეჟიმმა აჯანყების ორგანიზატორად ჩათვალა ქუთათელი და გენათელი მიტროპოლიტები – დოსითეოზი და ექვთიმე, დააპატიმრა ისინი და ტომრებში ჩასმული რუსეთის გზას გაუყენა. ქუთათელი მიტროპოლიტი დოსითეოზი გზაში გარდაიცვალა და ანანურის ეკლესიაში დაასაფლავეს, გენათელი ექვთიმე კი შორეული სვირის მონასტერში წაიყვანეს, სადაც 1822 წლის 21 მარტს აღესრულა. აჯანყება რუსმა გენერალმა ველიამინოვმა მთელი სისასტიკით ჩაახშო.

8. გაენათელი ექვთიმე – (იხ. ზემოთ: მიტროპოლიტი დოსითეოზი)

9. კათალიკოსი ამბროსი – (1861-1927), სასულიერო და საზოგადო მოღვაწე, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი და მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი 1921-1927 წლებში, ერისკაცობაში ბესარიონ ზოსიმეს ძე ხელაია, დაიბადა მარტვილში; 1885 წელს დაამთავრა თბილისის სასულიერო სემინარია, 1887-1896 წლებში იყო მღვდელი სოჭში, შემდეგ სოხუმში, ახალი ათონისა და ლიხნის საეკლესიო-სამრევლო სკოლების ზედამხედველი და ქართული ენის მასწავლებელი; 1897 წელს შევიდა ყაზანის სასულიერო აკადემიაში, 1900 წელს აღიკვეცა ბერად; 1901 წელს დაასრულა აკადემია. ამავე წელს დანიშნა ჭელიშის მონასტრის არქიმანდრიტად; 1904 წელს გადმოიყვანეს თბილისში სინოდური კანტორის წევრად და ფერისცვალების მონასტრის წინამძღვრად, იბრძოდა ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისათვის, რისთვისაც დააპატიმრეს 1905 წელს და რუსეთში გადაასახლეს. 1908 წელს ბრალდება წაუყენეს ეგზარქოს ნიკონის მკვლელეობაში მონაწილეობისათვის, 1910 წელს გაამართლეს, მაგრამ სამშობლოში დაბრუნებაზე უარი უთხრეს. საქართველოში მხოლოდ 1917 წელს დაბრუნდა. იყო ჯერ ჭყონდიდის, შემდეგ აფხაზეთისა და სოხუმის მიტროპოლიტი, 1921 წელს გახდა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი და მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი; მან აღმოაჩინა „ქართლის ცხოვრების“ ჭელიშური რედაქცია; 1922 წელს მიმართა გენუის კონფერენციას საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის მოთხოვნით, ამის გამო დააპატიმრეს და ორი წელი

მეტეხის ციხეში გაატარა. ცნობილია ციხის ზედამხედველებისადმი ნათქვამი მისი სიტყვები: „ჩემი სული ეკუთვნის ღმერთს, გული – სამშობლოს, გვამი კი თქვენთვის დამითმია!“ პატიმრობისას წამებით დაავადმყოფებული 1927 წელს გარდაიცვალა, დაკრძალულია სიონის ტაძარში; ქართული მართლმადიდებლური სამოციქულო ეკლესიის მიერ ამბროსი ხელაია წმინდანადაა შერაცხული.

10. გრენი – ალექსი ნიკოლოზის ძე გრენი – პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლეთის ენების ფაკულტეტის მეცნიერების კანდიდატი; რუსეთის განათლების მინისტრს კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველმა კირილ იანოვსკიმ თხოვა საქართველოში მისი გამოგზავნა მეგრული ანბანის შესადგენად. ის ქართულ ენას სწავლობდა აკადემიკოს რადლოვის მეთაურობით. აკადემიკოსის ინსტრუქციით აღჭურვილი გრენი 1886 წლის 29 აპრილს საქართველოში გამოგზავნეს. გრენმა სასწრაფოდ, 6 თვეში შეადგინა მეგრული ანბანი. მთელმა ქართულმა ინტელიგენციამ, სამეგრელოს მოსახლეობამ, თვით მეგრული ანბანის მომხრე აშორდიამაც კი წინააღმდეგობა გაუწია გრენს. „აქ სხდომებს მართავს ნამდვილი რევოლუციური–„ქ. შ. წ. კითხვის გამავრცელებელი კომიტეტი. მის წევრთაგან თავადი აკაკი წერეთელი მუდამ სამეგრელოში დაეხეტება საპროპაგანდოთ. აქ ქართული გავლენის გამტარებელია მაზრის უფროსი ჯაყელი, სასწავლებლის ზედამხედველი ბაქრაძე, რომელიც, სხვათა შორის, თავალ-ყურს მადევნებს იმდენად, რომ მისი მსახურიც კი დამდევს კვალდაკვალ, დაბოლოს, ყველა მოსამსახურე ქართველი, რომელთა რიცხვი აქ მრავალია...“–აი, რას წერდა გრენი სპეციალურ ორგანოებს...

11. ვალიკო ჯუღელი – ჯუღელი ვალერიან ანთიმოზის ძე, სოციალ-დემოკრატი, ეროვნული გვარდიის სარდალი, საქართველოს I დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების დეპუტატი; 1917 წლის ოქტომბრის გადატრიალების შემდეგ რუსეთის ბოლშევიკურმა ხელისუფლებამ კავკასიის ფრონტზე მებრძოლ რუსულ არმიას დაშლა და შინ დაბრუნება უბრძანა. ამიერკავკასიის მთავრობის სხვა ქართველ წევრებთან ერთად მან ყველაფერი გააკეთა, რათა ამ გაბოლშევიკებულ არმიას

საქართველო არ დაერბია და მშვიდობიანად, უკონფლიქტოდ გასცლოდა ამიერკავკასიას. ეროვნულმა გვარდიამ მისი სარდლობით აიღო არსენალი და დაეპატრონა რუსულ იარაღის საწყობს თბილისში. ვალიკო ჯუღელმა და ეროვნულმა გვარდიამ მონაწილეობა მიიღო თითქმის ყველა სამხედრო ოპერაციაში საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დასაცავად 1918-1921 წლებში. გვარდია შედგენილი იყო პარტიული ნიშნით (მასში მხოლოდ სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრები ერთიანდებოდნენ), რაც ხშირად არ ითვალისწინებდა სამხედრო პროფესიონალიზმს. ამასთან, ჯუღელსა და მის გვარდიას ზოგჯერ ბრალს დებდნენ ძალაუფლების გადამეტებასა და თვითნებურ მოქმედებებში, თუმცა ყველა თვლიდა, რომ ის პატრიოტი ადამიანი იყო და ქვეყნის დამოუკიდებლობის შესანარჩუნებლად იბრძოდა. 1921 წელს, საბჭოთა რუსეთის მიერ დამოუკიდებელი საქართველოს ანექსიისა და ოკუპაციის შემდეგ მან დატოვა სამშობლო და ემიგრაციაში წავიდა, თუმცა მალევე დაბრუნდა. 1924 წლის აჯანყებაში მონაწილეობისათვის, პარტიულ თანამებრძოლებთან – ბენია ჩხიკვიშვილსა და ნოე ხომერიკთან ერთად ჩამოვიდა თბილისში, მაგრამ ჩეკამ დააპატიმრა. ის აჯანყების სხვა მონაწილეებთან ერთად დახვრიტეს.

12. ევგენი გეგეჭკორი – დაიბადა 1880 წელს, დაასრულა ქუთაისის სათავადაზნაურო გიმნაზია, სწავლა განაგრძო მოსკოვის უნივერსიტეტში, რომლის სრული კურსი 1906 წელს დაამთავრა. უნივერსიტეტში სწავლის დროს აქტიურად მონაწილეობდა სტუდენტურ მოძრაობაში. 1903 წლიდან იყო რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის (მენშევიკების) წევრი; ევგენი გეგეჭკორი არჩეული იყო ქუთაისის გუბერნიიდან მესამე მოწვევის სახელმწიფო დუმის დეპუტატად. 1917 წლის თებერვლის რევოლუციის პერიოდში იგი დაინიშნა ქუთაისის გუბერნიის დროებითი მთავრობის კომისრად. იყო ამიერკავკასიის მენშევიკ-ესერთა I მოწვევის ჯარისკაცთა საბჭოს თავმჯდომარე. 1917 წლის ბოლოს გახდა ამიერკავკასიის სეიმის თავმჯდომარე, აქტიურად იბრძოდა ბოლშევიკების წინააღმდეგ. 1918 წლის 2 ივნისს ევგენი გეგეჭკორი დამოუკიდებელი საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრად დაინიშნა,

ხოლო 1919 წლის 12 მარტის დამფუძნებელი კრების გადაწყვეტილებით კვლავ აირჩიეს საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტზე, 1921 წლის დასაწყისში კი იუსტიციის მინისტრის თანამდებობაც შეუთავსდა. 1921 წლის მოვლენების შემდეგ, საქართველოს მთავრობასთან ერთად გაემგზავრა ემიგრაციაში, პარიზში. გარდაიცვალა 1954 წელს.

13. გიორგი მაზნიაშვილი (1871-1937) – ცნობილი გენერალი, დაიბადა კასპის რაიონის სოფელ სასირეთში, სამხედრო განათლების მიღების შემდეგ მსახურობდა რუსულ არმიაში, მონაწილეობდა რუსეთ-იაპონიის 1904-1905 წლების ომში, სადაც დაიჭრა. პეტერბურგის სამხედრო ჰოსპიტალში მას მოწყალების დებად მოსამსახურე იმპერატორის ქალიშვილები უვლიდნენ. იგი თვით იმპერატორმა ნიკოლოზ II-მაც ინახულა, გადასცა წმინდა გიორგის ჯვარი და სასახლეში მიიწვია. მონაწილეობდა მსოფლიო ომშიც, დაიჭრა პოლონეთის ფრონტზე. 1917 წელს დაბრუნდა საქართველოში, შექმნა ორი ქართული დივიზია; მაზნიაშვილმა საქართველოს თავიდან ააცილა ბოლშევიკური საფრთხე – ჯავშნიანი მატარებლითა და ქართველ მუსლიმთა კავალერიის პოლკით დაუპირისპირდა ბოლშევიკ-ჯარისკაცებს... 1918 წელს გურიასა და აჭარაში შემოსული ოსმალოები დაამარცხა, ამავე წლის ივნისში დაინიშნა აფხაზეთის გენერალ-გუბერნატორად და საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების უმაღლეს მთავარსარდლად. მისი მეთაურობით ქართულმა ჯარმა, ეროვნულმა გვარდიამ და კავალერიამ ჩაახშო ბოლშევიკური და თეთრგვარდიელი ძალების შემოტევა აფხაზეთში, გაანთავისუფლა გაგრა, ადლერი, სოჭი და ტუაფსე; იბრძოდა სომხეთ-საქართველოს ომში, 1919 წელს იყო ახალციხე-ახალქალაქის გენერალ-გუბერნატორი; 1921 წლის თებერვალში ებრძოდა ოკუპანტ რუსი ბოლშევიკების არმიას, 1921 წლის მარტში მან აჭარა გაანთავისუფლა თურქი ასკერებისაგან; 1923 წელს დააპატიმრეს, მალე გაანთავისუფლეს და გაასახლეს ირანში. იქიდან გაიპარა საფრანგეთში, მაგრამ დიდხანს ვერ გასძლო სამშობლოს გარეშე, დაბრუნდა საქართველოში და მშობლიურ სოფელში მეურნეობას მიჰყო ხელი; 1937 წელს დააპატიმრეს ვაჟთან – ივანესთან ერთად და გაუსამართლებლად დახვრიტეს.

14. ვარდენ წულუკიძე – (1865-1923) წიგნიდან – „სამშობლოსათვის თავდადებულ გმირთა ხსოვნას“, სტამბოლი, 1923 წელი. „ხიმშიაშვილის შემდეგ ჯალათებს მიმართავს გაჭაღარავებული, რაინდული გარეგნობით და სულით, გენერალი ვარდენ წულუკიძე: „სიკვდილით ვერ შეგვაშინებთ. ჩვენი სიკვდილი საქართველოს განთავისუფლების თავდებია. იგი დაასალკდევებს ერის სიმტკიცეს, ერთი ათასად გაამრავლებს მებრძოლთ.“ თვით პანკრატოვზე, ამ, მთელ რუსეთში ცნობილ ჯალათზეც კი, ახდენს შთაბეჭდილებას ასეთი გმირული თავდაჭერა და სრული სიმშვიდე სიკვდილის წინ. ის მიმართავს წულუკიძეს: „თქვენ მართლაც გმირულად კვდებით, გინდათ გადავცე რამე თქვენიანებს?“ წულუკიძე: „ გადაეცით, რომ ჩვენ დავიხოცეთ, როგორც ქართველ პატრიოტებს შეჰფერის“...

15. ძმები: პეტრე, ვლადიმერ და დავით ქარუმიძეები – ქართული არმიის პოლკოვნიკები, იბრძოდნენ დამოუკიდებელი საქართველოს არმიის შემადგენლობაში, 1921 წლის თებერვლის ომში, დიდი როლი ითამაშეს თურქი ასკერებისაგან ბათუმის განთავისუფლებაში;

16. ჟლობა – დიმიტრი პეტრეს ძე ჟლობა (1887-1938) ეროვნებით უკრაინელი, დაიბადა კიევში, მუშის ოჯახში; ყმანვილობიდანვე ჩაება რევოლუციურ მოძრაობაში. იყო ბოლშევიკი, მრავალჯერ დააპატიმრეს. 1917 წელს დაამთავრა მოსკოვის ავიასკოლა. მონაწილეობდა თებერვლის რევოლუციასა და ოქტომბრის გადატრიალებაში, რუსეთის სამოქალაქო ომში. იყო ცხენოსანი დივიზიის მეთაური, რომელიც შემოჰყვა XI წითელ არმიას საქართველოში, ხელმძღვანელობდა მე-18 ცხენოსან დივიზიას. მონაწილეობა მიიღო დამოუკიდებელი საქართველოს წინააღმდეგ ომში 1921 წლის თებერვალში, თუმცა, რუსული წაროები მას მიაწერენ ბათუმის განთავისუფლებას თურქებისაგან, სინამდვილეში მას არ უბრძოლია: როდესაც გოდერძის უღელტეხილის გავლით ის ბათუმში ჩავიდა, ქალაქი უკვე განთავისუფლებული იყო გენერალ გიორგი მაზნიაშვილისა და ქართული ჯარის ნაწილების მიერ. I მსოფლიო ომის დროს მსახურობდა ქაქუცა ჩოლოყაშვილთან ერთად ტვერსკის პოლკში (ეს პოლკი იბრძოდა თურქეთში, თუქურმიშაში). ბათუმში შეხვდა ჩოლოყაშ-

ვილს და, თვითმხილველთა მოგონებით, ცხენიდან გადმოხტა და მის წინაშე დაიჩოქა. რუსეთში სხვადასხვა თანამდებობაზე იმუშავა, დახვრიტეს 1938 წელს, 50 წლის ასაკში.

17. ი. გედევანიშვილი – იოსებ კონსტანტინეს ძე გედევანიშვილი (1872-1939), სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიის წევრი, დამფუძნებელი კრების დეპუტატი.

18. ალექსანდრე ივანეს ძე დგებუაძე – სამხედრო საქმეთა მრჩეველი ჟორდანიას ხელისუფლებაში, დამფუძნებელი კრების წევრი სოციალ-დემოკრატიული პარტიიდან, ქუთაისის მოლაპარაკების მონაწილე; დააპატიმრეს გრიგოლ ლორთქიფანიძეთან ერთად, ისინი გადასახლებაშიც ერთად მოხვდნენ; დახვრიტეს 1937 წელს.

19. დ. შარაშიძე – შარაშიძე დავით გრიგოლის ძე, სოციალ-დემოკრატი, საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრი, ქუთაისის მოლაპარაკების მონაწილე, დელეგაციის მდივანი, სოციალ-დემოკრატი, დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობის რწმუნებული;

20. მამია ორახელაშვილი – (1881-1937), ცნობილი ბოლშევიკი-რევოლუციონერი; დაასრულა ქუთაისის გიმნაზია, შეევიდა ხარკოვის უნივერსიტეტში, სწავლა განაგრძო პეტერბურგის სამხედრო-სამედიცინო აკადემიაში, რომელიც 1908 წელს დაამთავრა. 1903 წელს გახდა რსდმპ(ბოლშევიკების) წევრი; ეწეოდა ბოლშევიკურ რევოლუციურ საქმიანობას, რის გამოც რამდენჯერმე დააპატიმრეს. იყო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ოკუპაციის მონაწილე; 1937 წელს დააპატიმრეს და დახვრიტეს ცოლთან – მარიამ მიქელაძეორახელაშვილთან ერთად; ჰყავდათ ორი შვილი:ქეთევანი და მერაბი, ქეთევანი იყო ევგენი მიქელაძის ცოლი, ქმრის დაპატიმრების შემდეგ ისიც, ორი მცირეწლოვანი ბავშვის დედა – დააპატიმრეს და ბანაკში გადაასახლეს; მერაბ ორახელაშვილი, 1910 წელს დაბადებული, 1972 წელს გარდაიცვალა.

21. ალექსანდრე სვანიძე – ბოლშევიკი, სტალინის პირველი ცოლის – ეკატერინე სვანიძის ძმა; სწავლობდა სტალინთან ერთად თბილისის სასულიერო სემინარიაში; 1921 წელს იყო საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი, ამ სტატუსით ესწრებოდა ყარსის ხელშეკრულების გაფორმების

ცერემონიალს; იყო რეპრესიების მსხვერპლი;

22. შალვა ელიავა – (1883-1937); რევოლუციონერ-ბოლშევიკი, საქართველოს გასაბჭოების აქტიური მონაწილე, შულავერის მთავრობის ერთ-ერთი წევრი – ფილიპე მახარაძესთან, მამია ორახელაშვილთან, ბუდუ მდივანთან, მიხეილ ოკუჯავასთან, ლადო დუმბაძესთან, ომარ ფაიკთან, ამაიკ ნაზარეთიანთან, ალექსანდრე გეგეჭკორთან და ბესო კვირკველიასთან ერთად. დაიბადა სოფელ ღანირში, დაამთავრა ქუთაისის კლასიკური გიმნაზია, შევიდა პეტერბურგის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე; რსდმპ (ბ) წევრი 1904 წლიდან, 8-ჯერ დააპატიმრეს რევოლუციური ბრძოლებისათვის, 2-ჯერ გადაასახლეს; იყო ვოლოგდის გუბერნიის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს თავმჯდომარე, ვოლოგდის აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე, მუშაობდა პარტიულ სამუშაოებზე თურქესტანში, სპარსეთსა და თურქეთში, 1921-22 წლებში იყო საქართველოსა და ამიერკავკასიის საზღვაო საქმეთა სახალხო კომისარი, 1923-27 წლებში ამიერკავკასიის სახკომსაბჭოს თავმჯდომარე, 1931-36 წლებში სსრკ საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილე, სსრკ მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისრის მოადგილე, იყო ცაკის წევრი, პარტიული ყრილობების დელეგატი; 1937 წელს ბრალი დადეს კონტრევოლუციონერობაში და რიკოვთან და ბუხარინთან კავშირში, დააპატიმრეს და დახვრიტეს; შალვა ელიავას ქალიშვილი – ლია ელიავა ქართული კინოს ვარსკვლავია.

23. გამბაროვი – იური სტეფანეს ძე. იურისტ-ცივილისტი, დაიბადა თბილისში 1850 წელს, ეროვნებით სომეხი, 1901 წლიდან რსდმპ-ს წევრი (დაშნაკ-ცუტიუნი); 1919 წელს დაარსებული ერევნის უნივერსიტეტის პირველი რექტორი; სომხეთის მთავრობის შეცვლასთან დაკავშირებით მოხსნეს და 1920 წელს გადავიდა ბაქოში უნივერსიტეტის პროფესორად, მიიწვია ვ. ი. რაზუმოვსკიმ, ყოფილი ამიერკავკასიის უნივერსიტეტის რექტორმა, რომელიც ბაქოს უნივერსიტეტს ედგა სათავეში.

24. აბელ ენუქიძე – აბელ ენუქიძე დაიბადა ქუთაისის გუბერნიის რაჭის მაზრის სოფელ ნკადისში, გლეხის ოჯახში. განათლება მიიღო თბილისის ტექნიკურ სასწავლებელში. 1897-1900წ.წ. მუშაობდა ამიერკავკასიის რკინიგზის მთავარ

სახელოსნოში მუშად,ხოლო 1900 წლიდან მემანქანის თანაშემწედ ბაქოში. 1898 წელს რსდმპ-ის წევრი ხდება. იყო ბოლშევიკი. 1906 წლიდან ეწევა პარტიულ მუშაობას. 1914 წელს დააპატიმრეს და გადაასახლეს ენისეისკის გუბერნიაში. 1916 წლის ბოლოს გაწვეულ იქნა ჯარში. მონაწილეობდა 1917 წლის რევოლუციაში პეტროგრადში, ამავე წელს ბოლშევიკების მიერ არჩეულ იქნა ცაკ-ის წევრად. 1917 წლის ივნისიდან პეტროგრადის საბჭოსა და აღმასრულებელი კომიტეტის წევრია. ნოემბრიდან ამ კომიტეტის სამხედრო განყოფილებას ხელმძღვანელობს. 1918 წლის ივლისიდან საკავშირო ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის მდივანია.

1922 წლის დეკემბრიდან 1935 წლის მარტამდე აბელ ენუქიძე იყო საბჭოთა კავშირის ცაკ-ის პრეზიდიუმის მდივანი. 1934 წლიდან ის საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის წევრია. სხვა პარტიულ ხელმძღვანელთაგან განსხვავებით, ენუქიძეს ახასიათებდნენ როგორც ფუფუნებისა და ქალების მოყვარულ ადამიანს, რაც გახდა მიზეზი იმისა, რომ 1935 წელს ცენტრალური კომიტეტიდან გარიცხეს „за политичсское и бытовое разложсние". 1935 წელს დაინიშნა ხარკოვის სამხარეო საავტომობილო ტრესტის დირექტორად. 1937 წლის 11 თებერვალს იგი დააპატიმრეს, 29 ოქტომბერს კი დახვრეტა მიუსაჯეს ანტისაბჭოური საქმიანობისთვის. აბელ ენუქიძე მოიხსენიებოდა, როგორც კრემლში არსებულ შეთქმულთა ჯგუფის ხელმძღვანელი. ენუქიძე რეაბილიტირებულია 1960 წელს. ენუქიძეს სსრკ-ში პირველი ლენინისა და შრომის წითელი დროშოს ორდენი ჰქონდა.

25. სერგო ორჯონიკიძე — ცნობილი საბჭოთა ფუნქციონერი, დამოუკიდებელი საქართველოს დამპყრობი XI წითელი არმიის იდეური ხელმძღვანელი, 20-იანი წლების საქართველოში ჩატარებული პოლიტიკური რეპრესიების ორგანიზატორი; დაიბადა 1866 წელს ქუთაისის გუბერნიის სოფელ ღორეშაში (ხარაგაულის რ-ნი), სწავლობდა ჯერ თბილისის ორწლიან სასწავლებელში, შემდეგ საფერშლო სკოლაში; მოსწავლეობისას შევიდა რსდმ პარტიაში, 1903 წლიდან ამ პარტიის ბოლშევიკურ ფრთას მიემხრო; მონაწილეობდა რევოლუციურ გამოსვლებში, რისთვისაც მრავალჯერ დააპატიმრეს;

1911 წელს გაემგზავრა პარიზთან ახლოს, ლენინის მიერ ორგანიზებულ პარტიულ სკოლაში, 1912 წელს არჩეული იქნა რსდმპ ცკ-ის წევრად და საზღვარგარეთის ბიუროს წევრად; 1912 წელს სტალინთან ერთად დაბრუნდა პეტერბურგში, სადაც დააპატიმრეს და 3 წლით გადაასახლეს; 1915 წელს იაკუტსკში სამუდამო პატიმრობით გაგზავნეს. 1917 წლის თებერვლის მოვლენების შემდეგ დაბრუნდა პეტერბურგში, იყო პარტიის VI ყრილობის დელეგატი, ოქტომბრის გადატრიალების შემდეგ რსდმპ კავკასიის ბიუროს თავმჯდომარე, ხელმძღვანელობდა დამოუკიდებელი აზერბაიჯანის, სომხეთისა და საქართველოს გასაბჭოების ოპერაციებს; 1922-1926 წლებში ხელმძღვანელობდა რსდმპ ამიერკავკასიის კომიტეტს; 1930 წლიდან იყო საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის კომისარი, ასევე პარტიის ცკ-ს წევრი; 1937 წელს სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა; დაკრძალულია მოსკოვში, ნოვოდევიჩის სასაფლაოზე.

26. ფილიპე მახარაძე – (1868-1941, დაიბადა 9.3 1868 ქუთაისის გუბერნიის ოზურგეთის მაზრის დაბა კარისკუპეში. გარდაიცვალა 10.12. 1941 თბილისში); სახელმწიფო და პარტიული მოღვაწე, მღვდლის შვილი. განათლება მიიღო ოზურგეთის სასულიერო სასწავლებელში (1884). სწავლობდა თბილისის სასულიერო სემინარიაში და ვარშავის ვეტერინარულ ინსტიტუტში (არ დაუმთავრებია). 1891 წლიდან რსდმპ წევრია, ბოლშევიკი. 1903 წლიდან ირიცხება რსდმპ (ბ) კავკასიის საკავშირო კომიტეტის წევრად. 1915 წლის თებერვალში გამწესებულ იქნა ბაქოს გუბერნიაში. შემდგომში გაიქცა ქუთაისში, 1916 წელს კი თბილისში ჩამოვიდა. 1917 წლიდან გაზეთის „კავკასიის მუშის" რედაქტორია. 1917 წლის ოქტომბრიდან ირიცხება რსდმპ-ს კავკასიის რეგიონის წევრად. 1918-1920 წლებში საქართველოს იატაკქვეშა მოძრაობის აქტიური წევრია. 1920 წლიდან ცკრკპ(ბ) კავკასიის ბიუროს და საქართველოს ცკკპ(ბ) წევრია. 1921 წლის მარტიდან საქართველოს რევოლუციური კომიტეტის თავმჯდომარეა, ხოლო 1922 წლიდან საქართველოს საგეგმო კომიტეტის (გოსპლანი) ხელმძღვანელია. 1937 წლიდან სსრ უმაღლესი საბჭოს მოწვევის დეპუტატია. 1938 წლიდან საქართველოს უმაღლესი საბჭოს

მონვევის პრეზიდიუმის თავმჯდომარე და სსსრ პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე. საქართველოს ბოლშევიკური პარტიის შესახებ ისტორიული ნაშრომების ავტორი, ისეთების როგორიცაა: „ნარკვევები ამიერკავკასიის რევოლუციური მოძრაობის შესახებ“ (თბილისი 1927), “რჩევები და ბრძოლა საქართველოში საბჭოთა ძალაუფლებისათვის (თბილისი 1928). ფილიპე მახარაძე ერთ-ერთი ძველი ბოლშევიკთაგანია რომელმაც მონაწილეობა მიიღო რეპრესიებში, თავად კი გადაიტანა სტალინური „წმენდა“. მახარაძე დაქორწინებული იყო საზოგადო მოღვაწესა და მასწავლებელზე ნინა სვორნიკოვაზე. თავის დროზე ქუთაისში მის მოსწავლეთა შორის ერთერთი იყო ვ.ვ.მაიაკოვსკი.

27. ალექსანდრე გეგეჭკორი – პარტიული ფსევდონიმით საშა – (1887-1928), დაიბადა 23.11.1887 ნაოგალეზში, ახლანდელი მარტვილის რაიონში. საბჭოთა სახელმწიფო და პარტიული მოღვაწე. კავკასიის რევოლუციური მოძრაობის აქტიური მონაწილე. 1902 წლიდან ინტენსიურად ჩაება რევოლუციურ მოძრაობაში. 1908 წლიდან გახდა კომუნისტური პარტიის წევრი. პარტიულ მოღვაწეობას ეწეოდა ბაქოში, თბილისში, ჩელიაბინსკსში, მოსკოვსა და სხვა ქალაქებში. არაერთხელ იქნა დაპატიმრებული. თებერვლის რევოლუციის შემდეგ 1917წ. მონაწილეობდა ქუთაისის ბოლშევიკური ბიუროს შექმნაში. 1918 წლიდან საქართველოს პარტიული კომიტეტის თავმჯდომარეა. იგი ერთ-ერთი ხელმძღვანელია საქართველოს მენშევიკური პარტიის წინააღმდეგ აჯანყებისა. 1918 წლის შემოდგომაზე თეთრგვარდიელებთან ბრძოლაში მძიმედ დაიჭრა თერგის ოლქთან. 1921-1922წ.წ. თბილისისა და საქართველოს რევოლუციური კომიტეტის თავჯდომარეა. 1922-23 წლებში საშინაო საქმეების და მიწათმოქმედების სახალხო კომისარი იყო. ამავდროულად, 1922 წლიდან საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს თავჯდომარის მოადგილე. იყო საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) მე-11 და მე-15 ყრილობის დელეგატი.

28. ბუდუ მდივანი – (1877–1936); ცნობილი ქართველი ბოლშევიკი, რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობის მომხრე და მონაწილე, შულავერის მთავრობის წევრი, მისი ძმა სიმონ მდივანი დამოუკიდებელი საქართველოს ხელისუფლების

ერთ-ერთი აქტიური წამომადგენელი იყო; მისი უფროსი ვაჟი – ავიაკონსტრუქტორი 1933 წელს დაიღუპა თვითმფრინავის გამოცდისას, ის, როგორც სამშობლოს მოღალატე, ისე დახვრიტეს 1936 წელს. 1937 წელს, სამშობლოს მოღალატის შვილის ბრალდებით, დახვრიტეს მისი ვაჟი – არჩილი, რომელიც 1936 წელს გახდა ჩოგბურთში პირველი მსოფლიო ჩემპიონი საბჭოთა კავშირიდან.

29. ლევან ღოღობერიძე – ლევან დავითის ძე ღოღობერიძე (1896-1937), საბჭოთა სახელმწიფო და პარტიული მუშაკი, კომპარტიის წევრი 1916 წლიდან, დაიბადა ქუთაისის გუბერნიაში, სოფელ ჯიხაიშში, ეწეოდა რევოლუციურ საქმიანობას, მუშაობდა ტრაპიზონთან ახლოს ჯივიზლიკში, ბაქოში, იყო რსდმპ(ბ) ბაქოს კომიტეტის წევრი, კავკასიის სამხარეო კომიტეტის წევრი, 1921 წლიდან თბილისის რევკომის თავმჯდომარე, რსდმპ(ბ) თბილისის კომიტეტის მდივანი, 1923-1924 წლებში თბილისის საავნარკომის თავმჯდომარის მოადგილე, 1924-1925 წლებში აჭარის საოლქო კომიტეტის მდივანი იყო; ლევან ღოღობერიძე აქტიურად მონაწილეობდა საქართველოში 20-30-იან წლებში მიმდინარე რეპრესიებში. 1925-1926 წლებში ღოღობერიძე პარიზში დიპლომატიურ სამსახურში მიავლინეს, 1926-1930 წლებში მან საქართველოს კომპარტიის ცეკას მდივნის პოსტი მიიღო, 1930-1934 წლებში სწავლობდა წითელი პროფესურის ინსტიტუტში, 1934 წელს პარტიულ სამუშაოზეა ეისკში, დონის როსტოვში, იყო პარტიის რამდენიმე ყრილობის დელეგატი; დაიჭირეს სამშობლოს ღალატის ბრალდებით და დახვრიტეს 1937 წელს. როგორც მოღალატის ოჯახის წევრი – მისი ძმა ალექსანდრეც დახვრიტეს. მისი ქალიშვილი – ლანა ღოღობერიძე შემდეგში ცნობილი კინორეჟისორი და დიპლომატი გახდა.

30. მ. კახიანი – (1897-1937). ცნობილი ბოლშევიკი, პარტიული მოღვაწე; რეპრესიებში მონაწილეობდა და თავადაც რეპრესირებული იქნა 1937 წელს.

31. სტალინი, იოსებ ბესარიონის ძე სტალინი – ჯუღაშვილი, (1879-1953); დაიბადა ქ. გორში, 1894 წელს დაამთავრა გორის სასულიერო სასწავლებელი და სწავლა გააგრძელა თბილისის სასულიერო სემინარიაში. იყო „მესამე დასის“ წევრი; რუსი

მარქსისტების გავლენით ჩაება რევოლუციურ მოძრაობაში, 1899 წელს გარიცხეს სემინარიიდან; რევოლუციური საქმიანობისათვის მრავალჯერ დააპატიმრეს, ბევრჯერ გაიქცა საპატიმროდან; იყო 1917 წლის ოქტომბრის გადატრიალების ერთ-ერთი ორგანიზატორი, რუსეთის საბჭოთა სახელმწიფოს აქტიური მოღვაწე; პირველივე წლებში იგი დანიშნეს დიდ თანამდებობაზე – რსდმპ ცაკის (ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი) ეროვნებათა სახალხო კომისრად; უშუალოდ მისი ხელმძღვანელობით მოხდა საქართველოს ოკუპაცია 1921 წლის თებერვალში რუსული არმიის საშუალებით. ის აძლევდა მითითებებს სერგო ორჯონიკიძესა და XI წითელ არმიას. სტალინი იყო ძირითადი განმკარგულებელი 30-იანი წლების სასტიკი რეპრესიების, რასაც ბევრი უდანაშაულო ადამიანი შეეწირა; რეპრესიებს საფუძვლად დაედო ცნობილი კომუნისტის სერგეი კიროვის საიდუმლოებით მოცული მკვლელობა 1934 წელს ლენინგრადში. სწორედ ამ მკვლელობის შემდეგ გაიმართა საჩვენებელი სასამართლო პროცესები კომპარტიის წევრთა მიმართ. რეპრესიები არსებითად მთელი ხალხის წინააღმდეგ იყო მიმართული. გაანადგურეს საბჭოთა ინტელიგენციის, სამღვდელოების, იმ ადამიანების დიდი ნაწილი, რომლებიც გადაურჩნენ ადრეულ წითელ ტერორს; სტალინმა და მისმა თანამოაზრეებმა შემოიღეს ე.წ. „ტროიკები“ (სამეულები), რომლებიც გაუსამართლებლად, მხოლოდ თავიანთი შეხედულებით სჯიდნენ, ხვრეტდნენ და საკონცენტრაციო ბანაკებში ასახლებდნენ ადამიანებს. ამ წლების რეპრესიების მსხვერპლთა ზუსტი რიცხვი დადგენილი არაა, მას 700 ათასიდან მილიონ სამასი ათასამდე მსხვერპლს მიაწერენ... საერთაშორისო ასპარეზზე სტალინის ავტორიტეტი გაზარდა II მსოფლიო ომში ფაშისტური გერმანიის დამარცხებამ, თუმცა ამ ომში საბჭოთა კავშირის მიერ გაღებული დიდი მსხვერპლის გამო სტალინს ბევრი კრიტიკოსიც ჰყავს. სტალინი 1953 წლის 5 მარტს გარდაიცვალა, ჯერ მავზოლეუმში, ლენინის გვერდით, დაასვენეს, 1956 წელს პარტიის XX ყრილობაზე მისი პიროვნების კულტის დაგმობის შემდეგ გადაასვენეს მავზოლეუმიდან და კრემლის კედელთან დაკრძალეს.

32. მარიამ პლატონის ასული ორახელაშვილი, ქალიშ-

ვილობის გვარი – მიქელაძე (1887-1937); ცნობილი რევოლუციონერი, ბოლშევიკური პარტიის წევრი 1906 წლიდან. დაამთავრა პეტერბურგის უცხო ენათა ორწლიანი ქალთა პედაგოგიური ინსტიტუტი, შემდეგ სწავლა განაგრძო პეტერბურგის პედაგოგიურ ინსტიტუტსა და პეტერბურგის ბესტუჟევის ქალთა უმაღლეს კურსებზე, შემდეგ – პარიზის უნივერსიტეტში. პირველი მსოფლიო ომის დროს მუშაობდა ვლადიკავკაზში, იყო პედაგოგი და პარალელურად რევოლუციურ საქმიანობასაც ეწეოდა. 1918 წლიდან პედაგოგიური და რევოლუციური საქმიანობა გააგრძელა ქუთაისში, 1920 წელს გახდა საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ც. კ.-ს მდივანი. იყო ბაქოში აღმოსავლეთის ხალხთა ყრილობის მონაწილე, საქართველოს კპ(ბ) ც. კ.-ს ქალთა განყოფილების გამგე, საქართველოს განათლების სახალხო კომისარი; სხვადასხვა დროს მისი რედაქტორობით გამოდიოდა ჟურნალები: „მშრომელი ქალი“, კულტსტროიტელსტვო“, „წითელი სხივი“, „პედაგოგიჩესკოე ობრაზოვანიე“ და სხვა. 1924 წელს მონაწილეობდა კომუნისტ ქალთა III საერთაშორისო კონფერენციის მუშაობაში.; დაჯილდოებული იყო შრომის წითელი დროშის ორდენით. იყო ცნობილი ბოლშევიკის მამია ორახელაშვილის მეუღლე. მისი ქალიშვილი – ქეთუსია ორახელაშვილი, ევგენი მიქელაძის მეუღლე – ქმართან ერთად რეპრესირებული, გადასახლებული იყო; მის ხელოვან ქმართან ერთად, ბოლშევიკი მშობლები შეეწირენ 30-იანი წლების რეპრესიებს. მარიამ ორახელაშვილს ჰყავდა ვაჟიშვილიც – მერაბ ორახელაშვილი(1910-1972);

33. ახმედ ზოგუ – (1895-1961), ალბანეთის სახელმწიფო მოღვაწე, ნამდვილი გვარ-სახელი: ახმედ მუხტარ ბეი ზოგოლი (არნივი), სუნიტი მუსლიმანი; დაიბადა ჩრდილოეთ ალბანეთში, იყო ავსტრიის არმიის პოლკოვნიკი, 1920 წლის ნოემბრიდან ერთი წელი ალბანეთის შსს მინისტრი, 1921 წლის დეკემბრიდან 1922 წლის თებერვლამდე ალბანეთის პრემიერ-მინისტრი, ეს თანამდებობა მიიღო მსხვილი ალბანელი მიწათმფლობელის შ. ვერლაჯის მხარდაჭერით, რომლის ქალიშვილზეც იყო დანიშნული; 1924 წლის ივნისში ალბანეთში მოხდა რევოლუცია, ზოგუ გაიქცა მეზობელ სერბეთ-ხორვატეთ-სლოვენების

სამეფოში. ამ ქვეყნისა და რუსი ემიგრანტების ჯარის დახმარებით 1924 წლის დეკემბერში სერბეთში მოაწყო სამხედრო გადატრიალება და გახდა ქვეყნის ერთმმართველი, ყოველგვარი კავშირი გაწყვიტა ძველ მეგობარ ვერლაჯისთან. 1925-1928 წლებში იყო ალბანეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი. 1928 წლიდან 1939-მდე კი ალბანეთის მეფე – ზოგუ I სკანდერბერ III-ის სახელწოდებით. თუმცა იყო ავტორიტარი მმართველი, ისწრაფვოდა დემოკრატიული რეფორმების გატარებისაკენ, სურდა ალბანეთის ქცევა ევროპულ ქვეყნად, აგზავნიდა ახალგაზრდებს ევროპულ უნივერსიტეტებში სასწავლებლად. რეფორმებისათვის საჭირო კრედიტებს იღებდა იტალიისაგან. იმდენად დიდი იყო ალბანეთის ვალი, ფაქტიურად იგი იტალიის პროტექტორატის ქვეშ აღმოჩნდა. 1939 წელს ფაშისტური იტალია შევიდა ალბანეთში, ზოგუ გაიქცა ჯერ საბერძნეთში, შემდეგ ლონდონსა და პარიზში. საოკუპაციო რეჟიმის პრემიერ-მინისტრი ალბანეთში გახდა მისი ძველი მტერი შეფკეტ ვერლაჯი; სიცოცხლეში მასზე 55 თავდასხმა განხორციელდა. თავდამსხმელებს ის ხშირად საკუთარი იარაღით იგერიებდა. მისი გარემოცვის ყველაზე ცნობილი წევრი იყო აბდურახმან კროსი, რომელსაც ალბანელ რასპუტინს უწოდებდნენ. უკანასკნელი წლები პარიზში მეუღლე ჯერალდინა აპონის ხარჯზე გაატარა, რომელიც დეტექტურ რომანებსა და მემეუარებს წერდა. ჰყავდა ერთი ვაჟი – ლეკა (1939-2011), რომელიც სამხრეთ აფრიკაში ცხოვრობდა და თავს უწოდებდა ალბანეთის დევნილ მეფე – ლეკა I-ს. ახმედ ზოგუ 65 წლის გარდაიცვალა, დაკრძალულია პარიზის ტიეს სასაფლაოზე.

34. მიხა ცხაკაია – (1865-1950) მიხეილ გრიგოლის ძე ცხაკაია, რევოლუციონერი, სახელმწიფო და პარტიული მოღვაწე. სტალინის მეჯვარე (პირველ მეუღლეს ე. სვანიძესთან ეკლესიური ჯვრისწერის) და აქტიური თანამოაზრე რევოლუციურ საქმიანობაში. ენგელსის მეგობარი. ორგანიზაცია „მესამე დასის"' მონაწილე. 1923-1930 წლებში ცაკ-ის (ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი) და ასფსრ-ს (ამიერკავკასიის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკა) ერთ-ერთი თავმჯდომარე. საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკის ცაკ-ის თავჯდომარე. 1903 წლიდან ცხაკაია წევრია „კავკასიის კომიტე-

ტის კავშირისა", რომელიც დაფუძნებული იქნა ამიერკავკასიის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის მიერ. ცხაკაია (პარტიული ფსევდონიმი ბარსოვი) მონაწილეა რსდმპ ყრილობის, რომელიც ჩატარდა ლონდონში 1907 წელს, საქართველოდან მასში მონაწილე ყველა დეპუტატი მენშევიკური პარტიის წარმომადგენელი იყო, ხოლო ორი დეპუტატი, ბოლშევიკები – ცხაკაია და ჯუღაშვილი დაშვებულ იქნენ მხოლოდ სათათბირო ხმის უფლებით.

35. სულეიმან ლორთქიფანიძე, აჭარის სახალხო განათლების ხელმძღვანელი გასაბჭოების პირველ წლებში.

36. ლენინი, ვლადიმერ ილიას ძე ულიანოვი, (1870-1924), პროლეტარიატის ბელადი, ოქტომბრის სახელმწიფო გადატრიალების ხელმძღვანელი, რუსეთის საბჭოთა მთავრობის I მეთაური; დაიბადა სიბირსკში, მამა ყაზანის უნივერსიტეტდამთავრებული, იყო ჯერ სახალხო სკოლების ინსპექტორი, შემდეგ სკოლის დირექტორი; დედა – მარია ბლანკიც, ეროვნებით ებრაელი, მასწავლებელი იყო, თუმცა მრავალშვილიან ოჯახს უვლიდა და არ უმუშავია. ვლადიმერის უფროსი ძმა ალექსანდრე III-ზე თავდასხმისათვის სიკვდილით დასაჯეს. ლენინმა დაამთავრა სიბირსკის გიმნაზია, 1887 წელს შევიდა ყაზანის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე, შემდეგ პეტერბურგის უნივერსიტეტში იგივე ფაკულტეტი ექსტერნად დაამთავრა. მუშაობდა სამარაში, სადაც დააარსა მარქსისტული წრე. რუსულად თარგმნა მარქსისა და ენგელსის „კომუნისტური პარტიის მანიფესტი". 1895 წელს პეტერბურგში შექმნა „მუშათა კლასის განთავისუფლებისათვის ბრძოლის კავშირი", რის საფუძველზეც დაარსდა რსდმპ, რომელიც 1903 წლიდან ორად – ბოლშევიკებად, ანუ ლენინის მომხრეებად და მენშევიკებად გაიყო. ფსევდონიმი ლენინი პირველად იხმარა 1901 წელს გაზეთ „ისკრა"-ში გამოქვეყნებულ სტატიაში. 1917 წელს მისი ხელმძღვანელობით მოხდა სახელმწიფო გადატრიალება, დამყარდა სოციალისტური წყობილება რუსეთში და ვლადიმერ ლენინიც რუსეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობის პირველი მეთაური გახდა. გარდაიცვალა 1924 წლის 21 იანვარს. მისი მუმია სპეციალურ მავზოლეუმში, კრემლშია მოთავსებული.

37. ნაპოლეონი – ნაპოლეონ ბონაპარტი (1769-1821წ.წ.); საფრანგეთის იმპერატორი, დიდი მთავარსარდალი, უამრავი ბრძოლის მომგები; მას ეკუთვნის ფრანგული სამართლის კრებული (1804), 1813 წელს დამარცხდა ლაიფციგთან „ხალხთა დიდი ბრძოლაში“, 1814 წელს მისი მოწინააღმდეგე ქვეყნების წარმომადგენლები პარიზში შევიდნენ, იმპერატორი გადაასახლეს ჯერ კუნძულ ელბაზე, საიდანაც გამოიქცა, 100 დღე იმეფა, საბოლოოდ ნაპოლეონი დამარცხდა ვატერლოოს ველზე ბრძოლაში, გადაასახლეს წმინდა ელენეს კუნძულებზე, სადაც 1821 წელს გარდაიცვალა.

38. ჩიჩერინი – გიორგი (იური) ვასილის ძე ჩიჩერინი (1872-1936); საბჭოთა რუსეთის მეორე საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი ლევ ტროცკის შემდეგ. მამა – ვასილი ჩიჩერინიც დიპლომატი იყო, დედა – ჟორჟინა ეგოროვის ასული მეიენდორფი – ბალტიისპირელი ბარონის შვილი. დედის მხრიდანაც ბაბუა და ბიძა რუსეთის დიპლომატიურ კორპუსში მსახურობდნენ. მშობლები ეკუთვნოდნენ პიეტისტების სექტას, რომელიც ლორდი რედსტოფის დაარსებულია და მუდმივ ლოცვას, ერთდროულ გალობას და ბიბლიის ხმამაღალ კითხვას მოითხოვდა. ამან იმოქმედა მომავალ დიპლომატზე და მის ხასიათს განსხვავებული თავისებურება შესძინა, საზოგადოებისაგან ერთგვარად იზოლირებულიც გახადა. 1896 წელს დაამთავრა პეტერბურგის უნივერსიტეტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტი და მუშაობა დაიწყო საგარეო საქმეთა სამინისტროს არქივში. იყო საოცრად ერუდირებული, პოლიგლოტი, ევროპული მოდერნიზმის საუკეთესო მცოდნე, ვაგნერისა და ნიცშეს შემოქმედების პროპაგანდისტი რუსეთში, მეგობრობდა ფილოსოფოს მ. ა. კუზმინთან, მათ მიმოწერას რუსეთში დიდ ისტორიულ-კულტურულ მემკვიდრეობად თვლიან. 1904 წლიდან ჩიჩერინი გახდა სოციალ-დემოკრატიული (მენშევიკების) პარტიის წევრი, ამავე წელს გაემგზავრა გერმანიაში ჰომოსექსუალიზმისაგან განსაკურნებლად. იყო რსდმპ საზღვარგარეთის სექციის ხელმძღვანელი. 1907 წელს, სხვისი პასპორტის გამოყენებისათვის დააპატიმრეს ბერლინში და პრუსიიდან გააძევეს. წავიდა პარიზში და დაუახლოვდა საფრანგეთის სოციალისტური პარტიის ბელადს – ჟან ჟორესს.

1914 წელს ბელგიაში იყო, გახდა ინგლისის სოციალისტური პარტიის წევრი, მერი ბრიჯეს-ადამსის საშუალებით მატერიალურ და სხვა დახმარებებს უწევდა რუს პოლიტპატიმრებს. თებერვლის რევოლუციის შემდეგ ჩავიდა რუსეთში და დაინიშნა სოვნარკომის თავმჯდომარის – ლევ ტროცკის მოადგილედ, რის გამოც შევიდა ბოლშევიკურ პარტიაში. სამხედრო ნარკომის პოსტზე ტროცკის გადაყვანის შემდეგ ის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი გახდა. მისი ხელმძღვანელობით საბჭოთა რუსეთი რეაქციულ საგარეო პოლიტიკას ატარებდა, მონაწილეობდა სხვადასხვა საერთაშორისო კონფერენციებში და მოითხოვდა საბჭოთა კავშირის აღიარებას. განსაკუთრებით მან, მოადგილე კარახანთან ერთად, რეაქციული პოზიცია დაიკავა დამოუკიდებელი საქართველოს მიმართ, მხარს უჭერდა და საქართველოს დამოუკიდებლობის დასამხობად აქეზებდა სეპარატისტულ რეჟიმებს, ცდილობდა საქართველოს ტერიტორიულ დაშლას. უკმაყოფილება ჰქონდა დიპლომატ ლიტვინოვთან, რომელსაც ეკუთვნის მასზე დაწერილი სკანდალური მოგონებები, სადაც ხაზი აქვს გასმული მის სექსუალურ ორიენტაციას; 1930 წელს გავიდა პენსიაზე, ბუნებრივი სიკვდილით გარდაიცვალა 1936 წელს. რომ დაცლოდა, ალბათ, 1937 წელს დახვრეტნენ, რადგან ყველა მისი თანამშრომელი, მათ შორის ლევ კარახანიც, დახვრიტეს. დაკრძალულია მოსკოვში, ნოვოდევიჩის სასაფლაოზე.

39. კრინიცკი – ევგენი კრინიცკი (დარახველიძე), ეროვნებით ქართველი, 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ დაინიშნა ბათუმის ოლქის კომისრად, შეინარჩუნა სტაბილურობა ბათუმში, იყო დონის როსტოვის უნივერსიტეტის პროფესორი. 1918 წელს მოწვეული იქნა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორად. როგორც გრიგოლ ლორთქიფანიძის სიტყვებიდან ჩანს, საბჭოური იდეოლოგიის მიმდევარი გამხდარა.

40. ალექსანდრე დგებუაძე და კანდელაკი – ალექსანდრე დგებუაძე (იხ. ზემოთ) იყო სამხედრო მრჩეველი, კონსტანტინე ეფიმის ძე კანდელაკიც სოციალ-დემოკრატი-მენშევიკი, ორივე მუშაობდა გრიგოლ ლორთქიფანიძესთან და მასთან ერთად დააპატიმრეს, გადასახლებაშიც ერთად მოხვდნენ და სტალინისად-

მი გაგზავნილ დოკუმენტსაც ერთად მოაწერეს ხელი; ორივე დახვრიტეს 1937 წელს. არსებობს 1933 წელს, ვორონეჟის ციხეში დაპატიმრებული დამნაშავეების სია, ასევე დასკვნა მათი დაპატიმრების მიზეზებზე. დოკუმენტში ნათქვამია, რომ არსებობდა ყოფილი მენშევიკების დივერსიული ჯგუფი, რომელსაც სათავეში გრიგოლ ლორთქიფანიძე და ალექსანდრე დგებუაძე ედგნენ, მათ კავშირი ჰქონდათ თანამოზრეებთან საქართველოსა და საბჭოთა კავშირის სხვა ქალაქებში, თითქოს დადგინდა მათი კავშირი დამოუკიდებელი საქართველოს იდეოლოგ ისიდორე ივანეს ძე რამიშვილთან და მათ მიერ შექმნილი საიდუმლო ორგანიზაციის არსებობა ქალაქ ასტრახანში. საარქივო დოკუმენტში მოტანილი იყო ვრონეჟის ციხეში მყოფი 18 პატიმრის სია:1. ლორთქიფანიძე გრიგოლ სპირიდონის ძე; 2. ბაჟუნაშვილი მიხეილ ხოსეს ძე; 3. დგებუაძე ალექსანდრე ივანეს ძე; 4. კანდელაკი კონსტანტინე ეფიმის ძე; 5. ხუნდაძე გაბრიელ ივანეს ძე; 6. ნაკაშიძე ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე; 7. ბურჭულაძე ვასილ სიმონის ძე; 8. ნიკოლაიშვილი დავით ევსევის ძე; 9. გველესიანი დავით სიმონის ძე; 10. პაპავა ყაფლან კონსტანტინეს ძე; 11. მჟავანაძე გიორგი იოსების ძე; 12. ლემონჯავა დიმიტრი მიხეილის ძე; 13. კვანტალიანი ალექსანდრე მელიტონის ძე; 14. კვერნაძე მატვეი(მათე) ვასილის ძე; 15. ჩავლეიშვილი ლუკა იაკობის ძე; 16. ვერულეიშვილი ვალერიან იოსების ძე; 17. ნიკოლაიშვილი გერმან იოსების ძე; 18. კიკნაძე ანდრო სოლომონის ძე; ისინი გასამართლებული არიან 1937 წლის 12 იანვარს.

41. არისტოტელე, ძველი ბერძენი სწავლული, ფილოსოფოსი, ალექსანდრე მაკედონელის მასწავლებელი. ჩამოაყალიბა თეორია სახელმწიფოს ტიპების შესახებ, სულ 6 ტიპის სახელმწიფოს ასახელებდა, აქედან სამს მიიჩნევდა საუკეთესო ფორმად, სამს – ცუდად. ესენი იყო: კარგი–მონარქია, არისტოკრატია და პოლიტია (რესპუბლიკა); ცუდი: ტირანია, ოლიგარქია, დემოკრატია.

42. ნიკო მარი – (1864-1934), ცნობილი ენათმეცნიერი, ფილოლოგი, აღმოსავლეთმცოდნე, არქეოლოგი, კულტურის ისტორიკოსი, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი 1912 წლიდან; დაიბადა ქუთაისში; მამა შოტლანდიელი, დედა კი ქართველი ჰყავდა. 1884 წელს დაამთავრა ქუთაისის

კლასიკური გიმნაზია, 1890 წელს პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტი. 1891 წლიდან ამავე უნივერსიტეტის პრივატ-დოცენტი იყო; 1894-1896 წლებში მუშაობდა სტრასბურგის, ვატიკანისა და რომის ბიბლიოთეკებში, სწავლობდა ქართულ ხელნაწერებს; 1898 წელს ამ მიზნით გაემგზავრა ნ. კონდაკოვის ექსპედიციაში ათონის მთაზე, 1902 წელს – სინას მთაზე ივანე ჯავახიშვილთან ერთად; 1913 წლიდან იყო პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტის დეკანი; 1924-1930 წლებში ლენინგრადის საჯარო ბიბლიოთეკის დირექტორი; 1930 წლიდან სიკვდილამდე სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი; ქართულთან ერთად, იკვლევდა სომხურ, სემიტურ, კავკასიურ, ბასკურ, ეტრუსკულ და სხვა ენებსა და დამწერლობებს. ზოგიერთი მისი შეხედულება იწვევდა კრიტიკულ დამოკიდებულებას.

43. ნარკომი ბუბნოვი – ანდრეი სერგეის ძე ბუბნოვი– (1884-1938); ძველი ბოლშევიკი, რსდმპ(ბ) წევრი 1903 წლიდან, რევოლუციური მოძრაობის აქტიური მონაწილე, 1917 წლის ოქტომბრის გადატრიალების უშუალო მონაწილე, მუშაობდა სხვადასხვა პარტიულ თანამდებობებზე, 1929-1937 წლებში იყო საბჭოთა კავშირის სახალხო განათლების კომისარი, განათლების საკითხებზე მას პოლემიკა გაუმართა პატიმარმა გრიგოლ ლორთქიფანიძემ, საჩივარი შეიტანა უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში და მოუგო; 1937 წელს მოხსნეს თანამდებობიდან მოვალეობის შეუსრულებლობის მოტივით, 1938 წელს დაიჭირეს და დახვრიტეს.

44. ნიკოლოზ ქოიავა – ქართველი მეცნიერი, ეკონომისტი, პროფესორი; ცოლად ჰყავდა გრიგოლ ლორთქიფანიძის ცოლის – ლუბა ავრამენკოს და – კლავდია. 20-იან წლებში დაწყებული ბოლშევიკური აგრესია სასტიკად შეეხო მრეწველი ავრამენკოების მდიდარ ოჯახსაც, მათ ნაართვეს ყველაფერი, ერთი და-ძმა ევროპაში წავიდა, ორი და კი, მას შემდეგ რაც მშობლების გარდაცვალების ამბავი გაიგო, გრიგოლ ლორთქიფანიძის მეუღლემ ჩამოიყვანა საქართველოში. მესამე და არ გათხოვილა და სიკვდილამდე ლუბა ავრამენკოსთან ცხოვრობდა.

45. ლავრენტი ბერია – (1899-1953); ცნობილი საბჭოთა სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწე, დაიბადა გულრიფშის

რაიონის სოფელ მერხეულში, 16 წლის წავიდა სასწავლებლად ბაქოში; 1921 წელს ბაქოდან ჩამოჰყვა საქართველოს დამპყრობ მე-11 წითელ არმიას, მალევე გახდა „ჩეკას“ გამომძიებელი, 1922 წლიდან კი მისი უფროსის მოადგილე (უფროსი – გიორგი ელისაბედაშვილი); მონაწილეობდა 1924 წლის აჯანყების ჩახშობაში; 1931-1938 წლებში მუშაობდა საქართველოს კომპარტიის ცეკას პირველ მდივნად, განახორციელა მკაცრი რეპრესიები საქართველოში; 1938 წელს გადაიყვანეს მოსკოვში შინაგან საქმეთა სახალხო კომისრად, ხელმძღვანელობდა დაზვერვისა და კონტრდაზვერვის საქმიანობას, უშუალოდ მისი ხელმძღვანელობით საბჭოთა დაზვერვამ მოიპარა აშშ-დან ატომური ბომბის დამზადების საიდუმლოება. 1943 წელს მიიღო სოციალისტური შრომის გმირის წოდება, 1945 წელს გახდა საბჭოთა კავშირის მარშალი; 1953 წელს, სტალინის სიკვდილის შემდეგ დააპატიმრეს კონტრევოლუციონერობისა და უცხოეთის დაზვერვასთან თანამშრომლობის ბრალდებით და დახვრიტეს.

46. **ქობულოვი – ბოგდან ზახარის ძე**, ეროვნებით სომეხი, საბჭოთა უშიშროების თანამშრომელი, დაიბადა 1904 წელს მოსკოვში, იყო საბჭოთა დაზვერვის ერთ-ერთი ხელმძღვანელი, 1943 წლიდან სახელმწიფო უშიშროების კომისარი; 1945 წლიდან გენერალ-პოლკოვნიკი; ის ხელმძღვანელობდა 1944 წელს ჩეჩნების გასახლებას, რისთვისაც სუვოროვის I ხარისხის ორდენით დაჯილდოვდა. ასევე, მანვე ჩაატარა რეპრესიები და უხელმძღვანელა ყირიმელი თათრებისა და გერმანელების „არასაიმედო ელემენტების“ გამოვლენისა და გადასახლების ოპერაციას; 1940 წლიდან იყო ე. წ. „ტროიკის“ წევრი, კატინის დახვრეტის ორგანიზატორი; თავისი ხელით კლავდა პატიმრებს ლუბიანკაზე. სტალინის სიკვდილის შემდეგ, ლავრენტი ბერიასთან ერთად დაიჭირეს და დახვრიტეს.

47. **ნოე ჟორდანია – (1869-1953)**, სოციალ-დემოკრატი მენშევიკი, პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე, საქართველოს მთავრობის თავმჯდომარე 1918-1921 წლებში; დაიბადა ლანჩხუთში, დაამთავრა თბილისის სასულიერო სემინარია, 1991 წელს გაემგზავრა პოლონეთში, შევიდა ვარშავის ვეტერინალურ ინსტიტუტში, გაეცნო მარქსიზმს; ავადმყოფობის

გამო საქართველოში დაბრუნებულმა დაიწყო მარქსიზმის პროპაგანდა, დაესწრო მარქსისტთა I შეკრებას დაბა ყვირილაში (ზესტაფონი), ეგნატე ნინოშვილის ბინაზე; კარლო (ნიკოლოზ) ჩხეიძესა და გიორგი წერეთელთან ერთად ჩამოაყალიბა პოლიტიკური ორგანიზაცია „მასამე დასი“; მოღვაწეობდა „საქართველოს თავისუფლების ლიგაში“; დაპატიმრების საშიშროების გამო წავიდა საზღვარგარეთ, საიდანაც გზავნიდა წერილებს გაზეთ „კვალში“; 1898 წელს დაბრუნდა საქართველოში, მალე გახდა რსდმპ წევრი, 1903 წელს ლონდონის ყრილობაზე მიემხრო ამ პარტიის მენშევიკურ ფრთას, მალე იქცა ამიერკავკასიისა და ქართველი მენშევიკების ლიდერად; 1906 წელს გახდა რუსეთის დუმის წევრი თბილისის საარჩევნო ოლქიდან, სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის თავმჯდომარე დუმაში, რევოლუციური მოღვაწეობისათვის რამდენჯერმე დააპატიმრეს, სხვადასხვა შეკრებებსა და ყრილობებზე აყენებდა სოციალურ პროგრამებსა და პროექტებს, ემხრობოდა ეროვნულ-კულტურულ ავტონომიას, დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე ეწინააღმდეგებოდა საქართველოს დამოუკიდებლობის იდეას, უპირისპირდებოდა ქართულ ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას; ცნობილია მისი პოლემიკა ილია ჭავჭავაძესთან, რისი მიზანიც დიდი მწერლისა და ეროვნული მოღვაწის დისკრედიტაცია იყო 1917 წელს საქართველოს ეროვნულ ყრილობაზე გამოსვლისას პირველად მიემხრო ქვეყნის სუვერენიტეტს, 1918 წლიდან კი, როდესაც დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობის თავმჯდომარე გახდა, მტკიცედ აიღო კურსი ქვეყნის სრულ დამოუკიდებლობასა და ტერიტორიულ მთლიანობაზე. 1921 წელს, საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციის შემდეგ, მთავრობა გადავიდა ჯერ ქუთაისში, შემდეგ ბათუმში, 18 მარტს კი – ნოე ჟორდანია მთავრობის წევრებთან ერთად ემიგრაციაში წავიდა. ცხოვრობდა პარიზსა და ლევილში; გარდაიცვალა 1953 წელს, დაკრძალულია ლევილის სასაფლაოზე.

ფოტოები

გრიგოლ ლორთქიფანიძე საქართველოს პირველი რესპუბლიკის
სამხედრო და განათლების მინისტრი

ახალგაზრდა რევოლუციონერი გრიგოლ ლორთქიფანიძე

სოფელი ისრითი, სადაც დაიბადა გრიგოლ ლორთქიფანიძე



ქუთაისის სათავადაზნაურო გიმნაზია

გრიგოლ ლორთქიფანიძე



ოდესის უნივერსიტეტი, სადაც სწავლობდა და ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტი დაამთავრა გრიგოლ ლორთქიფანიძემ

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ოთარ ჯანე ლიძე: „ოდესის უნივერსიტეტის სტუდენტური მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი გახლდათ გრიგოლ ლორთქიფანიძეც. იგი რუსეთ-იაპონიის ომის საწინააღმდეგო პოლიტიკური დემონსტრაციის მონ-ყობისა და ხელმძღვანელობისათვის უნივერსიტეტიდან გარიცხეს, ჯერ ციხეში ჩასვეს, შემდეგ კი ქალაქიდან გაასახლეს. სასჯელ-მოხდილი გრიგოლი უნივერსიტეტში ვასილ პეტრიაშვილმა აღად-გინა, ამჯერად ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტზე. ფაკულტეტი კი გამოიცვალა, მაგრამ რწმენა იმისა, რომ თვითმპყრობელობის დამხობა აუცილებელია რევოლუციის გზით, არ შეუცვლია. კვლავ ჩაერთო სტუდენტურ ცხოვრებაში და განაგრძო ადრე დაწყებული საქმიანობა. მისი რევოლუციური მოღვაწეობის ამსახველი ცნობები ოდესის პერიოდული პრესის ფურცლებზეც იყო მიმოფანტული...“

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლება

ცენტრში: გიორგი მაზნიაშვილი. მარცხნივ შალვა მიქელაძე, ნოე ხომერიკი, მიწათმოქმედების მინისტრი, გრიგოლ გიორგაძე, სამხედრო მინისტრი, ნოე ჟორდანია, ჟორდანიასა და გიორგი მაზნიაშვილს შორის, უკან მოსჩანს გენერალი ალექსანდრე გედევანიშვილი, შემდეგ დაბალი ტანის კაცი - გიორგი მაზნიაშვილი, მისგან მარცხნივ, უკან დგას გენერალი იმნაძე, შემდეგია კ. ბერიძე პოლ კოვნიკი და კომენდანტი. ხოლო სულ მარჯვნა კუთხეში დგას გიორგი ყაზბეგი, გენერალი, საარტილერიო ნაწილის უფროსი.

გრიგოლ ლორთქიფანიძე მმობლებთან, უფროს დასთან და ცოლ-შვილთან ერთად

გრიგოლ ლორთქიფანიძის ცოლ-შვილი

გრიგოლ ლორთქიფანიძის მეუღლე – ლუბა ავრამენკო

ნაწყვეტი მოგონებიდან: „ერთხელ ლუბა ავრამენკო შრომით გადაღლილი და მალარიისგან დასუსტებული წავიდა სოფლიდან თბილისში. მეტეხის საპატიმროს მიაკითხა, მეუღლესთან მორიგ შეხვედრას აპირებდა, მაგრამ ციხის ადმინისტრაციამ აუწყა, რომ გრიგოლ ლორთქიფანიძე, როგორც პატიმარ-მძევალი, რუსეთში გადაასახლესო. ქალბატონი ლუბა უგონოდ ჩაეცილა. იმ მომენტში იქ შემთხვევით აღმოჩნდა ერთ-ერთი პატიმრის, გრიგოლის მეგობრის მეუღლე, ლუბასთვის სრულიად უცნობი ქალბატონი – ლიდა ცინცაძე. მან მოასულიერა გონდაკარგული ქალი და შესთავაზა: ჩემთან ბინაში წამოდით, დაისვენეთ, გამოჯანმრთელდით და შემდეგ დაბრუნდით სოფელშიო. სხვა გამოსავალი არ ჩანდა და ლუბა დათანხმდა....სტუმარ-მასპინძელმა ორიოდე დღეში მოასწრეს დამეგობრება. ლიდა ცინცაძემ სტუმარს გულწრფელად უთხრა: სოფელში ცხოვრება გაგიჭირდება, თბილისში გადმოდი შვილებით, ჩემს ბინაში ერთ ოთახს დაგითმობ და სამსახურშიც მოგაწყობო... ასეც მოხდა...“



წითელი არმიის შემოსვლა თბილისში

„რუსეთი როგორც ომის დროს, ისე ოკუპაციის ხანაში მუდამ ცდილობდა ქვეყნისთვის ისე მოეჩვენებინა, თითქოს რუსეთი კი არ იპყრობს საქართველოს, არამედ, რუსეთის წითელი მხედრობა მხოლოდ დახმარებას უწევს ამბოხებულ ქართველ მუშებსა და გლეხებს“ გრიგოლ ლორთქიფანიძე.

გენერალი გიორგი მაზნიაშვილი

„მე არ ვარ არც ბოლშევიკი, არც მენშევიკი, ნე ქართველი ჯენერალი ვარ!" – გიორგი მაზნიაშვილი

გენერალი ვარდენ წულუკიძე

„ვაჟკაცური ღიმილით შეხვედ ეს ეროვნული გმირი სიკვდილს მაკი და მისი მეგობრების სიმშვიდით განცვიფრებულ ნათელ ყალათს ის ადაცით, რომ ჩვენს ფიქრებს რაოდენ ქართველ პატრიოტებს შეასწრის!"

წიგნიდან: „სამშობლოსათვის თავდადებულ გმირთა ხსოვნას" ბათუმი, 1923

საქართველოს ეროვნული გმირი ქაჟუცა ჩოლოყაშვილი

მარცხნიდან ალექსანდრე დგებუაძე, გრიგოლ ლორთქიფანიძე და მიხაკო ბეჟუნაშვილი - ვორონეჟი, 1931 წლის ივნისი

1931 წელი: გრიგოლ ლორთქიფანიძე ოჯახთან ერთად

„1931 წელს კიდევ ერთხელ და უკანასკნელად ვნახეთ მამა ვორონეჟში. ვან სურვილი გამოთქვა მთელ ოჯახს ერთად გადაგვეღო ფოტოსურათი. ამ სურათს სათუთად ვინახავდი"

– თეიმურაზ ლორთქიფანიძე

ПРОТОКОЛ

Основание ордера [illegible] от 31/I мес. 19 22 произведен обыск у гр. [illegible]

[illegible] кв. № [illegible], по ул. [illegible]

При обыске присутствовали: [illegible]

Со слов указавших задержаны: [illegible]

[illegible]

[illegible] для доставления [illegible] следующее:

(опись всего конфискуемого или реквизируемого)

[illegible]

ГАРФ-8,

"УТВЕРЖДАЮ"

Нач. ОПУ по Б.Ч.О.

(ВОРОНЕЖСКОЙ)

"31." Августа 1938г.

гор.Воронеж.-

ОБВИНИТЕЛЬНОЕ ЗАКЛЮЧЕНИЕ.

По следственному № 23247.

О б в и н я е м ы х:

1. ДОРДЖИАНИДЗЕ Григорий Спиридонович
2. БАЛАНАДЗЕ Михаил Хосроевич,
3. ДГЕБУАДЗЕ Александр Иванович,
4. КАНДЕЛАКИ Константин Ефимович,
5. ЧУЛАКИДЗЕ Гавриил Иванович,
6. НАКАШИДЗЕ Николай Николаевич,
7. БУРЧУЛАДЗЕ Василий Семенович,
8. НИКОЛАЕВСКИЙ Давид Евсеевич,
9. ГВЕЛЕСИАНИ Давид Сеидович,
10. ПАПАВА Каплан Константинович,
11. ИЗАПАНКЕДЗЕ Георгий Иосифович,
12. ЦЕЦИШВИЛИ Дмитрий Михайлович,
13. КОНТАРЕЛИДЗЕ Александр Гамлетович,
14. КОТЕЛАДЗЕ Матвей Васильевич,
15. ЧАЛАДЗЕНИЛИ Лука Яковлевич,
16. ШАРУЛАШВИЛИ Валериан Иосифович,
17. ЖИКОЛАШВИЛИ Герман Виссарионович,
18. ГОРГАДЗЕ Андрей Соломонович -

-по ст.ст. 58-10 ч 11 УК РСФСР.

С 1930 года в ПП ОГПУ по ЦЧО поступали сведения о том, что группа административно сосланных грузинских меньшевиков гор.Воронежа, возглавляемая бывш.членами ЦК грузинских: ДОРДЖИАНИДЗЕ Григорием Спиридоновичем и ДГЕБУАДЗЕ Александром Ивановичем, ведет контрреволюционную к-р.деятельность и к началу 1933 года, эта деятельность группы выражалась в следующем:

1) Установлена регулярная связь с единомышленниками на территории Грузии и отбывающими ссылку и высылку в других городах СССР.

2) Установлена связь с идеологом грузинских - меньшевиков Кондратом Ивановичем и совещания их к-р. организации в гор.Астрахани.

З А К Л Ю Ч Е Н И Е.

1935 года Сентября 7 дня. Пом.Прокурора ОГПУ г.КОЛЬЦОВ, рассмотрев дело по обвинению ЛОРДКИПАНИДЗЕ Григория Спиридоновича, БАГРАТИОНИ Михаила Хогдавича, ДЖЕБУАДЗЕ Александра Ивановича - друг. в числе 18 чел. по ст. 58-10-11 УК, НАШЕЛ:

1. Контр-революционная группа грузинов осуждавших минусы в гор. Воронеже, под руководством быв. членов ЦК грузинской ЛОРДКИПАНИДЗЕ Г.С., ДЖЕБУАДЗЕ А.И. вела контр-революционную деятельность, ставя своей целью свержение сов. власти. Для этой цели установила связь с заграницей - с Бюро Грузинов во Франции, с к.р. группами в Астрахани, Тамбове, Орле для взаимной информации и нелегальной деятельности внутри группы; в целях укрепления кадров проводилась систематическая парт.воспитательная работа, в тех случаях, когда отдельные политсильные грузины несмотря на политическую их обработку все же отходили от грузинов - подвергались организованному бойкоту.
2. Материал расследования соответствует предъявленному обвинению.
3. Соглашаясь с обвинительным заключением, дело направить в Особое Совещание при Коллегии ОГПУ для рассмотрения во внесудебном порядке.

Отп.2 экз.
7.9.35.гм.

Пом.Прокурора ОГПУ по НЧО (КОЛЬЦОВ)

ВЫПИСКА ИЗ ПРОТОКОЛА

Особого Совещания при Народном Комиссаре Внутренних Дел СССР

от "21" декабря 19

СЛУШАЛИ	ПОСТАНОВИЛИ
6.Пересмотр дела №99296 ЛОРДКИПАНИДЗЕ Григория Спиридоновича об.пос.Ос.Сов.12/1-37г.к закл. в п/яз.ср.на 3г. пост.Ос.Сов. 15/1-26г.выслан в Курск,ср.на 3г.,пост.Ос.Сов. 21/XII-28г.ср.продл.на 3г. пост.Ос.Сов. 14/XII-31г.выслан права прожив. в 12 п.п.ср.на 3г.,пост.Ос. Совещ. от 5/1-35г. лиш.права пож. в 12п.продлено на 2г.	ЛОРДКИПАНИДЗЕ Григория Спиридоновича зв к.-р. деятельность - заключить в исправтрудлагерь,сроком на пять лет,отч.срок с 12/1-37г.

Отв. Секретарь Особого Совещания

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐ
ГРУЗИНСКАЯ СОВЕТСКАЯ СОЦИАЛИСТИЧЕСКАЯ РЕСПУБЛИКА

ᲒᲐᲠᲓᲐᲪᲕᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲬᲛᲝᲑᲐ
СВИДЕТЕЛЬСТВО О СМЕРТИ

РЭ № 029767

მოქ. ლერწყიფანიძე
Гр. (фамилия)

გრიგორი სიმონის ძე
(имя, отчество)

გარდაიცვალა 1937 წ. 9 ივნისს ღამის
Умер (ла) (число, месяц и год прописью, цифрами год, месяц и число)

2 საათზე
(часы)

გარდაცვალების მიზეზი
Причина смерти

რაზედაც გარდაცვალების შესახებ მოქალაქობრივ მდგომარეობის აქტების
о чем в книге записей актов гражданского состояния

ჩაწერილია 1938 წელს 12 თვის 20 რიცხვს
о смерти года месяца числа

მოხდენილია სათანადო ჩანაწერი № 1130
произведена соответствующая запись за

გარდაცვალების ადგილი: ქალაქი, სოფელი
Место смерти: город, селение

რაიონი ოლქი, რესპუბლიკა
район область, республика

რეგისტრატორი
Мистр. регистрации

(подпись и наименование местного бюро ЗАГС)

Дата выдачи 20 XII 1938 г.

(подпись должностного лица, выдавшего свидетельство)

М. П.

Грузинский печ. Гизмам. 1947.



გრიგოლ ლორთქიფანიძის ვაჟი, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი თეიმურაზ ლორთქიფანიძე

„მთელი ბავშვობა მამასთან შეხვედრის ნატვრაში გავლიე. იქნებ იმ დღესაც მოვესწრო, როცა გრიგოლ ლორთქიფანიძის მშობლიურ სოფელ ისრითში, ვანის რაიონში, ვიარი ახალ-მუზეუმი გაიხსნება..

ა [illegible] ბ [illegible]

[illegible]

შპს „არტლაინსი"
ირ. აბაშიძის 16, 0179 თბილისი
ტელ.: 2227137; 551 227137
www.artlines.ge, www.artlinesshop.ge, artlinesinfo@gmail.com